საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№18 (347)
18 – 24 მაისი, 2016
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



3 უკრაინის გენერალურ პროკურორად ორჯერ ნასამართლევი და იურიდიული განათლების არმქონე ადამიანი დანიშნეს

# მეჭიაურის უქარქაშო ხმალი 4

თამაზ მეჭიაური: 6

## «ქართული ოცნების» სიაში გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლები უცხოელი ლობისტების მეშვეობით აღმოჩნდნენ



«თუ ახლა ვინმე ფიქრობს, რომ საქართველო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე უნდა გახდეს ნატოს წევრი, ამაზე მოსახლეობას, რა თქმა უნდა, არ მიუცია მანდატი ხელისუფლებისთვის, ამიტომ ასეთ საკითხზე ხელახალი რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საქართველოს ნატოს წევრობაზე საუბარი, მაგრამ, საქართველოს მოსახლეობის ამჟამინდელი განწყობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ასეთ გადაწყვეტილებას მოსახლეობის უმრავლესობა მხარს არ დაუჭერს»



„მე ვხედავ ნატოს“

## ხიდაშელისა და ალასანიას ბრძოლა ამერიკის გულის მოსაგებად 9



12

## ფიურერის თაყვანისმცემელთა უთამომავლები



«ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება აბსოლუტურად მიუღებელია ქართული კულტურისთვის, საერთოდ, კაცობრიობისთვის» 7



## თბილისს ცრემლების არ სჯერა

## რას დასტიროდა სასამართლო დარბაზში საგარეო საქმეთა ექსმინისტრი მაია ფანჯიკიძე? 2



ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ფინეთის პრეზიდენტი: ნატოში გაწევრების საკითხი რეფერენდუმის გზით უნდა გადაიჭრას



**ფინეთის პრეზიდენტმა საული ნიინისტემ თავისი ქვეყნის ნატოში შესაძლო გაწევრების შესახებ ესტონეთის ტელერადიოკომპანია ERR-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა.** „ფინეთმა რომ ნატოს წევრობის საკითხზე აზრი შეიცვალოს, თავდაპირველად ამ საკითხზე საზოგადოების აზრის შეცვლაა საჭირო. ჩემი აზრით, არასწორია, რომ ხალხს რეფერენდუმის გზით არაფერი ვკითხოთ, რადგან ხალხს ბევრი რამ არ ესმის და არასწორ პასუხს სცემს. ჩვენ ევროკავშირში გაწევრების საკითხზე რეფერენდუმი ჩავატარეთ. არსებულ ვითარებაში, ვფიქრობ, ნატოში გაწევრება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი თემაა“, — განაცხადა ფინეთის პრეზიდენტმა და დასძინა, რომ მას კარგი ურთიერთობის შენარჩუნება სურს როგორც აშშ-თან, ასევე რუსეთთან. 1 მაისს საული ნიინისტემ განაცხადა, რომ ის ნატოში გაერთიანების წინააღმდეგია.



## ილია მეორე: ოჯახი არის ღვთის მიერ დადგენილი ინსტიტუტი

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მსოფლიო საოჯახო კონგრესის X მთავარი პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას კაცობრიობისთვის ოჯახის მნიშვნელობაზე ისაუბრა.**

„ოჯახმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა, რომელიც უნდა ჰქონდეს მას. ოჯახი არის ღვთის მიერ დადგენილი ინსტიტუტი და არის კაცობრიობისა და სიმტკიცის საწინდარი. ოჯახის საწინდარი ქალისა და მამაკაცის კანონიერი კავშირია. ეს დიდ ყურადღებას საჭიროებს და ეს არ უნდა დაკარგოს კაცობრიობამ!“ — განაცხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.



## თამაზ მეჭიაური: ნუ თხუპნით საპატრიარქოს, იყავით, დაეტიეთ თქვენს ადგილზე!

**17 მაისს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თამაზ მეჭიაური ჟურნალისტის მიერ ლგბტ-თა უფლებადამცველების დაკავების თაობაზე დასმულმა შეკითხვამ გააღიზიანა.**

„ლგბტ-ს იმას უწოდებ, რომ თხუპნიან საპატრიარქოს ღობეებს? ლგბტ ვინ არის, იცი? ერთ ადგილზე არიან და თავის ერთ ადგილს იქ უვლიან და თავისთვის იყენებენ, როგორც უნდათ. არავინ უშლის, მაგრამ, ვინც მიდის და თხუპნიან საპატრიარქოს, ეგენი არიან პიდარასტები. ნუ თხუპნით საპატრიარქოს, იყავით, დაეტიეთ თქვენს ადგილზე“, — განაცხადა თამაზ მეჭიაურმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

„ერთი ეს მომაშორეთ, მგონი, პიდარასტია. გაიყვანეთ, მომაშორეთ!“ — მიმართა მეჭიაურმა სამართალდამცავებს და კონკრეტულ ჟურნალისტზე მიუთითა.

მოგვიანებით თამაზ მეჭიაურმა განმარტა, რომ პიროვნებას, რომელიც მისგან კომენტარს ითხოვდა, მედიის წარმომადგენლის მაიდენტიფიცირებელი არაფერი ჰქონდა.

„მობილური ვისაც უკავია, ყველა ჟურნალისტია? თუ ჟურნალისტია, მაშინ მაჩვენოს საბუთი. რაც შეხება ჩემს განცხადებას, ეს უფრო მნიშვნელოვანია თუ ის, რომ საპატრიარქოს კედლებზე შეურაცხმყოფელ წარწერებს აკეთებ? მოვიდა ვიღაც ბიჭი, ხელში უჭირავს მობილური და პასუხებს მთხოვს რაღაცაზე. ვუთხარი, რომ ტელეფონზე ვსაუბრობდი და დამლოდებოდა. გამიჭირა საქმე, ლამის მანქანაში შემომიხტა და მეკითხებოდა ლგბტ-ების შესახებ. ვუთხარი, რომ ლგბტ-ების უფლებები დაცულია ანტიდისკრიმინაციული კანონით. ვინც თხუპნის საპატრიარქოს კედლებს და შეურაცხყოფს მართლმადიდებლობას, ისინი არიან პიდარასტები-მეთქი. მერე პატრულს ვთხოვე, წაიყვანეთ, მომაშორეთ ეს ვიღაც ლგბტ თუ ვიღაც-თქო. ისე კი ჰგავდა მათ რაღაცით. პროვოკაციაზე იყო მოსული, მიხტებოდა მანქანაში, რად მინდოდა, კარგი ქალი რომ ყოფილიყო, იმასაც არ ჩავსვამდი და ის ვის რაში სჭირდებოდა?!“ — განაცხადა მეჭიაურმა.

**ცნობისათვის:** ადმინისტრაციული შენობების იერ-სახის დამახინჯების ბრალდებით 10 პირი დააკავეს.

# თბილისს ცრემლების არ სჯერა

## რას დასტიროდა სასამართლო დარბაზში საგარეო საქმეთა ექსმინისტრი?





**თბილისის საქალაქო სასამართლომ ე.წ. კაბელების საქმეზე თავდაცვის სამინისტროს 5 თანამშრომელს, 4 მილიონი ლარის გაფლანგვის ბრალდებით, 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენის გამოცხადებას ბრალდებულთა ახლობლების მხრიდან ხმაური და შეურაცხმყოფელი რეპლიკები მოჰყვა, რის გამოც მოსამართლემ მათ დარბაზი დაატოვებინა.**

ე.წ. კაბელების საქმეზე პატიმრობა შეუფარდეს ხუთ ბრალდებულს — **ნუგზარ კაიშაურს, დავით წიფურიას, არჩილ ალავიძეს, გიორგი ლობჟანიძესა და გიზო ღლონტს.**

თავდაცვის სამინისტროს ზემოაღნიშნული თანამშრომლები 2014 წლის 28 ოქტომბერს დააკავეს. მათ, თავდაპირველად, წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ, მაგრამ დაკავებიდან 8 თვის შემდეგ თავდებით გაათავისუფლეს და რამდენიმე მათგანი თავდაცვის მოქმედმა მინისტრმა **თინა ხიდაშელმა** სამსახურში აღადგინა.

სწორედ ეს საქმე გახდა 2014 წელს **ირაკლი ალასანიას** მიერ თავდაცვის მინისტრის პოსტის დატოვებისა და გუნდთან ერთად ოპოზიციაში გადასვლის მიზეზი. ალასანიამ განაჩენს ივანიშვილის მხრიდან „შურისძიება“ უწოდა, აქციის გამართვა დააანონსა და საზოგადოებას მხარში ამოდგომისკენ მოუწოდა, შემდეგ კი პარტიის ოფისში საგანგებო ბრიფინგი გამართა, სადაც განაცხადა, რომ პარტია საგანგებო მოქმედების რეჟიმზე გადადის, თუმცა არჩევნების გზას არ გადაუხვევს და „არაფორმალური მმართველის მორჩილ ხელისუფლებას ოქტომბრის არჩევნებზე შეცვლის“. „თავისუფალ დემოკრატებს“ სოლიდარობა რესპუბლიკურმა პარტიამ გამოუცხადა.

როგორც **დავით ბერძენიშვილმა** განაცხადა, აქციაზე რესპუბლიკელთა გარკვეული რაოდენობა მივა. შესაძლოა, აქციას ნაციონალებიც შეუერთდნენ. შეძლებს თუ არა ირაკლი ალასანია აქციაზე ხალხის შთამბეჭდავი რაოდენობით შეკრებას, მალე გამოჩნდება. პოლიტოლოგების პროგნოზით, მას ეს ძალიან გაუჭირდება.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესს „თავისუფალი დემოკრატების“ სხვა წევრებთან ერთად ესწრებოდა საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი **მაია ფანჯიკიძე**, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში არ გამოჩენილა საზოგადოებაში. რამდენიმე დღის წინათ ის ერთ-ერთი ქართველი დიზაინერის მიერ გამართულ ჩვენებაზე კდემამოსილი სახით იჯდა, ერთი კვირის შემდეგ კი ე.წ. კაბელების სასამართლო პროცესს დაესწრო და ცრემლიც გადმოაგორა, მაგრამ მისი ცრემლების სასამართლომ არ დაიჯერა.



ანჯელინა ჯოლი:

## დევნილების ადაპტირების მსოფლიო სისტემამ კრახი განიცადა

**პოპულარულმა ჰოლივუდელმა მსახიობმა, გაეროს კეთილი ნების ელჩმა დევნილთა საკითხებში, ანჯელინა ჯოლიმ, სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსებს შეახსენა, რომ მსოფლიოში იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა იზრდება და მათ დასახმარებლად მხოლოდ ფინანსური დახმარება საკმარისი არ არის.**

ჯოლის განმარტებით, 2016 წელს მსოფლიოში 60 მილიონი იძულებით გადაადგილებული პირია, რაც ბოლო 70 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. **„დღეს არსებული სიტუაცია შემაშფოთებელ ნიშანს გვაძლევს მსოფლიოში არსებულ მდგომარეობაზე. ჩვენ, დასავლეთის ქვეყნები, არ ვიმყოფებით საიმიგრაციო კრიზისის ცენტრში და, საერთო ჯამში, ამ სიტუაციაში ჩვენ არ ვართ დაზარალებულები, არამედ — ის ადამიანები. დევნილების დახმარების არსებულმა სისტემამ მარცხი განიცადა“,** — განაცხადა ანჯელინა ჯოლიმ „ბი-ბი-სის“ ეთერში.




## ცუდი ეკოლოგიური პირობების გამო ყოველწლიურად 7 მილიონი ადამიანი იღუპება

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ის ქალაქები დაასახელა, რომლებშიც ჰაერი ყველაზე მეტადაა დაბინძურებული.**

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ჰაერი ყველაზე მეტად დაბინძურებულია ირანის ქალაქ **ზაბოლში**, სადაც ზაფხულის თვეებში ქალიშხალი მძვინვარებს; მეორე და მესამე ადგილს ინდოეთის ქალაქები — **გვალიორი** და **ალაჰაბადი** იკავებს; მეოთხე და მეხუთე ადგილს — საუდის არაბეთის დედაქალაქი **ერ-რიადი** და ქალაქი **ელ-ჯუბაილი**. მომდევნო პოზიციებზე არიან ინდოეთის ქალაქები — **პატნა** და **რაიპური.**

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, არახელსაყრელი ეკოლოგიური მდგომარეობისა და ჰაერის დაბინძურების გამო ყოველწლიურად იღუპება შვიდ მილიონზე მეტი ადამიანი.

ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროებია: **დიზელზე მომუშავე ავტომობილები, გათბობისა და კონდიცირების სისტემები, ნაგავი, ნახშირის მტვერი და სხვ.**



## აფეთქება ბაღდადში — დაიღუპა 60 ადამიანი

**ერაყის დედაქალაქ ბაღდადში ოთხი ბომბის აფეთქებამ, სულ მცირე, 60-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, დაშავებულია 100-ზე მეტი.**

პირველი აფეთქება ბაღდადის ჩრდილოეთ ნაწილში, შიიტი მუსლიმებით დასახლებულ ადგილას, ბაზრის გარე პერიმეტრზე მოხდა; 2 აფეთქება — რაიონ სადრში, ხოლო ერთი — ერაყის დედაქალაქის სამხრეთ ნაწილში — რაშიდში. მომხდარზე პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ დაიკისრა.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უკრაინის გენერალურ პროკურორად ორჯერ ნასამართლევი და იურიდიული განათლების არმქონე ადამიანი დანიშნეს

**უკრაინის უზენაესმა რადამ (პარლამენტმა) მხარი დაუჭირა (450 დეპუტატიდან — 264 მომხრე) უკრაინის შს ყოფილი მინისტრის, საპარლამენტო ფრაქცია „პეტრე პოროშენკოს ბლოკის“ ლიდერის — იური ლუცენკოს დანიშვნას გენერალური პროკურორის პოსტზე.**



როგორც მოსალოდნელი იყო, ეს კოალიციის ძალებით ვერ მოხერხდა. ლუცენკოს ხმა უფრაქციო დეპუტატებმა, აგრეთვე, ჯგუფ „ვიროჟდენიას“, „ვოლია ნაროდასა“ და თვით „ოპოზიციური ბლოკის“ წარმომადგენლებმა მისცეს. გენერალურ პროკურორად ლუცენკოს დანიშვნის ეპოპეა ტრიბუნის ბლოკირებითა და ურთიერთბრალდებებით მიმდინარეობდა. ქვეყნის პრეზიდენტმა **პეტრე პოროშენკომ** დიდ ბრიტანეთში ვიზიტიც კი გადადო და კენჭისყრისას სხდომათა დარბაზში იმყოფებოდა.

მანამდე კი რადამ კანონში შეიტანა შესწორება, რომლის მიხედვითაც გენერალური პროკურორის პოსტზე შეიძლება დაინიშნოს იურიდიული განათლების არმქონე პირი, პრეზიდენტმა პოროშენკომ კი ამ ცვლილების შეტანას მყისვე მოაწერა ხელი.

ამას გარდა, კანონპროექტი საშუალებას იძლევა, რეგიონული პროკურატურებისა და გენპროკურატურის პროკურორებად დაინიშნონ არა მხოლოდ სტაჟიანი პროკურორები, არამედ ისინიც, ვინც სამართალდამცველ ორგანოებში მუშაობდა, ოღონდ არა — პროკურორად.

იური ლუცენკო უკრაინის გენერალური პროკურორის პოსტზე წარადგინა ფრაქცია „პეტრე პოროშენკოს ბლოკმა“.

იური ლუცენკო 2005 წლის თებერვლიდან 2006 წლის დეკემბრამდე უკრაინის შსს-ს ხელმძღვანელობდა; 2007-2010 წლებში, აგრეთვე, იყო შს მინისტრი იულია ტიმოშენკოს მეორე მთავრობაში.

2010 წლის 26 დეკემბერს იური ლუცენკო დააპატიმრეს სახელმწიფო თანხების დიდი ოდენობით დატაცების ბრალდებით. 2012 წლის 27 თებერვალს ის დამნაშავედ ცნეს და 4 წლით აღუკვეთეს თავისუფლება ქონების კონფისკაციით.

**2012 წლის 17 აგვისტოს კიევის პეჩორის რაიონის სასამართლომ იური ლუცენკო ვიქტორ იუშჩენკოს მოწამვლის საქმის გამოძიებისას სამსახურებრივი მოვალეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში დაადანაშაულა და კიდევ ორი წლით პატიმრობა მიუსაჯა.**

2013 წელს კი უკრაინის პრეზიდენტმა შეიწყალა და საპყრობილიდან გაათავისუფლეს.




## სკანდალი: ევროპელები «ევროვიზიის» შედეგების წინააღმდეგ ხელმოწერებს აგროვებენ

**ერევნელმა ანრურ ოგანესიანმა ვებგვერდ Change.org-ზე გამოაქვეყნა პეტიცია „ევროვიზიის“ შედეგების გადახედვის მოთხოვნით.**

პეტიციას მხარი დაუჭირეს დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ესპანეთის, ავსტრალიის, სერბეთის, შვედეთის, რუსეთის, უკრაინისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეებმა, რომელთა რაოდენობამ 17 მაისს 300 ათასს გადააჭარბა.

„გვესმის, რომ ჟიურისა და ტელეაუდიტორიისთვის ხმის მიცემა მძიმე და ემოციური პროცესია, **მაგრამ ამ პეტიციაზე ხელმომწერთა რიცხვი აჩვენებს: ბევრი დარწმუნებულია, რომ წელს კონკურსში გამარჯვებული არის ის, ვისაც არ უნდა გაემარჯვა“,** — განაცხადა მიმართვის ავტორმა.

Change.org-ზე მადრიდელმა **კრისტიან გარიდომაც** გამოაქვეყნა თავისი პეტიცია, რომელშიც ესპანეთს მოუწოდა, უარი თქვას „ევროვიზია 2017“-ში მონაწილეობაზე. მისი აზრით, სტოკჰოლმში გამართული კონკურსის ფინალი იყო „დაცინვა“ და ნახევარი ევროპისთვის ცხადი შეიქნა, რომ შედეგები „პოლიტიკური ინტერესების“ მიხედვით განისაზღვრება.

გერმანელებმაც მოუწოდეს გერმანიას (პორტალი OpenPetition), რომ უარი თქვან „ევროვიზიის“ კონკურსში მონაწილეობაზე. საფრანგეთში კი დაიწყო ხელმოწერების შეგროვება „ევროვიზიის“ ფინალის ფრანგი კომენტატორის — მარიან ჯეიმსის დათხოვნის მოთხოვნით, რომელმაც თავს უფლება მისცა, პირდაპირ ეთერში გამოეთქვა შეურაცხმყოფელი ფრაზები რუსეთის მიმართ და ამით საფრანგეთის იმიჯი შელახა.

„ევროვიზია-2016“-ის კონკურსში გაიმარჯვა უკრაინელმა მომღერალმა **ჯამალამ** სიმღერით „1944“. კონკურსის წესების მიხედვით, მომავალ წელს „ევროვიზიას“ უკრაინა უმასპინძლებს.



# ბრიტანეთის დაზვერვის ყოფილმა შეფმა ევროპას «პოპულისტური ბუნტი» უწინასწარმეტყველა





რიჩარდ დიერლავი

**დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის (MI 6) ყოფილმა ხელმძღვანელმა რიჩარდ დიერლავმა განაცხადა, რომ ევროკავშირს „პოპულისტური მღელვარებები“ დაემუქრება, თუკი მიგრანტების ნაკადს შეზღუდავს.**

„თუკი ევროპა ერთობლივი ძალისხმევით მოსახლეობის უმრავლესობას ვერ დაარწმუნებს, რომ შეუძლია გააკონტროლოს მიგრაციული პროტესტი, ევროკავშირი აღმოჩნდება პოპულისტური ბუნტის წინაშე, რომლის ნიშნებიც უკვე ჩანს“ და რომელიც შეცვლის გეოპოლიტიკურ ლანდშაფტს კონტინენტზე“.

ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის ყოფილი შეფის თქმით, უახლოეს 5 წელიწადში ევროპაში ჩასული მიგრანტების რაოდენობა მილიონებს მიაღწევს. დიერლავმა, აგრეთვე, გააანალიზა ევროკავშირსა და თურქეთს შორის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მიგრანტების გადაადგილებაზე კონტროლის დაწესების სანაცვლოდ ანკარამ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი უნდა დააწესოს. **დიერლავის აზრით, ბრიუსელმა დაუშვა საშინელი შეცდომა, როდესაც ამ გარიგებას დათანხმდა, ეს სიტუაცია კი ჰგავს ხანძრის ჩაქრობას... ბენზინით.**

ე.წ. ბალკანური მარშრუტის (თურქეთიდან ეგეოსის ზღვის გავლით საბერძნეთში) გადაკეტვის მიუხედავად, რომლითაც ევროპაში ჩადიოდნენ ლტოლვილები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, ევროკავშირის ქვეყნებში მიგრანტების ნაკადი არ წყდება. ამჟამად ამოქმედდა მარშრუტი, რომლითაც ლტოლვილები ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებიდან ხმელთაშუა ზღვის გავლით იტალიაში ჩადიან.

# The American Conservative ამერიკული მედია დუმს აშშ-ის ინტერვენციებზე

**ამერიკული გამოცემა The American Conservative-ს აზრით, რაც უფრო ხშირად ერევა აშშ სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში, მით ნაკლებ ყურადღებას უთმობს ამას ამერიკული პრესა და ის, ფაქტობრივად, დუმს აშშ-ის ინტერვენციებზე.**

პრეზიდენტმა ობამამ 8 წელი გაატარა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან აშშ-ის სამხედრო ქვედანაყოფების გამოყვანაზე ლაპარაკში, მაგრამ მან, ფაქტობრივად, გააფართოვა აშშ-ის ძალები ამ რეგიონში. ეს ამერიკულ მედიაში რაიმე მნიშვნელოვანი დებატის გარეშე მოხდა. დისკუსია, ძირითადად, ჩაღდებოდა მცდარ მოსაზრებაზე, რომ ბევრი სამხედროს გამოყვანით ობამა ხელს შეუწყობდა მტრებს. ბოლო ორი წლის განმავლობაში პრესაში ასეთი თვალსაზრისის გავრცელებამ ობამას ადმინისტრაციას საშუალება მისცა, გაეძლიერებინა აშშ-ის სამხედრო ძალები ერაყში, სირიაში, იემენსა და ლიბიაში, თანაც ისე, რომ ოპოზიციისგან მწვავე კრიტიკა არ დაემსახურებინა.

მიუხედავად აშშ-ის აქტიურობისა ზემოაღნიშნულ 4 ქვეყანაში, ამერიკის სამ მთავარ გამოცემაში: „ვაშინგტონ პოსტში“, „ნიუ-იორკ თაიმსსა“ და „უოლ სტრიტ ჯორნალში“ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებში პრეზიდენტ ობამასა და აშშ-ის შეიარაღებული ძალების მოხსენიება მნიშვნელოვნად შემცირდა.

2016 წელს სირიის მოვლენებში აშშ-ის ჩართულობაზე ძირითადი გამოცემები წერდნენ მხოლოდ 10 დღეში ერთხელ. იემენისთვის ეს მონაცემები გაცილებით ნაკლებია, რაც გასაკვირი არ არის, რადგან ამ ქვეყნის კონფლიქტში აშშ-ის ჩართულობაზე თვით დაწვრილებით ანგარიშებშიც კი არაფერია ნათქვამი. საოცარია, როგორ ახერხებს აშშ ზემოჩამოთვლილ ქვეყნებში მიმდინარე კონფლიქტებში თანდათან უფრო აქტიურად ჩართვას ისე, რომ სამხედროების მიმართ მედიის ყურადღება სულ უფრო მცირდება.


U.S. Interventions and Media Coverage

By DANIEL LARISON • May 13, 2016, 2:26 PM

Trevor Thrall looks at how major U.S. papers have covered the extent of our government's recent military involvement in other countries, and finds that they have covered it less frequently as it has increased:

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რატომ არიან ასე არხეინად „ხუთპროცენტიანი პარტიის“ (მათი ოპონენტები ხშირად უფრო დაბალ პროცენტს ასახელებენ) წარმომადგენლები არჩევნების წინ, მაშინ, როდესაც, ერთი შეხედვით, პანიკაში უნდა იყვნენ და სააკაშვილს „ქართული მაიდნის“ პროექტში თუნდაც დუბლიორებად აყვანას ეხვეწებოდნენ? არიან თუ არა ისინი ფარულად შეთანხმებულნი ივანიშვილთან პოსტსაარჩევნო თანამშრომლობაზე და ხომ არ მიუღიათ მისგან გარკვეული გარანტიები?**

# შესაძლებლის ხელოვნება და მეჭიაურის უქარქაშო ხმალი

**რესპუბლიკური პარტიისა და თამაზ მეჭიაურის დაპირისპირებას ბოლო არ უჩანს. მიუხედავად იმისა, რომ მხარეები ერთმანეთს სულ უფრო მძიმე ბრალდებებს უყენებენ, კონფრონტაციას მათთვის გარკვეული ბონუსებიც მოაქვს, რადგან მისი წყალობით საზოგადოების ყურადღების ცენტრში რჩებიან და გულშემატკივართა ემოციების მობილიზებას ახდენენ.**



„ქართული ოცნებისა“ და რესპუბლიკური პარტიის წინასაარჩევნო დაშორება საკმაოდ რთული პროცესია და ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანია, ის სერიოზული დანაკარგების გარეშე დასრულდეს. კოალიციის ფარგლებში მათ თანამშრომლობას, ორმხრივი სარგებლის გარდა, პრობლემებიც ახლდა — რესპუბლიკელების ტრადიციული ელექტორატის ნაწილი ვერ მიუტევებდა ლიდერებს თანამშრომლობას **თოფაძესთან, მეჭიაურთან** და სხვა მსგავსი თვალსაზრისის მქონე დეპუტატებთან. ამის გამო ზოგი მათგანი სხვა ლიბერალური პარტიისკენ გადაიხარა. ხოლო **„ქართული ოცნების“ კონსერვატორი ამომრჩევლების ნაწილმა, რესპუბლიკელების მიმართ ზიზღისა და სიძულვილის გამო, „ოცნებაზე“ ხელი ჩაიქნია და ფიქრი „პატრიოტთა ალიანსის“ და სხვა იდეოლოგიურად მონათესავე პოლიტიკური ძალების მხარდაჭერაზე დაიწყო.** ეს რყევები საკმაოდ მკაფიოდ აისახა მასმედიასა და სოციალურ ქსელებში, განსაკუთრებით 2015 წლიდან, როდესაც კოალიციური კავშირის არაბუნებრივი ხასიათი ყველასთვის ცხადი შეიქნა, მაგრამ პოლიტიკოსები პრობლემის გადაწყვეტით მხოლოდ არჩევნების მოახლოების შემდეგ დაკავდნენ.

**არცთუ ფართო ელექტორალურ ნიშაში პოზიციების გაძლიერებას ერთბაშად ოთხი „მომიჯნავე“ ორიენტაციისა და იდეოლოგიური პლატფორმის მქონე პარტია ცდილობს — „თავისუფალი დემოკრატები“, რესპუბლიკური პარტია, „ნაციონალური მოძრაობა“ და „გირჩი“. ამ უკანასკნელზე სერიოზული საუბარი ბევრ კომენტატორს სასაცილოდ მიაჩნია, მაგრამ ამ ახალმა გაერთიანებამ ნამდვილად შეიძლება წაართვას ძირითად კონკურენტებს გარკვეული რაოდენობის ხმები (უპირველესად, ახალგაზრდების), მით უმეტეს, რომ ფინანსური რესურსის ნაკლებობა არ ეტყობათ.**

ბოლო ხანს ამ კვარტეტიდან ყველაზე კარგად რესპუბლიკელების ხმა ისმის. დაახლოება ნატოსთან, ევროინტეგრაცია, დასავლური ღირებულებები, სტალინიზმის აჩრდილი, ანუ ყველა ის თემა, რომელიც ასე თუ ისე აქტუალურია პროდასავლური ელექტორატისთვის, ეთერში, როგორც წესი, მათი მეშვეობით ხვდება. ყველაზე ხშირად საინფორმაციო საბაბს ამისთვის თამაზ მეჭიაურთან დაპირისპირება ქმნის. ნაციონალები პარტიიდან **გიორგი ვაშაძის** წასვლის შემდეგ ერთობ დაბნეულად გამოიყურებოდნენ. **ირაკლი ალასანია** ცდილობდა, საზოგადოების ყურადღება მიეპყრო „კაბელების საქმეზე“, მაგრამ პარალელურად **თინა ხიდაშელსაც** აკრიტიკებდა. ეს ხდებოდა სწორედ მაშინ, როდესაც თავდაცვის მინისტრი აქტიურად იყენებდა ერთობლივი ქართულ-ამერიკული სამხედრო სწავლების თემას, რათა ნატოზე ორიენტირებული ამომრჩევლის თვალში რაც შეიძლება მეტი ქულა დაეწერა. ამ პოსტზე ყოფნის პერიოდში ალასანიას ასეთი შესაძლებლობა არ მიეცა, ზოგიერთი სხვა კი სათანადოდ ვერ გამოიყენა. **ალასანიამ ხიდაშელს მისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში შეუტია და ძნელი სათქმელია, რა იყო ამ მცდელობაში უფრო მეტი — ცივი გათვლა თუ უბრალო წყენა, თუმცა მთავარია ის, რომ, მოწადინების მიუხედავად, ალასანიამ ვერ მოახერხა საინფორმაციო სივრცის ავანსცენიდან თამაზ მეჭიაურთან მოფარიკავე რესპუბლიკელების ჩაჩოჩება.**

ყოველივე ამის უკან ნამდვილი პოლიტიკური მელოდრამა დგას. **ირაკლი ალასანია პოლიტიკური თვითმყოფადობისთვის და (თუ შეიძლება, ასე ითქვას) პოლიტიკური სუვერენიტეტისთვის იბრძვის და, თუ საწადელს ვერ მიაღწევს, 99%-იანი ალბათობით, ნაციონალების ჩვეულებრივ სატელიტად ჩამოყალიბდება. ეს როლი კი მის ამბიციებს არ შეესაბამება.**

აქ ორიოდე სიტყვა იმაზეც უნდა ითქვას, რისთვის სჭირდება სააკაშვილს ალასანია. **ზოგიერთ პოლიტიკოსს ვაშინგტონსა და ბრიუსელში, შესაძლოა, დღესაც მიაჩნია, რომ „ნაცმოძრაობა“ საქართველოს ხელისუფლების სათავეში მათთვის საუკეთესო პარტნიორი იქნება, მაგრამ ისინი აცნობიერებენ, რომ ოლიმპოზე „ნაცმოძრაობის“ დაბრუნების უხეში მცდელობა დესტაბილიზაციითა და სამოქალაქო ომით შეიძლება დასრულდეს, რომელიც დასავლეთის პოზიციებს საქართველოში სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის.** მიუხედავად იმისა, რომ **სააკაშვილი** და **მერაბიშვილი** არაერთგზის ირწმუნებოდნენ, რომ რევანშისტულ შურისძიებას არ აპირებენ და, ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში, მხოლოდ რამდენიმე დამნაშავეს გაასამართლებენ, ნაკლებად სავარაუდოა, მათ დასავლეთში ენდონ. იმისთვის, რომ რესტავრირებულმა რეჟიმმა ქვეყანაში ფარდობითი სტაბილურობა შეინარჩუნოს, აუცილებელია, რაც შეიძლება ფართო კოალიციის შექმნა. **სააკაშვილის დასავლელი მეგობრები მის ერთ-ერთ საკვანძო ელემენტად, სავარაუდოდ, ირაკლი ალასანიას და მის „თავისუფალ დემოკრატებს“ განიხილავენ. რეალურად, ეს ნიშნავს იმას, რომ პარტია გახდება ერთ-ერთი „შირმა“ განახლებული რეჟიმისთვის და ამბიციური ალასანია ამაზე, სავარაუდოდ, არ ოცნებობს, თანაც, დიდი ალბათობით, ესმის, რომ გარკვეული დროის შემდეგ სააკაშვილი ყველა პოლიტიკურ პარტნიორს გაანადგურებს ან უნებისყოფო მარიონეტად გადააქცევს.**

უხეშად რომ ვთქვათ, მეჭიაური და რესპუბლიკელები ერთმანეთს „სატოპკეებს უწევენ“ (თქმული არ ნიშნავს, რომ მატჩი იმთავითვე ჩაწყობილი იყო) და მწვავე რეპლიკებით ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფს სიამოვნებას ანიჭებენ. ეს ძალზე მნიშვნელოვანია რესპუბლიკური პარტიისთვის, რომელმაც არჩევნებამდე დარჩენილ მცირე დროში უნდა გამოხატოს მკაფიო პოზიცია ყველა პრობლემურ საკითხზე და თავისი მხარდამჭერების თვალში „ქართულ ოცნებასთან“ (ყოველ შემთხვევაში — მეჭიაურთან, თოფაძესთან და ა.შ.) სამწლიანი კოალიციური თანამშრომლობის „ცოდვა“ ჩამოირეცხოს. ამასობაში **თამაზ მეჭიაური ქულებს იწერს ტრადიციონალისტების, ანტიდასავლელი კონსერვატორების, რუსეთთან კავშირზე ან ნეიტრალიტეტზე ორიენტირებული ამომრჩევლის თვალში და მათ სათქმელს მთელი ქვეყნის გასაგონად ამბობს.** მეჭიაურმა უკვე განაცხადა, რომ შეიძლება საკუთარი პარტია შექმნას; მისი პოზიცია ხელისუფლების დეკლარირებულ კურსთან გადაულახავ წინააღმდეგობაში შევიდა.

მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა მოწადინებულია, უკან დააბრუნოს „პატრიოტთა ალიანსთან“ და ნინო ბურჯანაძესთან გაქცეული ამომრჩეველი, მისი ამოცანა უფრო ფართოა და არც მკვეთრად პროდასავლელი ამომრჩევლების დაკარგვა სურს. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმებიან კონსერვატიული იდეების მქონენი, რადგან „ოცნების“ მხარდამჭერთა შორის ლიბერალი, სავარაუდოდ, ძალიან ცოტა დარჩა. ამასთანავე, მმართველი პარტიისთვის მნიშვნელვანია, უცხოელი პარტნიორების თვალში ერთმნიშვნელოვნად პროდასავლურად წარმოჩნდეს. ამ მიმართულების ათვისებაზე ყველაზე პროდუქტიულად ბოლო თვეებში **გიორგი კვირიკაშვილი** მუშაობს. მართალია, **აქ არის მთელი რიგი ნიუანსებისა და წყალქვეშა დინებებისა. მაგალითად, ის, რომ ოფიციალურ პროპაგანდაში თანდათან როგორ შორდება ერთმანეთს ევროკავშირთან და ნატოსთან ინტეგრაციის თემა, მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „ევროატლანტიკური“ მათთვის კვლავინდებურად გამაერთიანებელ როლს თამაშობს; ან კიდევ ის, თუ როგორ ცდილობენ ხელისუფლების წარმომადგენლები, მაქსიმალურად შეარბილონ წინააღმდეგობები ქართულ ტრადიციებსა და ევროპული ცხოვრების რეალიებს შორის, რომელიც არაერთ ამომრჩეველს აწუხებს** (რადიკალი ლიბერალები ამ შემთხვევაში, პირიქით — წინააღმდგობის გაღრმავებას ცდილობენ). ალბათ, შეიძლება ითქვას, რომ **გამოკვეთილი პოლიტიკური კონფორმიზმისა და იდეოლოგიური რელატივიზმის მიუხედავად, „ქართული ოცნება“ მზად არ არის, თამაზ მეჭიაურის მოსაზრებები გაიზიაროს და რაიმე ფორმით თავის პროგრამაში ასახოს.** მათი დაშორება თავიდანვე გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ აქვე შეიძლება გაჩნდეს მეორე კითხვა: **რატომ არ გააჩერეს მეჭიაური ხმაურიანი კონფლიქტის დაწყებამდე ან უშუალოდ მისი დაწყების შემდეგ (ივანიშვილი ამას ნამდვილად მოახერხებდა)? ისევე, როგორც ცოტა ხნის წინათ ვერ (თუ არ) გააჩერეს გოგი თოფაძე, რომლის შეტევამ რესპუბლიკელებზე კოალიციური „განქორწინების“ საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ შემზადებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.** საერთოდ, ხშირად ის, რასაც მწვავე დაპირისპირებად აღვიქვამთ, პოლიტიკური თვალსაზრისით, სხვა არაფერია, თუ არა დახმარება იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომელიც „ქართულ ოცნებას“, წესით, არ უნდა ანაღვლებდეს.

**ბიძინა ივანიშვილს** რესპუბლიკური პარტია, შესაძლოა, კვლავინდებურად სასურველ პოლიტიკურ პარტნიორად მიაჩნია და, ალბათ, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ მასთან არჩევნების შემდეგ დაახლოებით იმავე ფორმატში თანამშრომლობას აპირებს, როგორშიც კოალიციის დაშლამდე და, პოლიტიკური მხარდაჭერის სანაცვლოდ, მაღალ თანამდებობებს უბოძებს. საუბარია თითქმის ანალოგიურ როლზე, რომელიც ნაციონალებმა შეიძლება ალასანიას შესთავაზონ. დაფიქრება, ალბათ, იმაზეც ღირს, თუ **რატომ არიან ასე არხეინად „ხუთპროცენტიანი პარტიის“ (მათი ოპონენტები ხშირად უფრო დაბალ პროცენტს ასახელებენ) წარმომადგენლები არჩევნების წინ, მაშინ, როდესაც, ერთი შეხედვით, პანიკაში უნდა იყვნენ და სააკაშვილს „ქართული მაიდნის“ პროექტში თუნდაც დუბლიორებად აყვანას ეხვეწებოდნენ? არიან თუ არა ისინი ფარულად შეთანხმებულნი ივანიშვილთან პოსტსაარჩევნო თანამშრომლობაზე და ხომ არ მიუღიათ მისგან გარკვეული გარანტიები?**

ბოლო წლებში შეიქმნა მთელი თეორია იმის თაობაზე, რისთვის სჭირდება ბიძინა ივანიშვილს რესპუბლიკური პარტია. ძირითად მოტივად დასავლეთთან კომუნიკაცია სახელდება, თუმცა არის მეორე მნიშვნელოვანი მომენტიც: „ხუთპროცენტიანობის“ მიუხედავად, რესპუბლიკელები ბოლო სამი წლის განმავლობაში თავიანთი პოზიციით ხელს უშლიდნენ ფართო ანტისახელისუფლო ლიბერალური ფრონტის ფორმირებას. მას შემდეგ, რაც ოპოზიციაში გადავლენ (დღეს უცნაურ „ნახევრადსახელისუფლო“ თუ „ნაწილობრივ ოპოზიციურ“ მდგომარეობაში იმყოფებიან), სავარაუდოდ, ისევ ლიბერალური ბანაკის ფრაგმენტაციაზე და არა კონსოლიდაციაზე იმუშავებენ. მაგრამ „ოცნების“ მხარდამჭერების დიდი ნაწილი ყოველივე ამას ყურადღებას, როგორც წესი, არ აქცევს და მიიჩნევს, რომ რესპუბლიკელებისთვის ამდენი პოსტის გადაცემას გამართლება არ ჰქონდა.

საინტერესოა, რა შეიძლება ჩავთვალოთ ამ შემთხვევაში „ნაკლებ ბოროტებად“ — ყველა ლიბერალური პროდასავლური ძალის კონსოლიდაცია (რეალურად, „ნაცმოძრაობის“ ეგიდის ქვეშ) და მათი დაპირისპირება ხელისუფლებასთან ვაშინგტონის სიმპათიის პირობებში, უმწვავესი სამოქალაქო დაპირისპირების საშიშროებით თუ ის, რაც მოხდა (რესპუბლიკელებისთვის მაღალი პოსტების დათმობა)? პასუხიდან ამ კითხვაზე გამომდინარეობს მეორე კითხვა: რა ჩაითვლება ნაკლებ ბოროტებად არჩევნების შემდეგ? გამორიცხული არ არის, ოქტომბერ-ნოემბერში ხელისუფლება კვლავ შეეცადოს დაგვარწმუნოს იმაში, რომ „პოლიტიკა შესაძლებლის ხელოვნებაა“, ხოლო კომპრომისი, საუკეთესო თუ არა, ერთადერთი გამოსავალი იყო.

**ბერძენიშვილს მეხსიერება ღალატობს – იმხანად პირველ ადგილზე გასულმა შევარდნაძის ბლოკმა 21,33% მიიღო, მეორე და მესამე ადგილზე „აღორძინება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ გავიდნენ, შესაბამისად, 20 და 19 პროცენტით (მეათედებზე ნუღარ დავხურდავდებით), მაგრამ სააკაშვილი კატეგორიულად ითხოვდა პირველ ადგილს და „გაყალბების“ მოტივით „რევოლუცია“ მოაწყვეს. „გამარჯვებული ხალხის“ ტელევიზია კი უტიფრად გაიძახოდა, შევარდნაძის მომხრე ადამიანი ვერ ვიპოვეთ, სტუდიაში რომ მოვიყვანოთო!**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რევოლუციის მოლოდინი

**არჩევნები მოდის. და რაც უფრო გვიახლოვდება, მით უფრო ხშირად ვნახავთ მიწაზე ყურდადებულ პოლიტიკოსებს, რომლებიც, თუ მოპოვებილი ხმებით არა, სხვა გზით მაინც ეცდებიან ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.
ყური მიწაზე უდევთ და ჩურჩულებენ:**



**რევოლუციის მზადება დაწყებულია. ოკეანისგაღმელი ექსპერტებიც კი მიუთითებენ, რომ სააკაშვილის ლობისტების წინასწარი განცხადებები ერთადერთ მიზანს ემსახურება — არჩევნების ჩატარებამდე არჩევნების დისკრედიტაციას**

— მოდის!

მოდის გაცოფებული მღელვარება!

დელგმა!

ნიაღვარი!

ოოოხ! რევოლუცია!

მოდის!

თანამედროვე ციციკორეც იკითხავს გაოცებით:

— შენა, ბიჭო, სულ გარეკე?

მიწასთან ჩახუტებული პოლიტიკოსი კი უპასუხებს:

— აბა, ყური დაადე მიწას!

ყური დაუგდე, როგორ გუგუნებს!

ხომ იცი, რასაც ნიშნავს ეს?

რევოლუცია მოდის!

ხალხის გამარჯვება მზადდება!

ერთხელ უკვე „გაამარჯვებინა“ ხალხს სააკაშვილმა და „რუსთავი 2“-მა, არც ახლა იქნება ამის წინააღმდეგი, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობა“ ცხელ წყალში ნარეცხი შალივით შედგა და ვეღარც „რუსთავი 2“ კრებს ხალხს „თავისუფალი სიტყვის“ დასაცავად.

ახლა **ირაკლი ალასანია** იმუქრება ქუჩის აქციებით, თუმცა რამდენ „ხარისხიან“ ადამიანს გამოიყვანს, თვითონაც უნდა იცოდეს. „ქართული ოცნება“ კი **თამაზ მეჭიაურს, გოგი თოფაძესა** და **სოსო ჯაჭვლიანს** ემიჯნება და ამით ცდილობს, დასავლეთი ერთგულებაში დაარწმუნოს, ხოლო ძველ და ახალ ოპოზიციას სალაპარაკო არ მისცეს. გული გულობდეს და ქადა ორივე ხელით იჭმევაო, — ნათქვამია. **ნაციონალებსა და რესპუბლიკელებს ლაპარაკს ვერ მოაშლევინებთ და იქნებ საკუთარ თანამებრძოლებთან (თანაც, საკითხავია, დანარჩენები თუ იყავით მათი თანამებრძოლები) მაინც არ გაგეფუჭებინათ ურთიერთობა! თუ რესპუბლიკელების გაშვებით ხმების მატებას ელით, სიმართლის მთქმელებისგან გამიჯვნა განა მეტს არ დაგაკარგვინებთ?!**

ლაპარაკს წინ არაფერი უდგას და მეც კი, მრავლის მომსმენს და მნახველს, თუ კიდევ რაიმე გამაოცებდა, არ მეგონა. რამდენიმე დღის წინათ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში **დავით ბერძენიშვილმა** 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნები გაიხსენა და აი, რა განაცხადა: „2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ ეს არის პირველი შემთხვევა დღეისთვის, 2016 წლის ოქტომბრისთვის, როცა ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ჭეშმარიტად მრავალპარტიული პარლამენტი. 2003 წლის 2 ნოემბერს 7 კონკურენტუნარიანი პარტიიდან ექვსმა საარჩევნო სუბიექტმა ძალიან მაღალი, 7%-იანი ბარიერი გადალახა. ზოგს წაუყალბეს, ზოგს კარგად გაუყალბეს, შევარდნაძემ და აბაშიძემ ერთმანეთი აბალანსეს ქვემო ქართლსა და აჭარაში გაყალბებით, მაგრამ მთავარი იყო ის, რომ მაშინ პირველ ადგილზე გასული სუბიექტის პროცენტი დაახლოებით 25-26-ს არ აღემატებოდა“.

**ბერძენიშვილს მეხსიერება ღალატობს — იმხანად პირველ ადგილზე გასულმა შევარდნაძის ბლოკმა 21,33% მიიღო, მეორე და მესამე ადგილზე „აღორძინება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ გავიდნენ, შესაბამისად, 20 და 19 პროცენტით (მეათედებზე ნუღარ დავხურდავდებით), მაგრამ სააკაშვილი კატეგორიულად ითხოვდა პირველ ადგილს და „გაყალბების“ მოტივით „რევოლუცია“ მოაწყვეს. „გამარჯვებული ხალხის“ ტელევიზია კი უტიფრად გაიძახოდა, შევარდნაძის მომხრე ადამიანი ვერ ვიპოვეთ, სტუდიაში რომ მოვიყვანოთო!**

საკითხავია — თუ „ჭეშმარიტად მრავალპარტიული პარლამენტი“ ასეთი კარგი რამ ყოფილა, რისთვის მოაწყვეს ის რევოლუცია? თანაც, „გაყალბების“ წინააღმდეგ მებრძოლ რესპუბლიკელებს სირცხვილის განცდაც არ გასჩენიათ, როცა ხელახლა ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებზე **ხათუნა გოგორიშვილის** გვერდით ჩაეწერნენ სიაში.

ბერძენიშვილი თანმიმდევრულად ასაბუთებს მრავალპარტიულობის სიკეთეს: „ქართული პარლამენტი, მისი 5-6-7 პოლიტიკური სუბიექტით წარმოდგენილი, როცა არც ერთ პარტიას არ ექნება უმრავლესობა ცალკე აღებულს და ეს კარგია. საქართველო მიდის კოალიციისკენ. ეს არის მთავარი შედეგი ჩვენი ამ 4-წლიანი საქმიანობისა და ყველაზე კარგი სწორედ ეგ არის, რომ დღეს პირველად საქართველოს ისტორიაში, ქვეყანას ჰყავს ორპარტიული მთავრობა, მრავალპარტიული პარლამენტი და თვითმმართველობები და სამომავლოდ უკვე ცალ-ცალკე გასული პოლიტიკური სუბიექტები თავად წარუდგებიან ამომრჩეველს და ამომრჩეველი განსაზღვრავს, ვინ რა ღირს“.

**ვინ რა ღირს, არჩევნებზე გამოჩნდება. სავარაუდოდ, არც რესპუბლიკელები და არც „თავისუფალი დემოკრატები“ ივანიშვილს მილიონად აღარ უღირს, ეს 2012 წელს იყო ასე, როცა ერთად იყვნენ და „შუა გაკრიფეს“.**

**ბერძენიშვილის ლოგიკით, მრავალპარტიული პარლამენტი „ცუდი“ იყო 2003 წელს, მაგრამ კარგი იქნება ახლა, რადგან რესპუბლიკელებს დაწეული, 5%-იანი ბარიერის გადალახვის მხოლოდ თეორიული შანსი აქვთ. და კიდევ ერთი პარალელი: დღეს პარლამენტის თავმჯდომარე რესპუბლიკური პარტიის ლიდერია და ვინძლო, რევოლუციური სცენარის განვითარების შემთხვევაში, სახელმწიფო გადატრიალების ლეგიტიმაციაში გამოადგეთ.**

დავით ბერძენიშვილმა ასე დაალაგა ქართული პოლიტიკური სპექტრი: „დღეს ქართულ პოლიტიკურ სპექტრში სამი მიმართულებაა: ერთი არის პროდასავლური მიმართულების „თავისუფალი დემოკრატები“ და რესპუბლიკელები. სწორედ ამ ორი პარტიის ფასი კარგად იცოდა ბიძინა ივანიშვილმა, როცა 2011 წლის ოქტომბერში, პირველ რიგში, რესპუბლიკელებსა და ალასანიას „თავისუფალ დემოკრატებს“ დაუკავშირა თავისი პოლიტიკური პირველი ნაბიჯები. და სწორი აღმოჩნდა ის — არა მხოლოდ საგარეო-პოლიტიკური ვექტორის სწორად შერჩევის გამო, არამედ კვალიფიციურ პოლიტიკურ სუბიექტებთან ურთიერთობის გამო“.

**სიტყვა „კვალიფიციურის“ მნიშვნელობა ბერძენიშვილმა ძალიან კარგად იცის – კვალიფიციური პარტია, რომელმაც დამოუკიდებლად გადალახა საარჩევნო ბარიერი, ასეთი რამ კი არც რესპუბლიკელებისა და არც „თავისუფალი დემოკრატების“ პოლიტიკურ ბიოგრაფიაში ერთხელაც არ მომხდარა. თუ მოედავები, „კვალიფიციურობას“ მაღალი კვალიფიკაციით ახსნის, აკი რესპუბლიკელები თვითაღიარებული „ინტელექტუალები“ არიან!**

ერთი სიტყვით, ბერძენიშვილის შეფასებით, „დღესაც ჩვენ გვაქვს ის ვითარება, რომ საქართველოში 6-7 პოლიტიკური პარტია არის ძალიან კონკურენტუნარიანი, არის ფლანგი დასავლური – რესპუბლიკელების, „თავისუფალი დემოკრატების“ სახით წარმოდგენილი, არის 17-18-20-პროცენტიანი ნიშა არაევროპული, ანტიევროპული, ღიად თუ ნაკლებად ღიად დეკლარირებულ-არადეკლარირებული პრორუსებისა — ეს საპირისპირო ფლანგი და არის შუაში რაღაცა პოსტსაბჭოთა პარტია, როგორიც იყო მოქალაქეთა კავშირი და ვნახოთ, „ქართული ოცნებიდან“ ჩვენ მივიღებთ ნამდვილ პოლიტიკურ პარტიას — დემოკრატიული ღირებულებების მატარებელს, თუ იქნება დეკლარირებული ხაზი, როგორც შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირს“ ჰქონდა პროდასავლური, მაგრამ რეალურად სისტემა და მათი სტილი არ იყო დემოკრატიული“.

ფსევდოპატრიოტები, ანტიდასავლელები, ლენინელები, სტალინელები, პრორუსები, დეკლარირებული, ნახევრად დეკლარირებული... ასეთია რესპუბლიკური რიტორიკა ამ წინასაარჩევნოდაც. **პარტიები, რომლებიც მხოლოდ იმ დამსახურებისთვის ითხოვენ მხარდაჭერას, რომ „პროდასავლურები“ არიან, უთუოდ ხვდებიან, რომ გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონდეთ. ისიც მშვენივრად იციან, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში პრორუსული ძალა არ არსებობს. არის დასაბუთებული მოსაზრება, რომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა მოგვარდეს და საქართველო გამთლიანდეს.**

ამის საპირისპიროდ, **პროდასავლელები უკვე გვაგუებენ იმ აზრს, რომ საქართველო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე შეიძლება შევიდეს ნატოში. ამას „დანარჩენი საქართველოს უსაფრთხოებით“ ასაბუთებენ. სინამდვილეში ყველაფერი გაცილებით მარტივია: ეს პოლიტიკური პარტიები, წლებია, დასავლეთიდან საზრდოობენ, მათი ხელისუფლებაში მოყვანა მხოლოდ იქიდან დახმარებით არის შესაძლებელი და მომავალი არჩევნების ლეგიტიმაციასაც იქიდან ელიან. ქართველი ხალხი კი, მისი სურვილებითა და მოლოდინებით, მათ პოლიტიკურ დისკომფორტს უქმნის.**

უკვე ყბადაღებული ამერიკული გამოკითხვები კიდევ ერთხელ ამტკიცებს რწმენას, რომ **რევოლუციის მზადება დაწყებულია. ოკეანისგაღმელი ექსპერტებიც კი მიუთითებენ, რომ სააკაშვილის ლობისტების წინასწარი განცხადებები ერთადერთ მიზანს ემსახურება — არჩევნების ჩატარებამდე არჩევნების დისკრედიტაციას.**

ყველასთვის უცნობმა კონგრესმენმა **რასელმა** ორიოდე კვირის წინათ აშშ-ის პრეზიდენტს მოუწოდა საქართველოში წინასაარჩევნო პროცესების მონიტორინგის მხარდაჭერისკენ „ისე, როგორც ეს მოხდა ისტორიული მნიშვნელობის არჩევნების დროს 2003 წელს“.

კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი **ლინკოლნ მიტჩელი** ასე გამოეხმაურა რასელის გამოსვლას: „ამ მიდგომის პრობლემა, როგორც ის გაისმა რასელის კომენტარში, მდგომარეობს იმაში, რომ „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერები ცდილობენ იმაზე მეტის მოგებას არსებული სიტუაციიდან, ვიდრე ეს მათ რეალურად შეუძლიათ. მართალია, საქართველოს მსგავს ქვეყნებში ყოველთვის შეიძლება გაჩნდეს ეჭვები არჩევნებთან დაკავშირებით, მაგრამ იდეას, რომ ივანიშვილი უპირობოდ ემორჩილება ვლადიმერ პუტინს, არავინ იზიარებს, გარდა თავად „ნაცმოძრაობისა“ და მისი მხარდამჭერებისა ევროპელ და ამერიკელ მემარჯვენეთა შორის“.

რუსეთის თემით მანიპულირების მცდელობა, ნაციონალებისგან იქნება ეს თუ რესპუბლიკელებისგან, მხოლოდ ზრდის მათ მიერვე „პრორუსულად“ მონათლული პოლიტიკური ძალების გამარჯვების შანსს, რადგან ქართველ ამომრჩეველს, ამგვარი დასავლელი მეგობრების შემხედვარე, უკვე არა მხოლოდ ამ პარტიების მიმართ, არამედ, საზოგადოდ, დასავლეთის მიმართაც საბოლოოდ უცრუვდება იმედი.

რამდენად მრავალპარტიული იქნება მომავალი პარლამენტი, ამომრჩეველი განსაზღვრავს, თუმცა ერთის თქმა უთუოდ შეიძლება: **რევოლუციის ინსცენირება ერთობ რთული იქნება, რადგან ქვეყანაში არც რევოლუციური სიტუაციაა და არც რევოლუციის ლიდერები არიან. „ფერადი“ ტექნოლოგიებიც გვარიანად მოძველდა და მიწაზე ყურდადებული პოლიტიკოსების ეპოქაც ისტორიას ჩაბარდა. სხვა მხრივ კი, ჩემო დათო, ვერაფრით დაგეხმარები: მრავალპარტიული პარლამენტი უნდა შეგეშნოთ 2003 წელს, ახლა ისევ სააკაშვილთან თუ გაერთიანდებით, თორემ ძალიან ბევრნი ხართ, ვინც პროდასავლურ ელექტორატზე ნადირობთ, და ხმებს მხოლოდ ერთმანეთს თუ წაართმევთ!**

**ნანა დევდარიანი**
ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე 2003 წელს

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მათი მხრიდან, ვინც საქართველოს ნატოში მიღების გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, ამის სურვილსა და მზადყოფნას ვერ ვხედავ. ნატოს ძირითადი წევრი ქვეყნების ხელმძღვანელები და თანამდებობის პირები დელიკატურად, მაგრამ მაინც ხაზგასმით გვეუბნებიან, უახლოეს მომავალში ნატოში საქართველოსა და უკრაინის გაწევრების საკითხი არ განიხილება და, საერთოდ, ნატოს გაფართოება შეჩერებულიაო.**

# თამაზ მეჭიაური: «ქართული ოცნების» სიაში გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლები უცხოელი ლობისტების მეშვეობით აღმოჩნდნენ

**კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტარი თამაზ მეჭიაური, რესპუბლიკური პარტიისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსისადმი გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებებს გამო საკუთარი გუნდიდან, ფაქტობრივად, გარიყული აღმოჩნდა. ის არც რამდენიმე დღის წინათ გამართულ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს ყრილობას დასწრებია და უკვე პარტიის დატოვებაზეც ალაპარაკდა. მიმდინარე მოვლენებსა და სამომავლო გეგმებზე თამაზ მეჭიაური „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა.**

**— ბატონო თამაზ, თქვენ არ ესწრებოდით „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს ყრილობას, შეიძლება ითქვას, რომ ამიერიდან გუნდის წევრი აღარ ხართ?**

— ასე კატეგორიულიც არ მინდა ვიყო. რა თქმა უნდა, ბევრ საკითხში ამ გუნდის თანამოაზრე ვარ, მაგრამ არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებზეც ჩვენი აზრები გაიყო, მათ შორის, მთავარია ჩვენი ქვეყნის საგარეო კურსი.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ დღევანდელი მოცემულობით არავინ მიგვიღებს ნატოში, თუ უარს არ ვიტყვით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებაზე და, აქედან გამომდინარე, ნატოში შესვლა ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე არ უნდა მოხდესო. როგორ ფიქრობთ, რატომ აღმოჩნდა ეს განცხადება ასეთი მიუღებელი თქვენი გუნდისთვის, ხელისუფლების მთავარი მიზანიც ხომ სწორედ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა იყოს?**

— როგორც ყოფილი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, ასევე, შემდგომაც ჩვენთან რატომღაც ჩამოყალიბდა სტერეოტიპი, რომ ნატოსთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი ხელშეუხებელია. ყველაფერზე შეიძლება საუბარი, ყველაფრის, მათ შორის, ყველაზე წმინდა ფასეულობების, პატივსაცემი პიროვნების კრიტიკაც კი დასაშვებია და ეს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით აიხსნება, მაგრამ ტაბუდადებული და ხელშეუხებელია მხოლოდ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ, თუ ნატოს მიმართ ეჭვი გაგიჩნდა და კრიტიკული მოსაზრება ირიბად მაინც გამოთქვი, მაშინვე კრემლის აგენტად და სამშობლოს მოღალატედ შეგრაცხავენ. ეს არის მიზანმიმართული კამპანია, რომლის მძევალი ახალი ხელისუფლებაც გახდა.

საქართველოში მოდურია ასეთი ტენდენცია — იქმნება რაღაც ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც მაშინვე იწყებს სხვებთან შეჯიბრებას, რამდენად უფრო ევროატლანტიკურია, თუმცა **მათი მხრიდან, ვინც საქართველოს ნატოში მიღების გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, ამის სურვილსა და მზადყოფნას ვერ ვხედავ. ნატოს ძირითადი წევრი ქვეყნების ხელმძღვანელები და თანამდებობის პირები დელიკატურად, მაგრამ მაინც ხაზგასმით გვეუბნებიან, უახლოეს მომავალში ნატოში საქართველოსა და უკრაინის გაწევრების საკითხი არ განიხილება და, საერთოდ, ნატოს გაფართოება შეჩერებულიაო.** ის ადამიანები კი, რომლებზეც ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებული არ არის, აქტიურობენ და ჩვენს მოსახლეობას უმტკიცებენ, რომ საქართველო ნატოს წევრი აუცილებლად გახდებაო.

**— როგორც აღნიშნეთ, ნატოს წევრი არაერთი სახელმწიფოს წარმომადგენლისგან მოვისმინეთ განცხადება, რომ საქართველოს ჯერჯერობით ნატოში არ მიიღებენ. ამის მიუხედავად, ყველა ხელისუფალი საპირისპიროში რატომ არწმუნებს მოსახლეობას?**

— არ ვიცი, არა მგონია, ხელისუფლებაში ისეთი გულუბრყვილოები იყვნენ, რომ ვერ ხვდებოდნენ, რა ხდება სინამდვილეში. თუ პოლიტიკოსების ერთ ნაწილს, მაგალითად, ნაციონალებსა და რესპუბლიკელებს, შესაძლოა, გარკვეული ვალდებულებები აქვთ ქვეყნის გარეთ არსებულ პოლიტიკურ ძალებთან, ვინაიდან სწორედ მათი წყალობით მოხვდნენ ხელისუფლებაში, მიკვირს, რატომ არის ანალოგიურ აზრზე ეს ხელისუფლება...

**— მაგრამ დამოუკიდებელია კი ხელისუფლება? რაზე მიანიშნებს თუნდაც ის, რომ ნატოსადმი კრიტიკული განცხადების გამო გუნდის წევრებმა, ფაქტობრივად, გაგრიყეს...**

— მიმაჩნია, რომ ეს ხელისუფლებაც არ არის სრულიად დამოუკიდებელი და ზუსტად იმისთვის, რომ დამოუკიდებელი გახდეს ხელისუფლება, ხალხს არჩევანის საშუალება უნდა მივცეთ. ყველა გემოვნების ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს არჩევანის საშუალება, რადგან პარლამენტი სწორედ მოსახლეობის განწყობას უნდა ასახავდეს. დღეს კი ასე არ არის. „ქართულ ოცნებაში“ შეიყვანეს ისეთი პოლიტიკური ჯგუფები, რომლებსაც მოსახლეობის არანაირი მხარდაჭერა არ ჰქონდათ, მაგრამ უცხოელი ლობისტების წყალობით ისინი არა მხოლოდ პარტიულ სიაში და,შესაბამისად, პარლამენტში მოხვდნენ, არამედ უზარმაზარი სახელისუფლო ბერკეტები ჩაიგდეს ხელთ და ოთხი წლის განმავლობაში ქვეყანას, ფაქტობრივად, ისინი მართავდნენ.



**— ვინ უნდა აგოს პასუხი იმაზე, რომ ხალხის იმედები არ გამართლდა და პრეზიდენტი თუ კოალიციაში შემავალი პარტიები, მოდი, პირდაპირ ვთქვათ, ხალხმა მხოლოდ ერთი ადამიანის — ბიძინა ივანიშვილის გამო აირჩია?**

— პოლიტიკურ შეცდომებზე, რომლებსაც სერიოზული დანაშაული არ მოჰყოლია, პოლიტიკოსი ან პოლიტიკური გუნდი პასუხს აგებს არჩევნებზე, სადაც ის ხალხის, ამომრჩევლის მხარდაჭერას ვეღარ მიიღებს.

**«ქართულ ოცნებაში» შეიყვანეს ისეთი პოლიტიკური ჯგუფები, რომლებსაც მოსახლეობის არანაირი მხარდაჭერა არ ჰქონდათ, მაგრამ უცხოელი ლობისტების წყალობით ისინი არა მხოლოდ პარტიულ სიაში და,შესაბამისად, პარლამენტში მოხვდნენ, არამედ უზარმაზარი სახელისუფლო ბერკეტები ჩაიგდეს ხელთ და ოთხი წლის განმავლობაში ქვეყანას, ფაქტობრივად, ისინი მართავდნენ»**

**— რაც შეეხება რესპუბლიკელებს, თქვენ ხომ თავიდანვე იცოდით, რომ კოალიციაში იქნებოდნენ რესპუბლიკელები, მაგრამ დათანხმდით მათთან ერთ გუნდში მუშაობაზე. ისინი კარგა ხნის განმავლობაში არ გაგიკრიტიკებიათ. რატომ იყავით ჩუმად და რა მოხდა ბოლო პერიოდში ისეთი, რამაც თქვენი აღშფოთება გამოიწვია?**

— კენჭს, თავდაპირველად, მაჟორიტარ დეპუტატად ვიყრიდი, შემდეგ მთხოვა ბატონმა ბიძინამ და მოვხსენი ჩემი კანდიდატურა ისე, რომ სანაცვლოდ არაფერი მომითხოვია. სიაშიც სადღაც სამოცდამეერთედ ჩამსვეს. კრიტიკას რაც შეეხება, მინდა გითხრათ, რომ კოალიციისა თუ ფრაქციის დახურულ შეკრებებზე ერთმანეთისთვის კრიტიკა არ დაგვიკლია. სხვათა შორის, ჩემზე ღია თავდასხმები პირველად სწორედ რესპუბლიკელების მხრიდან დაიწყო. ერთი წლის წინათ, როდესაც პრეზიდენტი მარგველაშვილი გავაკრიტიკე, რესპუბლიკელები დამესხნენ თავს და შეურაცხმყოფელი გამოთქმები სწორედ მათგან წამოვიდა. ბოლო პერიოდში კი ჩვენი დაპირისპირება გამოიწვია იმან, რომ ქართულ-ამერიკული ერთობლივი წვრთნები გავაკრიტიკე, რადგან მიმაჩნია, რომ ეს წვრთნები ქვეყნისთვის საფრთხის შემცველია და შეიძლება სერიოზული პროვოცირების მიზეზიც გახდეს. სწორედ ჩემს ამ განცხადებას მოჰყვა რესპუბლიკელების მკვეთრი რეაქცია.

**— თუ პარტიას ჩამოაყალიბებთ, რა იქნება თქვენთვის პრიორიტეტული საგარეო-პოლიტიკური მიმართულებით?**

— თუ საკუთარ პარტიას ჩამოვაყალიბებ, ამით მოსახლეობას მივცემ არჩევანის უფლებას. ეს არჩევნები იქნება ერთგვარი რეფერენდუმი იმის გასაგებად, — რა სურს მოსახლეობას. **იმ ამომრჩეველსაც უნდა ჰქონდეს სასურველი პოლიტიკური გუნდის არჩევის საშუალება, რომელსაც ნატოს მიმართულებით უნდა სვლა; იმასაც, ვინც მოსკოვში ხედავს ხსნას; და იმასაც, ვისაც ეროვნულ ფასეულობებზე ორიენტირებული ხელისუფალის არჩევა სურს.** და თუ ხალხის ნება იქნება, მომავალ პარლამენტში დიდი უმრავლესობით მოვლენ ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც უფრო ეროვნულ ფასეულობებზე იქნებიან ორიენტირებულნი. წინა პლანზე ჩვენი ქვეყნის ინტერესი უნდა იყოს წამოწეული (და არა სხვა დანარჩენი, დასავლეთი იქნება ეს, ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი თუ სამხრეთი) და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, თვითმყოფადობისა და ფასეულობების შენარჩუნებას უნდა ემსახურებოდეს.

ამერიკასთან, რუსეთთან თუ ნებისმიერ ქვეყანასთან ურთიერთობა უნდა იყოს მხოლოდ საშუალება მიზნის მისაღწევად, თორემ ზოგიერთს პროდასავლელობა ნატოს მხარდაჭერად წარმოუდგენია და ჰგონია, რომ მაინცდამაინც იქიდან ვიღაცამ იძულებით უნდა მოახვიოს თავს ხელისუფლებას, სიებში მათთვის სასურველი პოლიტიკოსები შეიყვანოს, როგორც 2012 წელს მოხდა. დარწმუნებული ვარ, **„ქართული ოცნების“ სიაში გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლები უცხოელი ლობისტების მეშვეობით აღმოჩნდნენ, რომლებიც შემდგომ, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უცხოელი ლობისტების წინაშე ვალში იყვნენ, ჩვენს ქვეყანაში მათ პოლიტიკას ატარებდნენ და გარედან თავს მოხვეული გადაწყვეტილებების მიღებას ლობირებდნენ.**

ასევე დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ ის მის მიერვე შექმნილი პოლიტიკური გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელია, არჩევნების ობიექტურად ჩატარებას უზრუნველყოფს. ეს შეიძლება ქართული სინამდვილისთვის შეუთავსებელი ცნებებია, მაგრამ დარწმუნებული ვარ მის პატიოსნებაში, ის მოსახლეობას თავისი ნების გამოხატვის საშუალებას მისცემს.

**— საბოლოო გადაწყვეტილებას პრემიერმი-** ▶

**„თუ ახლა ვინმე ფიქრობს, რომ საქართველო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე უნდა გახდეს ნატოს წევრი, ამაზე მოსახლეობას, რა თქმა უნდა, არ მიუცია მანდატი ხელისუფლებისთვის, ამიტომ ასეთ საკითხზე ხელახალი რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საქართველოს ნატოს წევრობაზე საუბარი, მაგრამ, საქართველოს მოსახლეობის ამჟამინდელი განწყობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ასეთ გადაწყვეტილებას მოსახლეობის უმრავლესობა მხარს არ დაუჭერს“**

**სრულიად საქართველო ვალებშია ჩაფლული და საქართველოს ტელევიზია რეკლამებს ავრცელებს, როგორ ისესხონ სწრაფად და უპრობლემოდ ბანკებისგან ფული. ვალს გასტუმრება უნდა და, რა პირობებით გვასტუმრებინებს ბანკები ამ ვალს, ყველამ კარგად ვიცით“.**

შორია ბურჯისტანამდე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნისტრთან შეხვედრის შემდეგ მიიღებთ?**

— დიახ, გადაწყვეტილება თითქმის მიღებული მაქვს, მაგრამ ვაპირებ, ბოლომდე გავარკვიო ურთიერთობები ყოფილ და ახლანდელ პრემიერებთან. ეს პროცესი, ფაქტობრივად, დაწყებულია. **ბატონ ბიძინა ივანიშვილთან კონსულტაციები დავამთავრე და ახლა ვაპირებ, გიორგი კვირიკაშვილს შევხვდე,** რადგან მას დიდ პატივს ვცემ და ამას გარდა, არ მიმაჩნია მართებულად, როდესაც თანაგუნდელები ერთმანეთს ლანძღვითა და ქვების სროლით შორდებიან. გავესაუბრები და საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებ.

**— ბიძინა ივანიშვილმა როგორ შეაფასა თქვენი ბოლოდროინდელი განცხადებები?**

— ზრდასრული ადამიანები ვართ და ერთმანეთის მოსაზრებებს პატივს ვცემთ მაშინაც კი, თუ ეს მოსაზრებები განსხვავებულია. რა თქმა უნდა, ის ცდილობდა, დაესაბუთებინა, რომ ჩემს აზრს არ აქვს პერსპექტივა; მე კი, მიუხედავად ჩემი მისდამი პატივისცემისა, ვერ მივიღე ყველა კითხვაზე ისეთი პასუხი, რომელიც დამარწმუნებდა, რომ ნატოს წევრობა უახლოეს მომავალში შესაძლებელია...

და მოდი, ისიც ვთქვათ, რომ წევრობასაც გააჩნია. როდესაც თავის დროზე, პლებისციტის შედეგად, ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ნატოს წევრობას, იგულისხმებოდა, რომ საქართველო ყველა თავისი ტერიტორიით უნდა ყოფილიყო ნატოს წევრი. და, **თუ ახლა ვინმე ფიქრობს, რომ საქართველო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე უნდა გახდეს ნატოს წევრი, ამაზე მოსახლეობას, რა თქმა უნდა, არ მიუცია მანდატი ხელისუფლებისთვის. ამიტომ ასეთ საკითხზე ხელახალი რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საქართველოს ნატოს წევრობაზე საუბარი.** მაგრამ საქართველოს მოსახლეობის ამჟამინდელი განწყობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ასეთ გადაწყვეტილებას მოსახლეობის უმრავლესობა მხარს არ დაუჭერს.

**— პაატა ბურჭულაძემ ხელისუფლების მწვავე კრიტიკა დაიწყო და ახალი გუნდითა და სერიოზული მიზნებით მოდის პოლიტიკაში. მასთან თუ ითანამშრომლებთ?**

— პაატა ბურჭულაძესთან თანამშრომლობა დაახლოებით ნიშნავს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ თანამშრომლობას და, ალბათ, მასთანაც ისევე ვითანამშრომლებთ, როგორც ნაციონალებთან. პაატა ბურჭულაძის პარტია ნაციონალების ერთ-ერთი განშტოებაა.

**— „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სია ცნობილია. როგორ შეაფასებთ ახალ შემადგენლობას?**

— კომენტარისგან თავს შევიკავებ, რადგან ნაკლებად ვიცნობ ახალ სახეებს. ისინი რატომღაც არ მახსოვს იმ პერიოდიდან, როდესაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ პროცესებში ჩაერთო...

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

# «ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება აბსოლუტურად მიუღებელია ქართული კულტურისთვის, საერთოდ, კაცობრიობისთვის»

**ჩვენი რესპონდენტი, 47 წლის მუსიკოსი მაია სიხარულიძე, პროფესიით მევიოლინე, იტალიაში, ვენეციასთან ახლოს, ქალაქ ლუგო დი ვიჩენცაში ცხოვრობს. ქალბატონი მაია, რამდენიმე წელია, თავისი პროფესიით აღარ მუშაობს, მაგრამ მისი უდიდესი სურვილია, დაბრუნდეს საქართველოში და ქართული კულტურის განვითარებაში წვლილი შეიტანოს.**



**— ქალბატონო მაია, რატომ წახვედით საქართველოდან?**

— საქართველო ისე უცნაურად და სწრაფად დავტოვე, რომ, შეიძლება ითქვას, თვალის დახამხამებაც კი ვერ მოვასწარი.

1993 წლის ივნისის შუა რიცხვები იყო. თბილისში სამოქალაქო ომი ახალი დამთავრებული იყო. უშუქობა, უწყლობა, ტალონებით ვყიდულობდით პურს, ფქვილსა და სხვადასხვა პროდუქტს... ამ პერიოდში ჰუმანიტარული დახმარების მიზნით საქართველოში ჩამოვიდა იტალიელთა ჯგუფი. ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, მწერალი და მკვლევარი, დავაახლოვე მწერალსა და ეზოთერიკოს **გივი ალაზნისპირელსა** და **გიორგი იბერიონს,** რომლებიც ნუნისში იმყოფებოდნენ და ამტკიცებდნენ, ნუნისის მთა წმინდაა და იქ ნოეს კიდობანი იყოო. მათთან ურთიერთობამ დიდი გამოცდილება შემძინა, გავიღრმავე იტალიური ენის ცოდნა და საბოლოოდ აღმოვჩნდი ამ ადამიანის სტუმარი მილანში. იმავე პერიოდში სრულიად შემთხვევით მიმიწვიეს იტალიის კუნძულ სარდინიაზე ქართული კულტურის ცენტრის დასაარსებლად და თარჯიმნად. ეს პროექტი არ განხორციელდა ეკონომიკური კრიზისის გამო, მაგრამ მე იმ მომენტისათვის უკვე მილანში ვიმყოფებოდი და ველოდებოდი ქართველებს. მგზავრობისას თვითმფრინავში გავიცანი იტალიელი მეწარმე, რომელიც რუსეთიდან ბრუნდებოდა სამშობლოში. მან დახმარება შემომთავაზა და მითხრა, თუ რამე გაგიჭირდება იტალიაში, ჩემი იმედი გქონდესო. ასეც მოხდა, იტალიაში ეულად შემოვრჩი და, როდესაც უკან დაბრუნება დავაპირე, ჩემმა ტელეფონმა დარეკა — ეს იყო თვითმფრინავში გაცნობილი იტალიელი მეწარმე. მან ახსნა-განმარტების შემდეგ მიმიწვია თავის ქალაქში, სადაც მიმასპინძლა მისმა მეგობარმა, რომელიც მოგვიანებით ჩემი მეუღლე გახდა. შევქმენით ოჯახი და გვყავს სამი შვილი.

**— როგორი სიტუაციაა იტალიაში, როგორი ხელისუფლება ჰყავთ იტალიელებს და რას ამბობენ ქართველებზე?**

— ქართველებს ჰგონიათ, რომ აქ ცხოვრება მარტივია — სამსახურის შოვნა, ადამიანებთან ურთიერთობა. ძალიან ბევრ ქართველს ვიცნობ და ვიცი, რა მძიმე პირობებში უწევთ მუშაობა იტალიაში. **ენის უცოდინარობაც დიდი პრობლემაა, რადგან იტალიაში თითქმის არავინ ლაპარაკობს ინგლისურად, მით უმეტეს, იმ ოჯახებში, რომლებშიც ჩვენებს, ძირითადად, ხანდაზმულების მოვლა უწევთ.** იტალიელები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან: ჩრდილოელები უფრო ცივი და უკარება ხალხია, სამხრეთელები კი — უფრო გახსნილები და პირდაპირები. ძალიან რთულია სხვა ქვეყანაში ცხოვრება, მათი ტრადიციებისა და ფსიქოლოგიის გაგება. **მინდა, თანამემამულეებს ვუთხრა, რომ მე ვეთაყვანები ქართულ კულტურას, ქართველების ნიჭს, მათ მოხერხებულობას და ვფიქრობ, ვისაც ეს თვისებები აქვს, საქართველოშიც შეძლებს საქმის კეთებასა და წარმატების მიღწევას.** აქ ყველაფერი რთულია — სახელმწიფო ძალიან ბიუროკრატიულია, პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია — მძიმე, **სირიიდან და აფრიკის ქვეყნებიდან ლტოლვილების ნაკადი შემოდის, იტალიელები კი, სამწუხაროდ, ტოვებენ სამშობლოს.** მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად ბევრია კარგი ქართველი, რომლებიც იტალიაში მხოლოდ სამუშაოდ ჩამოდიან და თავიანთ საქმეს პირნათლად ასრულებენ, საკმაოდაა ისეთიც, რომელსაც სულაც არ ხიბლავს მუშაობა და მარტივ გამოსავალს ეძებს — ქურდობს და ა.შ., ამიტომ ზოგ რეგიონში ქართველებზე ცუდი წარმოდგენა აქვთ.

**«მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად ბევრია კარგი ქართველი, რომელიც იტალიაში მხოლოდ სამუშაოდ ჩამოდის და თავის საქმეს პირნათლად ასრულებს, საკმაოდაა ისეთიც, რომელსაც სულაც არ ხიბლავს მუშაობა და მარტივ გამოსავალს ეძებს — ქურდობს და ა.შ. ამიტომ ზოგ რეგიონში ქართველებზე ცუდი წარმოდგენა აქვთ»**

**— ევროპას ბევრი ლტოლვილი მიაწყდა, განსაკუთრებით — გერმანიის, სადაც თვითონ ხელისუფლება უწყობს ხელს ქვეყანაში ლტოლვილთა ნაკადის შესვლას. რა სიტუაციაა იტალიაში, როგორი დამოკიდებულება აქვს მოსახლეობას ლტოლვილების მიმართ?**

— იტალიის სამხრეთში ლტოლვილთა თავშესაფრები გადავსებულია. სახელმწიფომ ბევრი ლტოლვილი შეიფარა და, ფაქტობრივად, შეუძლებელია ამაზე მეტი მიგრანტის მიღება. ისინი უფრო სამხრეთში არიან და იქ კრიმინალური სიტუაციაც გამწვავებულია. **ქურდობენ არა მხოლოდ სირიელი ლტოლვილები, არამედ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები, მათ შორის, ბალკანეთის ნახევარკუნძულიდანაც. შესაბამისად, იტალიელები აგრესიულად არიან განწყობილნი მათ მიმართ.**

**— საქართველოში აქტიურად განიხილავენ ერთი და იმავე სქესის პირთა ერთმანეთზე დაქორწინების დაკანონების საკითხს. როგორი დამოკიდებულება აქვთ იტალიელებს მათ მიმართ და თავად რას ფიქრობთ, უნდა მიიღონ ეს კანონი საქართველოში?**

— **სამწუხაროდ, რამდენიმე დღის წინათ იტალიის პარლამენტმაც მიიღო კანონი ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე. აღშფოთებული ვარ, რომ ასეთ კანონზე საქართველოს პარლამენტშიც საუბრობენ! ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება აბსოლუტურად მიუღებელია ქართული კულტურისთვის და, საერთოდ, კაცობრიობისთვის.**

**— იტალიაში მცხოვრები ქართველები ჩართული თუ ხართ საქართველოს შიგა პოლიტიკურ საქმიანობაში და რას ფიქრობთ დღევანდელ ხელისუფლებაზე?**

— სახელმწიფომ, პირველ რიგში, ახალგაზრდები უნდა დაასაქმოს და პენსიონერებს უნდა მისცეს ნორმალურად ცხოვრების საშუალება. პენსია, სულ ცოტა, 500 ლარი მაინც უნდა იყოს. **სრულიად საქართველო ვალებშია ჩაფლული და საქართველოს ტელევიზია რეკლამებს ავრცელებს, როგორ ისესხონ სწრაფად და უპრობლემოდ ბანკებისგან ფული. ვალს გასტუმრება უნდა და, თანაც, რა პირობებით გვასტუმრებინებს ბანკები ამ ვალს, ყველამ კარგად ვიცით. ბოლო პერიოდში განხორციელდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს უცხოელი ვარსკვლავების მოწვევას საქართველოში. ამისთვის კულტურის სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღო 29 მილიონი ლარი. თუ სახელმწიფოს ჰქონდა ეს თანხა, რატომ არ შეიძლებოდა, გაზრდილიყო პენსიები და დახმარებოდნენ ამდენ უპატრონო და მშიერ ოჯახს?!** ძალიან გულდასაწყვეტია, ასეთი ფაქტები რომ ხდება ქვეყანაში, სადაც უამრავი პრობლემაა!

**— ქალბატონო მაია, როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

— ვგეგმავ საქართველოში დაბრუნებას და დიდი სურვილი მაქვს, ტურიზმის განვითარებას შევუწყო ხელი. მწამს, რომ ამ სფეროში საქართველო მეტად მიმზიდველი ქვეყანა გახდება. ჩემი ოცნება ახდა — შევქმენი ქართული კულტურის ცენტრი. მილანში ჩვენი დიასპორის დიდი ნაწილია. იქ ჩვენი საამაყო ემიგრანტი, მუდამ საქართველოზე ფიქრით გამსჭვალული ქალბატონი, რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის დამაარსებელი ბერგამოს უნივერსიტეტში, აწ გარდაცვლილი **ნინო ყაუხჩიშვილი** ატარებდა შეხვედრებს. მისი ღვაწლი ქართული კულტურის პოპულარიზაციაში უდიდესია. მისი და რამდენიმე ქართველის ინიციატივით დაფუძნდა საზოგადოება „სამშობლო გულით სატარებელი“. უკვე 15 წელია, საზოგადოება არსებობს და ვასრულებთ ქალბატონი ნინოს მიერ დატოვებულ ანდერძს — საქართველოს ვაცნობთ იტალიელებს. უამრავი კონცერტი, ქართული ფილმების ჩვენება, წიგნების პრეზენტაცია, კონფერენცია ქართული მეღვინეობის შესახებ და სხვა კულტურული ღონისძიებები ჩავატარეთ, რომლებშიც აქტიურად მონაწილებს ჩვენი გუნდი „სინტონია თბილისი“, რომელიც დედაჩემმა **გულიკო ლომთათიძემ** და მე ჩამოვაყალიბეთ. ვენეტოელი ქალბატონებისაგან შემდგარმა მომღერლთა ჯგუფმა აირჩია, რომ მხოლოდ ქართული სიმღერები შეესრულებინა და ჩვენც ვასწავლით, როგორც შეგვიძლია.

ესაუბრა **ქრისტინე ტოგონიძე**

**«ბოლო პერიოდში განხორციელდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს უცხოელი ვარსკვლავების მოწვევას საქართველოში. ამისათვის კულტურის სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 29 მილიონი ლარი მიიღო. თუ სახელმწიფოს ჰქონდა ეს თანხა, რატომ არ შეიძლებოდა, გაზრდილიყო პენსიები და დახმარებოდნენ ამდენ უპატრონო და მშიერ ოჯახს?! ძალიან გულდასაწყვეტია, ასეთი ფაქტები რომ ხდება ქვეყანაში, სადაც უამრავი პრობლემაა!»**

ავი მუსაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს, მოკავშირე კი არა, მფარველი სჭირდება ამ გახლისტებულ-გაპედერასტებულ მსოფლიოში, ძლიერი და ერთმორწმუნე მფარველი. ასეთი კი მხოლოდ რუსეთი მეგულება და ეგულებოდათ ჩვენს დიდ წინაპრებს.**

# «ნუ დაამდებ ძველთა გზათა, ნურცა ხსოვნას წინაპართა!»

**ბოლო დღეებია, საქართველოს ხელისუფლებაც და ოპოზიციაც (არასაპარლამენტოც), აგრეთვე, დასავლეთიდან (ძირითადად, ამერიკიდან) გულუხვად დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებიც (ასო), თითქოს კოლექტიური ფსიქოზი შეჰყრიათო, პირზე დუჟმორეული იცავენ ვითომ ქართველი ხალხის ევროატლანტიკურ არჩევანს, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ამაზრზენი შეჯიბრება — ვინ უკეთ დაუმტკიცებს ერთგულებას ოკეანისგაღმელ პატრონებს.**



თანაც ეს თანამედროვე შადიმანები, ყველა ერთად და ცალ-ცალკე, როგორც წესი, ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკობენ ტელე თუ ბეჭდვით მედიასაშუალებებში, რომლებიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ასევე პრონატოურ-პროდასავლურად არიან განწყობილნი, რადგან ისინიც „იქიდან“ ჭამენ პურს და ამიტომ ცეცხლზე ნავთს ასხამენ, რითაც კოლექტიური ნევროზი დამართეს ქართველ საზოგადოებას.

ვინ არიან საზოგადოების სახელით პრონატოურად მოჟღურტულე შადიმანები? — **მეოცნებე ქოცები, ნაცები, თავიანთი გირჩებ-ვაშაძეებით, მილიონერობაზე მეოცნებე გუბაზ სანიკიძის „ეროვნული ფორუმი“, ირაკლი ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“, ზვიად ძიძიგურის კონსერვატორები, რესპუბლიკელი ხლისტები...**

მეტ-ნაკლებად სამართლიანი არჩევნების შემთხვევაში, ჩამოთვლილთაგან მხოლოდ ქოცებსა და ნაცებს (სამწუხაროდ) არ ექნებათ ბარიერის გადალახვის პრობლემა. რაც შეეხება დანარჩენებს, სავარაუდოდ, მხოლოდ ალასანიას პარტია „ითამაშებს“ ბარიერთან ახლოს — ან შევა პარლამენტში, ან ვერა, ხოლო სხვების შანსები ან რესპუბლიკელი ხლისტების მსგავსად ნულოვანია, ან ისე უმნიშვნელო, რომ მათზე ლაპარაკიც არ ღირს.

აქედან გამომდინარე, ესენი ყველაფრის მკადრებელნი არიან...

ახლა არასაპარლამენტო შადიმანებისაც ვთქვათ:

**ახალი მემარჯვენეები, გნებავთ, იგივე ძველი თითლიბაზები, ბაჩუკი ქარდავას ედპ, პაატა დავითაიას ევროპელი დემოკრატები, სააკაშვილის პაატა ბურჭულაძე** და ა.შ. თუ ვინმე გამომრჩა არასაპარლამენტო შადიმანთაგან, მეპატიოს...

ესენიც ყველაფრის მკადრებელნი არიან, მაგრამ მათგან, ერთის გარდა, სათვალავში ჩასაგდები არავინ არის, რადგან მათ ენ-დი-აისა და აი-რაი-ს გაყალბებულ გამოკითხვებშიც კი „პულსი არ ესინჯებათ“. ის „ერთი“ კი სააკაშვილის პაატა ბურჭულაძეა, რომელმაც განაცხადა, ისეთი მდგომარეობა ქვეყანაში, რომელიც ერთი კაცის ნებაზე იმართება, არ შემეძლო, პოლიტიკაში არ მოვსულიყავიო(?!).

**ქოცებისა და, მით უმეტეს, იმ „ერთი კაცის“ — ბიძინა ივანიშვილის — ადვოკატობას არ ვაპირებ, მაგრამ იმას მაინც ვერავინ და ვერაფერი მათქმევინებს, რომ სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმი სჯობდა დღევანდელს.**

პაატა ბურჭულაძე — ეს ის ქართველი **შალიაპინია**, რომლის ხმაც ერთმმართველი შიზოფრენიკის საქართველოში მხოლოდ სცენიდან ისმოდა და „იავნანათი“ სააკაშვილის მშვიდ ძილს დარაჯობდა.

ეს ის **ფიგაროა**, რომელიც მიშას გამო ყველგან იყო — უკრაინაშიც კი ჩააკითხა ოდესის გუბერნატორს და სოლოარიით დაუჭირა მხარი.

**ეს ის მსოფლიო ბანია, რომელიც 9 წლის განმავლობაში ქართველთა სისხლსა და ცრემლში მობანავე მიშას „მოსაბანად“ მოვიდა პოლიტიკაში.**

ახლა ამ ქლესას „დამრტყმელი ძალა“ ნახეთ:

**ხათუნა ლაგაზიძე, ვანო მაჭავარიანი** და ამ „ძალის“ მშვენება — **გიორგი თარგამაძე** (იგივე შადიმანა, იგივე „გალსტუკიანი ხვლიკი“).

ამ შარში გახვევას, არ ერჩივნა, დილაობით თოხლო კვერცხი ეყლაპა, იქნებ პაწა ხანს კიდევ ემღერა?!

ზემონახსენები ე.წ. პოლიტიკოსები, ყველანი ერთად და ცალ-ცალკე, ხალხის სახელით ლაპარაკობენ და, ასევე, ყველას ერთად და ცალ-ცალკე ქართველი ხალხი ფეხებზე ჰკიდია. **მომავალ არჩევნებზე ალასანია-ნაცებ-გირჩ-რესპებ-ბანები იმედოვნებენ, რომ ამერიკის საელჩო პირველი აღიარებს აი-რაისა და ენ-დი-აის მიერ მიწერილი რეიტინგების მიხედვით გაყალბებული არჩევნების შედეგებს. ხოლო სხვებს, რომლებიც ხსენებული ინსტიტუტების გამოკითხვებში ვერ მოხვდნენ, ყალბი რეიტინგების მქონე პარტიებთან მიერთების იმედი აქვთ.**

მკითხველი შეამჩნევდა, ალბათ, რომ არ გვიხსენებია ოპოზიციური ფლანგის რეალური ლიდერი პარტიები, რომელთა სრულად იგნორირება, მართალია, ვერ გაბედეს ამერიკულმა ოდიოზურმა ინსტიტუტებმა, მაგრამ აშკარად დაბალი რეიტინგები დაუწერეს.

**ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა“; გოგი თოფაძის „მრეწველები“ და დავით თარხან-მოურავისა და ირმა ინაშვილის „პატრიოტთა ალიანსი“ სრულიად შეგნებულად მოვიტოვე ბოლოსთვის, რადგან მათ, იდეოლოგიური სხვაობის მიუხედავად, ერთი რამ მაინც აქვთ საერთო და სწორედ ამ „საერთოს“ გამო არიან მიუღებელნი დასავლეთისთვის...**

იმას, რაც **თამაზ მეჭიაურმა** თქვა და რისთვისაც ლამის შეჭამეს ეს ქართველი კაცი, დიდი ხანია, სამივე პარტია აღიარებს — ნატო კარგია, მაგრამ იქ საქართველოს არასდროს მიიღებენ, ამიტომ ნატოზე ლაპარაკით საზოგადოების „დაბოლებას“ თავი უნდა დავანებოთ და მხოლოდ ევროკავშირში გასაწევრებლად უნდა ვილვაწოთ. აღარაფერს ვიტყვი ამ პარტიების ლიდერთა მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებაზე ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების მიმართ...

„ნატო კარგია, მაგრამ...“ — ეს, ერთი შეხედვით, სრულიად გასაგებ-მისაღები პოზიციაა, დასავლეთის მიმართ კეკლუცობის ელემენტებს რომ არ შეიცავდეს. თუმცა ეს კეკლუცობაც შეიძლება ტაქტიკურ სვლად ჩაეთვალოთ სტრატეგიული მიზნის — ხელისუფლებაში მოსვლის მისაღწევად. ჩვენს ბედს ხომ ოკეანისგაღმელები განაგებენ და არჩევნების შედეგებსაც ისინი აკონტროლებენ?! მაგრამ, რაც გუშინ გამართლებული იყო, დღეს იქნებ უკვე გაუმართლებელი სიფრთხილეა?

**ხომ არ დადგა დრო, ეს პარტიები, რომელთა ერთგულებაში ეროვნული ღირებულებების მიმართ ეჭვის შეტანა შეუძლებელია, დასავლეთში (წაიკითხე, აშშ) მოკავშირეთა ამაო ძებნას შეეშვან და ერთადერთ მოკავშირედ ქართველი ხალხი აღიარონ?**

საზოგადოდ, არჩევნების მიმართ ნიჰილისტურად განწყობილ საქართველოში ეროვნულ-ტრადიციული, მართლმადიდებლური ფასეულობების მაღიარებელი ოპოზიციის ამოცანა ამომრჩეველთა მაქსიმალური მობილიზება უნდა იყოს.

ამისთვის კი საზოგადოების გამღიზიანებელი ფაქტორის მოძებნაა საჭირო; ისეთის ან დაახლოებით ისეთის, როგორიც 2012 წელს ე.წ. ციხის კადრები იყო.

**ასეთი ფაქტორი კი შეიძლება იყოს დასავლეთის მიმართ კეკლუცობისთვის თავის დანებება და ყველაფრისთვის თავის სახელის დარქმევა.**

„ნატო კარგია, მაგრამ“ კი არა, „ხვალვე რომ მიგვიღონ, მერე რა?“ — ასე უნდა დაისვას კითხვა, რომელსაც იქვე უნდა მოჰყვეს პასუხი-კონტრშეკითხვა, მაგალითად, „ხვალ პუტინი რომ გაგიჟდეს და ტანკები შეიყვანოს ნატოს წევრ ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ავტომატურად ამუშავდება ნატოს წესდების ყბადაღებული მე-5 მუხლი და ნატო (წაიკითხე, აშშ) ომს დაუწყებს რუსეთს?“ რა თქმა უნდა, არა და ასე იქნება საქართველოს შემთხვევაშიც.

მით უმეტეს, რომ ამის მწარე გამოცდილება 2008 წელს შევიძინეთ ცხინვალში და აგერ ახლახან — უკრაინაში, როდესაც დასავლეთის (წაიკითხე, ნატო) პასუხი რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიაზე აღშფოთება-შეშფოთებასა და ეკონომიკურ სანქციებს არ გასცდენია.

**ნატოსი არ იყოს, მსგავსი კითხვის დასმა შეიძლება ევროკავშირის მიმართაც — სად, რომელ ევროპაში მივდივართ, რომელსაც თავისი გასჭირვებია და, დღეს თუ არა, ხვალ დაიშლება? ან დავუშვათ და მიგვიღეს, რა ხეირი საქართველოს სოდომ-გომორის გარყვნილებაში ჩაძირვის მეტი?!**

აა, უვიზო მიმოსვლა და მოწინავე ტექნოლოგიები?

წადით და ნახეთ, რა მოწინავე ტექნოლოგიებიც მიიღეს ბალტიის ქვეყნებმა. რაც საბჭოთა პერიოდიდან ჰქონდათ შემორჩენილი (რადიოქარხანა თუ ატომური ელექტროსადგური, შაქრის ქარხანა და ა.შ.), დაახურინეს და ტოტალურ უმუშევრობას სწორედ უვიზო მიმოსვლის წყალობით განერიდა ბალტიისპირელი ახალგაზრდობა, თანაც უკან დაბრუნების მიზერული ალბათობით. ჰოდა, ასე იქნება საქართველოც უქართველებოდ, თუ ე.წ. ვიზალიბერალიზაცია მოგვაშავეს.

ჯერ „ნატო კარგია, მაგრამ“-ის გამო მიაწერეს იარლიყი „რუსეთუმე“ ზემოხსენებულ ოპოზიციურ ტრიოს და, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, თუ ჩვენ მიერ შეთავაზებული შეკითხვების დასმა გაბედეს, რადგან ეს თავისთავად გულისხმობს საგარეო ვექტორის რუსეთის მიმართულებით შეცვლას...

ჰოდა, როგორც იტყვიან, „საცა ვიწროა, იქ გაწყდეს“ და ბოლომდე ვთქვათ სიმართლე:

**საქართველოს, მოკავშირე კი არა, მფარველი სჭირდება ამ გახლისტებულ-გაპედერასტებულ მსოფლიოში. ძლიერი და ერთმორწმუნე მფარველი. ასეთი კი მხოლოდ რუსეთი მეგულება და ეგულებოდათ ჩვენს დიდ წინაპრებს.**

ამიტომ დავასათაურე ეს წერილი ასე და „ოკუპანტი“ რუსეთის მიმართ ჩვენი დიდი წინაპრების გამონათქვამები უნდა ვურტყათ ცხვირში შინაურ თუ გარეულ რუსოფობებს:

**„რატომ დავმალოთ, ჩვენ უთუოდ გვიყვარს ჩვენი სამშობლო და რად ვიცრუოთ, ჩვენი სამშობლო რომ გვიყვარს, მხოლოდ ამიტომ გვიყვარს რუსეთიცა. ეს ასეთი ბუნებრივი ჩვეულებრივი და გასაგებია ჩვენი მამაპაპური ზნეობისა გამო. რუსეთმა დაიფარა ჩვენი სამშობლო დარბევისა და დამცირებისაგან, იგი ამჟამადაც აშორებს მას უწინდელ ავბედობა-განსაცდელს. რუსეთმა განკურნა ჩვენი სამშობლოს წყლულნი... ჩვენი სამშობლოს სიყვარული თვითონ არის ნაყოფიერი ნიადაგი, სადაც ფესვიანდება, იზრდება და ძლიერდება ჩვენი კეთილი დამოკიდებულება და ერთგულება რუსეთისადმი“.**

ეს **ილიას** ნათქვამია 1899 წელს და აჰა, ქვემოთ ამონარიდი **აკაკის** მიერ 1895 წელს დაწერილი პოემიდან „თერთმეტი ენკენისთვე“:

**„კავშირი ძმური და
მეგობრული...
და, ვინც იფიქროს
მისი გაწყვეტა,
იყოს წყეული,
ღვთისაგან კრული...
ასე ფიქრობდნენ,
რომ გვიანდერძეს
მათი განზრახვა
სახელმძღვანელოდ,
და მათი ღირსი
აღარ ვიქნებით,
ეს გრძნობა გულში
რომ გავინელოთ“.**

ახლა მავანი შეიძლება გამოხტეს და დამამუნათოს — „დამეხსენი ჩრდილოელოც“ აკაკის დაწერილია, ხოლო „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“ ილიას ნათქვამიაო და, ერთი შეხედვით, თითქოს ჩაგვჭრიან, არა?

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან ერთმაც და მეორემაც ყმაწვილკაცობაში თქვეს ის, რითაც სურთ ჩვენი დამუნათება. ხოლო უკვე ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებულმა საქართველოს ბულბულმა და საქართველოს უგვირგვინო მეფემ თქვეს ის, რაც ზემოთ მოვიყვანეთ.

უფრო მეტიც, **ილია ჭავჭავაძე მიხვდა: საქართველო, რომ გადარჩენილიყო, ვიღაცას უნდა მიყუდებოდა, დაყრდნობოდა და ამ საყრდენად სწორედ მაშინ აღიარა ერთმორწმუნე რუსეთი, როდესაც მას, დღევანდელივით 22 კი არა, მთელი 100 % ჰქონდა ოკუპირებული, ანუ როცა რუსეთის იმპერიის ნაწილი ვიყავით. იმპერიისა, რომელში შესვლამაც გააერთიანა საუკუნეების წინ დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველო და ყველაზე მთავარი — ქართველი ერი ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა.**

ასე რომ, იქნებ ყურად ილონ წერილში გამოთქმული მოსაზრებები ხსენებული ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა, წინასაარჩევნოდ მაინც გაერთიანდნენ და ერთ ბლოკად გავიდნენ არჩევნებად წოდებულ ბრძოლის ველზე.

დიახ, მომავალი არჩევნები ომია, თანაც სამკვდრო-სასიცოცხლო, რადგან, თუ ოქტომბერში ნეოლიბერალური უმრავლესობა მოვა პარლამენტში, საქართველო დაიღუპება.

შეერთდით, გაერთიანდით, რადგან ეს არის ხალხის მოთხოვნაც და არჩევნებში ქართული ძალების გამარჯვების გარანტიაც...

**დავით მხეიძე**

**როდემდე შეიძლება ვიყოთ ბიძინა ივანიშვილის კაპიტალის მძევლები? როდემდე შეიძლება, საქართველო გირაოში იყოს ჩადებული იმისათვის, რომ ივანიშვილის კაპიტალი გადარჩეს? აი, ეს უნდა გააცნობიეროს ქართველმა ხალხმა. არ უნდა დაიჯერო ის, რომ მილიარდერი სამართლიანობას აღადგენს. ქართველი ხალხი უნდა გამოვიდეს ამ სიცრუის ტყვეობიდან".**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ უფრო პროდასავლელი და ანტიქართველი იქნება

## ხიდაშელისა და ალასანიას ბრძოლა ამერიკის გულის მოსაგებად

„თავისუფალი დემოკრატების" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ ახალი ამბების ტელევიზია „პალიტრანიუსის" გადაცემა „360 გრადუსის" ეთერში რამდენიმე დღის წინათ სტუმრობისას აღნიშნა, რომ ხიდაშელის უწყებას საჰაერო თავდაცვის საკითხებზე ის პოლიტიკური ჩარჩოები დაუწესეს, რომელთაც მე ვერ მიწესებდნენო. ალასანიას განცხადებამ თავდაცვის მინისტრი, ქალბატონი თინა ხიდაშელი გააღიზიანა. მან თავდაცვის ყოფილი მინისტრის ამბიციურ განცხადებას სასაცილო უწოდა და თქვა: „საჯაროდ მოვითხოვ თავდაცვის ყოფილი მინისტრისგან, რომ ძალიან კონკრეტულად წარმოადგინოს პრეტენზიების ნუსხა, სად იყო შესაძლებელი ქვეყნის უკეთ დაცვა და მე ეს არ გავაკეთე. მთელი წლის განმავლობაში პასუხი არ გამიცია მსგავსი ტიპის განცხადებებზე იმიტომ, რომ ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, ვიდრე ეს პაექრობა... შეურაცხმყოფელია და სირცხვილია, როდესაც ასეთი განცხადებები გვესმის და კიდევ უფრო სირცხვილია, როდესაც ბატონი ირაკლი ჩაეწერა იმ რუსული პროპაგანდის ციკლში, რომელსაც პირდაპირი ცეცხლი აქვს ჩემს წინააღმდეგ გახსნილი და დღეს ისიც, ამ „ხელი მომაკიდინეს" პრინციპით, ამ მარათონში მონაწილეობს".

სპეციალისტთა აზრით, აშკარაა, რომ თინა ხიდაშელი და ირაკლი ალასანია თავგამოდებით იბრძვიან ამერიკელთა გულის მოსაგებად. რატომ დაიწყეს ქართველმა პოლიტიკოსებმა პროამერიკული სურვილების სააშკარაოზე გამოტანა და ერთმანეთისთვის პრორუსულობის იარლიყის მიწებება; რა გაუკეთა ამერიკამ საქართველოს ისეთი, ასე გულმოდგინედ, რომ იცავენ ქართველები ამერიკის ინტერესებს — ამ საკითხებზე გვესაუბრებიან ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი **გულბაათ რცხილაძე** და პარტია „ნეიტრალური საქართველოს" თავჯდომარე **ვალერი კვარაცხელია.**



„მე ვხედავ ნატოს"

**«ხიდაშელი და ალასანია ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო პროდასავლელი და ანტიქართველი იქნება; ეჯიბრებიან, ვინ უფრო მეტ ზიანს მოუტანს საქართველოს და ვინ უფრო კარგად შეასრულებს ამერიკელების დავალებას»**

### „ამერიკამ და ევროპამ ერთობლივად მოისყიდეს ქართველი ბიუროკრატები, შექმნეს ბიუროკრატთა ახალი კლასი"

**— ბატონო გულბაათ, რა შეიძლება ვუწოდოთ ამჟამინდელი და ყოფილი თავდაცვის მინისტრების პაექრობას, ხომ არ არის ეს ბრძოლა ამერიკის გულის მოსაგებად?**

— აქ არის საუბარი პიროვნულ ეჭვიანობაზე. ორივე მათგანი განდიდების მანიითაა შეპყრობილი. ამის გამოძახილია თავდაცვის ამჟამინდელი მინისტრის — თინა ხიდაშელის განცხადება ყოფილ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიაზე, რომ ის პრორუსულ ძალებთან ერთად მოქმედებს. უკვე ენის გასატეხად იქცა სიტყვები „რუსული" და „პრორუსული".

**— საქართველოში რატომღაც ასეა: თუ პროამერიკელი ხარ, მაშინ საქართველოს კარგი მომავლისთვის იბრძვი, ხოლო თუ პრორუსული განწყობა გაქვს, ქვეყნის მტერი ხარ. რატომ არის კარგი პროამერიკელობა და ცუდი — პრორუსულობა?**

— დიდი ხანია, ამაზე ვსაუბრობთ, ერთადერთი, რაც ამათ აქვთ სალაპარაკო, ისაა, რატომ უნდა გვეჯავრებოდეს რუსეთი — ეს არის ის, რომ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია. აფხაზები და ოსები თავს ოკუპირებულად არ მიიჩნევენ. მათთვის შეურაცხმყოფელია იმის თქმა, რომ ისინი არიან ოკუპირებული, თანაც, როცა ამას ქართველები ეუბნებიან. რაც უნდა ვიძახოთ, რუსეთი ოკუპანტია-თქო, ეს ვერ დაგვაახლოვებს საქართველოს გამთლიანებასთან, პირიქით — უფრო დაგვაშორებს და გაგვირთულებს მდგომარეობას.

**— რატომ მიისწრაფვიან ქართველი პოლიტიკოსები ასე თავგამოდებით ამერიკისკენ?**

— **ამერიკამ და ევროპამ ერთობლივად მოისყიდეს ქართველი ბიუროკრატები, შექმნეს ბიუროკრატთა ახალი კლასი.** როდესაც ვამბობ, რომ არ მინდა ნატო და ევროკავშირი, ეს საზიანოა საქართველოსთვის-მეთქი, ამას არგუმენტებით ვადასტურებ, პროდასავლურად განწყობილები კი ვერ მეკამათებიან. **საკითხებზე: რა არის საქართველოს ინტერესი და როგორ უნდა მივიდეთ ამ ინტერესის განხორციელებამდე ან ნატო გამოგვადგება თუ პირიქით — გამოგვიყენებს, ისინი არც კი საუბრობენ, რადგან სათქმელი არაფერი აქვთ.** ძალიან კარგია ბატონი **თამაზ მეჭიაურის** განცხადებები, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ, რასაც ის ახლა ლაპარაკობს, იმავეს ვამბობდი ოცი წლის წინათ. დასავლეთისთვის მნიშვნელოვანია, მართოს ჩვენი ქვეყნის ბიუროკრატია, გამოკვებოს ის და დაძაბოს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა.

**— არჩევნები მოახლოვდა, პოლიტიკოსები ემზადებიან ამომრჩევლის გულის მოსაგებად. ბიძინა ივანიშვილზე ამბობენ, მიუხედავად იმისა, რომ არ ჩანს, მას თამაზ მეჭიაური ჰყავს არჩეული და თავის მოსაზრებებს მისი პირით გადმოგვცემსო...**

— არ მგონია, რომ ასე იყოს. თამაზ მეჭიაური ნამდვილად გულწფელად ლაპარაკობს. თუ ბატონ ბიძინასთანაა შეთანხმებული, ვფიქრობ, ამაში ცუდი არაფერია, პირიქით — ჩვენ ვიცით, რომ არაფორმალური ლიდერი ბიძინაა და ბევრ რამეს ნამდვილად ის წყვეტს. ვერ დავაბრალებთ კვირიკაშვილსა და უსუფაშვილს, რომ ისინი წყვეტენ საქმეებს.

**— გოგი თოფაძისა და რესპუბლიკელების დაძაბულ ურთიერთობაზე რას ფიქრობთ?**

— ბატონი გოგის შეფასებებს რესპუბლიკელების მიმართ პატივს ვცემ. **რესპუბლიკელებს, სამწუხაროდ, აკვიატებული აქვთ რაღაც აზრები და შეუწყნარებელნი არიან განსხვავებული აზრის მიმართ. ისინი არიან ანტიდემოკრატიული ძალა. ამბობენ, ხალხის აზრი გასათვალისწინებელი არ არისო და, თუკი ჩვენ არ ვართ პოპულარული პარტია, ეს ხალხის პრობლემაა და არა ჩვენიო. აი ეს არის ზუსტად ანტიდემოკრატიული ქმედება. პრობლემა არის ის, რომ ისინი ხელისუფლებაში არიან და ცდილობენ, თავიანთი პოლიტიკა განახორციელონ ხალხის ნების საწინააღმდეგოდ.** დაუშვებელია რესპუბლიკელების ყოფნა ხელისუფლებაში, რადგან ჩვენ ისინი არ აგვირჩევია.

### „ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდაო და ახლა პაატა ბურჭულაძე გამოჩეკეს, კიდევ ერთი პროდასავლელი პოლიტიკოსი"

**ვალერი კვარაცხელია,** პარტია „ნეიტრალური საქართველოს" თავჯდომარე

**— ბატონო ვალერი, რამდენიმე დღის წინათ ქალბატონმა თინა ხიდაშელმა ირაკლი ალასანიას განცხადებას სასაცილო უწოდა და მისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა. რატომ დაეძაბათ ურთიერთობა ამჟამინდელ და ყოფილ თავდაცვის მინისტრებს?**

— ბოდიში, ერთმანეთისთვის კი არა, საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის აქვს მოსახდელი ორივეს თავიანთი უგუნური ქმედებისა და პოლიტიკის გამო; იმის გამო, რომ მონაწილეობენ იმ ამერიკულ პოლიტიკაში, რომელმაც დაანგრია საქართველო. **ხიდაშელი და ალასანია ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო პროდასავლელი და ანტიქართველი იქნება; ეჯიბრებიან, ვინ უფრო მეტ ზიანს მოუტანს საქართველოს და ვინ უფრო კარგად შეასრულებს ამერიკელების დავალებას.**

**— რატომ იქცა ტერმინი „პრორუსული" შეურაცხმყოფელ სიტყვად?**

— ეს არის ამერიკიდან წამოსული სენტენცია, რომელიც აიტაცეს და იციან, რომ ამით მანიპულირება შეიძლება. ეს სენტენცია ძალიან კარგად მუშაობს. თუ ადამიანი აზროვნებს და დაასკვნა, რომ კურსმა, რომელსაც 25 წელიწადზე მეტია ადგას საქართველო, ქვეყანა მიიყვანა კატასტროფულ შედეგებამდე, ტერიტორიების დაკარგვამდე, ეკონომიკურ და სულიერ დეგრადაციამდე, მოსახლეობის ნახევრის გაქრობამდე და დაფიქრდა იმაზე, რომ იქნებ ამ კურსის შეცვლაში იყოს საქართველოს გადარჩენის მექანიზმიო, მას აწებებენ პრორუსის იარლიყს. ორ ათეულ წელზე მეტი შევალიე იმას, რომ ქართველ ხალხს გაეგო, რას ნიშნავდა ნატოს სიბინძურე, რომელიც ნიაღვარივით მოედინებოდა საქართველოში. მათგან, ვინც ანალოგიური მიდგომები გაიმეორა, ერთ-ერთი იყო ბატონი გოგი თოფაძე... ორასი პარტია მოქმედებს დღეს საქართველოში, უსახური პარტიები, რომლებსაც არც მიზანი აქვთ და არც მიმართულება. **ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდაო და ახლა პაატა ბურჭულაძე გამოჩეკეს, კიდევ ერთი პროდასავლელი პოლიტიკოსი. იციით, რატომ? ხალხს აბნევენ, ყველა ხერხს იყენებენ, ყველაფერს კადრულობენ, რათა პაატა ბურჭულაძეს, როგორც მსოფლიოში სახელოვან ქართველ მომღერალს, რომელსაც ქართველი ხალხის სიყვარული აქვს, დააკარგვინონ ეს სიყვარული; ცდილობენ, ჩაითრიონ თამაშში, რათა როგორმე კიდევ მოატყუონ ქართველი ხალხი.**

**— ბატონ თამაზ მეჭიაურზე რას ფიქრობთ, ამბობენ, ივანიშვილი მისი პირით გვეუბნებაო სათქმელს...**

— ძალიან ჩაუხედავი უნდა იყო საქმეში კაცი, რომ ეს დაიჯერო. თამაზ მეჭიაური არის ვაჟკაცი, პატრიოტი კაცი, ამიტომ ვერ აიტანა ეს სიბინძურე ამ ოთხი წლის განმავლობაში და ბოლოს თქვა, რატომ ატყუებთ ხალხს, ეს ხომ სრული სიცრუეა, ჩვენ ნატოში კი არ შევდივართ, უბრალოდ, ვანგრევთ ქვეყანას ნატოს აკვიატებითო. ხომ ნახეთ, რა სიგნალი წამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კონგრესმენ რასელის პირით რა იყო გაცხადებული — უნდა გაიყინოს ბიძინა ივანიშვილის ყველა საბანკო ანგარიშიო. ამით პირდაპირ არის ნათქვამი, რომ, თუ გაბედავ, იმ გზიდან გადაუხვევ, რომელზეც ჩვენ, ამერიკელები, მიგითითებთ, გაიყინება ყველა შენი ანგარიში და დარჩები გაკოტრებულიო. **ჩნდება კითხვები: რა ქნას საქართველომ? როდემდე შეიძლება ვიყოთ ბიძინა ივანიშვილის კაპიტალის მძევლები? როდემდე შეიძლება, საქართველო გირაოში იყოს ჩადებული იმისათვის, რომ ივანიშვილის კაპიტალი გადარჩეს? აი, ეს უნდა გააცნობიეროს ქართველმა ხალხმა. არ უნდა დაიჯერო ის, რომ მილიარდერი სამართლიანობას აღადგენს.** ქართველი ხალხი უნდა გამოვიდეს ამ სიცრუის ტყვეობიდან.

ესაუბრა
ქრისტინე ტოგონიძე

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კითხვები მაქვს თამარ გაბიანის უშუალო უფროსისადმი, სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილისადმი: ვინ არის, საიდან მოვიდა და როგორ დაინიშნა ეს ქალბატონი სამხედრო ომბუდსმენად, როდესაც მას არავითარი შეხება არ ჰქონია სამხედრო საქმეებთან და აზრზეც არ არის, როგორ უნდა იმოქმედოს სამხედრო დანაშაულებზე, როგორ უნდა დაიცვას სამხედრო პირი? რისთვის უხდის სახელმწიფო გაბიანს ამხელა ხელფასს, რომელსაც ის ბარ-რესტორნებში ანიავებს?!**



## ტრისტან წითელაშვილი:

# ხიდაშელის მინისტრობისას თავდაცვის უწყებაში დანაშაულმა მკვეთრად იმატა

**საქართველოს შეიარაღებულ ძალებში შექმნილ ვითარებაზე გვესაუბრება გენერალი ტრისტან წითელაშვილი, რომელიც სხვა სამხედრო ექსპერტებთან ერთად თავდაცვის სამინისტროში მომხდარ დანაშაულებს იძიებს.**

**— ბატონო ტრისტან, რა ხდება თავდაცვის სამინისტროში?**

— ჩვენ, სამხედრო ექსპერტები, ვიძიებდით და ვიძიებთ იმ დანაშაულებს, რომელიც მოხდა ნაციონალების მმართველობის პერიოდში. იმხანად თავდაცვას ხელმძღვანელობდნენ **დავით კეზერაშვილი** და **ბაჩო ახალაია.** სამწუხაროდ, ძველ დანაშაულებს ახალიც დაემატა. თავდაცვის სამინისტროში ბოლო წლებში იმდენი დანაშაულია ჩადენილი, რომ ძველს გადააჭარბა. ხიდაშელის მინისტრობის პერიოდში თავდაცვის უწყებაში დანაშაულმა მკვეთრად იმატა.

**— რატომ მოხდა ეს?**

— თავდაცვის სამინისტროში ჩანერგილია ბევრი ნაციონალი, რომლებიც საბოტაჟს აწყობენ.

**— მაგრამ, ბოლო სამი წელია, ერთმანეთს ცვლიან „ქართული ოცნების" მინისტრები და რატომ ვერ ახერხებენ ისინი „ნაცპარტიის" კადრების გამოაშკარავებას და მათ დასჯას კანონის ძალით?**

— ბატონ **ირაკლი ალასანიასთან** ურთიერთობა ვერ დავამყარეთ, უბრალოდ, ვერ შევხვდით. ბატონ **მინდია ჯანელიძესთან** კი დავიწყეთ საქმიანი ურთიერთობები და შედეგიც იყო — მან რამდენიმე სარდალი დაითხოვა შეიარაღებული ძალებიდან, კერძოდ, პოლკოვნიკები: **გიორგი კერესელიძე** — ლოჯისტიკის სარდალი, განთქმული მწამებელი, და **მერაბ ურიდია** — სამხედრო-საჰაერო ძალების დამანგრეველი, რომელმაც სამხედრო ტექნიკა და იარაღი გაყიდა, ის შეიარაღება, რიმელიც ჩვენ უნდა გამოგვეყენებინა 2008 წლის აგვისტოს ომში... თუმცა, მინისტრ ჯანელიძეს არ აცალეს. აშშ-ის ელჩის ბრძანებით, თავდაცვის მინისტრად დაინიშნა ხიდაშელი. რატომღაც გვეგონა, ქალბატონი თინა უფრო აქტიურად დაიწყებდა ბრძოლას დამნაშავეების წინააღმდეგ, მოხდებოდა ფილტრაცია და დადგებოდა დრო, როდესაც ჯარს დაუბრუნდებოდა საქმის მცოდნე, პატრიოტი ოფიცრები, მაგრამ ხიდაშელმა, არათუ განაგრძო ჯანელიძის მიერ დაწყებული წმენდა სამართლებრივი დევნა დამნაშავეებისა, არამედ ყველა საქმე, რომელზეც დაწყებული იყო გამოძიება, თაროზე შემოდო. **ხიდაშელმა დაიწყო იმ ადამიანების, უფრო ზუსტად, არაადამიანების დაბრუნება სამინისტროში, პირსისხლიანი სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში მიტინგების დარბევაში რომ მონაწილეობდნენ, ასრულებდნენ პოლიტიკურ დაკვეთებს. ჩვენ შევადგინეთ სია იმ 55 ოფიცრისა, რომლებიც მხილებულნი არიან იარაღის კონტრაბანდაში, ჯარისკაცების წამებაში, ოფიცერთა შანტაჟში, სახელმწიფო ქონებისა და თანხების გაფლანგვასა და უამრავ სხვა ბოროტმოქმედებაში.** ვცდილობთ, ინფორმაცია მივაწოდოთ შესაბამის სამსახურებს, მაგრამ ქალბატონმა ხიდაშელმა აღვირი აიწყვიტა და ვეღარავინ აჩერებს. მის მიერ დაბრუნებული „კადრები" ანგრევენ შეიარაღებულ ძალებს, საგრძნობლად აქვეითებენ მის ბრძოლისუნარიანობას.

**— ბატონო ტრისტან, კონკრეტულად ვინ არიან ეს ადამიანები?**

— ეს არის, მაგალითად, **გიორგი ხურციძე** — მე-5 ბრიგადის ყოფილი მეთაური. ამჟამად მუშაობს სახმელეთო ჯარების სარდლობაში. უმოწყალოდ ნაცემი ჰყავს G1-ს ოფიცერი, უფროსი ლეიტენანტი **ნუკრი ლამაზოშვილი** და საინჟინრო დაგეგმარების ოფიცერი, რომლის გვარს ამ წუთს ვერ ვიხსენებ.



 ჩატარდა გამოძიება, ფაქტი დადასტურდა, მაგრამ ალასანიას მინისტრობისას სამხედრო პოლიციის უფროსმა **კახაბერ ჩიხრაძემ** ეს საქმე ჩაფარცხა. სხვათა შორის, ეს ჩიხრაძე, ვიდრე ამ მაღალ თანამდებობაზე მოკალათდებოდა, ირაკლი ალასანიას პერსონალური მძღოლი იყო... **სერგო ჩაჩიბაია**, ალასანიას პარტიის — „თავისუფალი დემოკრატების" წევრი, 2008 წლის ომის დროს ყველაფერს გაერიდა და, როდესაც სამშობლოს ბედი წყდებოდა, მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გაფორმებით იყო დაკავებული. ხიდაშელის მინისტრობის პერიოდში ჩაჩიბაია დაინიშნა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხედრო პოლიციის უფროსის მოადგილედ და ახლა იგზავნება ავღანეთში, ე.წ. სამშვიდობო მისიის ჯგუფის უფროსად. და კიდევ — ჩაჩიბაია გასამართლებული იყო მოზარდის წამების გამო. იჯდა საპყრობილეში სააკაშვილის რეჟიმის დროსაც. აღსანიშნავია, რომ ციხეში ყოფნისას მუშაობდა ე.წ. აბსლუგაში და აქტიურად თანამშრომლობდა ნაცების ციხის ადმინისტრაციასთან...

**«ჯერ აჭამეს მდოგვით ამოვსებული ფუნთუშები, პირი რომ გამოეშუშხათ, შემდეგ წყლით სავსე კასრებში ჩააყოფინებდნენ და ამოაყოფინებდნენ თავს, ბოლოს კი ღუმელიდან ამოღებულ ნახშირს სახეზე უსვამდნენ...»**

კიდევ ერთი „გმირია" ვიცე-პოლკოვნიკი **გიორგი ცაბაძე**, ე.წ. გენერლის — **გიგი კალანდაძის** მეგობარი. ის იყო საჰაერო თავდაცვის ბრიგადის მეთაური, რომელმაც 2008 წლის ომის დროს პოზიციაზე დატოვა 18-მილიონად შეფასებული რადიოსალოკაციო დაზვერვის სადგური, რადგან სარდალ **მერაბ ურიდიას** ბრძანებით, ამ სადგურის გამწევი მანქანა ტყეში ჰყავდა გაყვანილი პირადი სარგებლობისთვის — უკანონოდ მოჭრილი ხეების გამოსატანად. სადგურის განადგურებას ბუჩქებში ჩამალული ცაბაძე იარაღმომარჯვებული მთელი პირადი შემადგენლობით ადევნებდა თვალყურს. რუსების ათეულს, რომელიც ძვირად ღირებულ სადგურს ანადგურებდა, ცაბაძემ ხელი არ შეუშალა. იმ ათიოდე რუსი ჯარისკაცის მოგერიება და სადგურის გადარჩენა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა... 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ცაბაძე, როგორც სამხედრო პირი, ერთგულებდა სააკაშვილის რეჟიმს და არბევდა „ქართული ოცნების" შეხვედრებს მოსახლეობასთან; კონკრეტულად, ხელს უშლიდა **ლერი ხაბელოვის** საარჩევნო კამპანიას: ყვიროდა, ეს ჩემი სოფელიაო და აგინებდა შეხვედრაზე მისულ ადამიანებს. 2012 წლის არჩევნებისას გიორგი ცაბაძე უკანონობას სჩადიოდა არა მხოლოდ თავის სოფელში, არამედ სამხედრო ნაწილშიც. ალექსეევკის ბაზაზე შეკრებილი პირადი შემადგენლობის თანდასწრებით, „პროფილაქტიკის მიზნით", დედა აგინა მათ, ვინც ხმას მისცემდა „ქართულ ოცნებას" და დამსწრეებს ცხვირწინ უტრიალებდა ერთი ხელის გაფარჩხულ თითებს, რითაც მიანიშნებდა, რომელი ციფრი უნდა შემოეხაზათ საარჩევნო ბიულეტენში. გიორგი ცაბაძის ბრიგადაში ეწეოდნენ ფინანსურ მაქინაციებს. აპრობირებული მეთოდი იყო ჯარისკაცებისა და ოფიცრების დასჯა, რომელიც ითვალისწინებდა ხელფასის 30%-ის დაქვითვას. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა ბრიგადის შემადგენლობის თითქმის ნახევარი; ხოლო ბრიგადის ფინანსისტი, ვინმე **მასალაევა,** დაქვითული თანხიდან თითოეულ ჯარისკაცსა და ოფიცერს ჰპარავდა ათიდან ორმოც ლარამდე თანხას. გამოძალვის შედეგად მითვისებულმა თანხამ, ჯამში, 30 ათასი ლარი შეადგინა.

**რომან ჯოხაძე** — გენერალ-მაიორი, გენშტაბის უფროსის მოადგილე — მთავარი პასუხისმგებელი პირი იყო აფრიკაში მომხდარი გაუპატიურების სამარცხვინო ინციდენტზე, რაზეც დროულად არ გააკეთა მოხსენება, ანუ ფაქტი დამალა. **მხოლოდ გაზეთ „გარდიანში" გამოქვეყნებულმა წერილმა, რომელშიც დაწვრილებით იყო აღწერილი ეს თავისმომჭრელი დანაშაული, აიძულა მინისტრი ხიდაშელი, რომ რომან ჯოხაძე გადაეყვანა „კადრების განკარგულებაში", თუმცა იმავე ხიდაშელმა საზოგადოებისთვის ფარულად ჯოხაძე მალევე დააბრუნა თანამდებობაზე და გაგზავნა სასწავლებლად აშშ-ში, „ომის კოლეჯში".** გენერალი ჯოხაძის განათლების ასამაღლებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო სოლიდური თანხა. აღსანიშნავია, რომ ჯოხაძემ ინგლისური ენა არ იცის და მას, წესდების გვერდის ავლით, ტესტების პასუხებში საკუთარ სახლში ამეცადინებდა თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი, ინგლისურის მასწავლებელი **მარინე გუგეშაშვილი,** რომელსაც უშუალო კავშირი აქვს უკრაინაში „დაბუდებულ" მიხეილ სააკაშვილის ჯგუფთან.

**— ბატონო ტრისტან, ჩვენი გაზეთი წერდა რიგით ერიკ კარაპეტიანის წამებაზე ერთ-ერთ სამხედრო ბაზაში. თუ ხართ საქმის კურსში?**

— საქმის კურსში ვარ. დავამატებ, რომ ახლახან მაგ ბაზის ტერიტორიაზე, განაწესის ოთახში, ქუჩიდან შეიყვანეს სამი არასრულწოვანი, 6-7 წლისა. ჯერ აჭამეს მდოგვით ამოვსებული ფუნთუშები, პირი რომ გამოეშუშხათ, შემდეგ წყლით სავსე კასრებში ჩააყოფინებდნენ და ამოაყოფინებდნენ თავს, ბოლოს კი ღუმელიდან ამოღებულ ნახშირს სახეზე უსვამდნენ... მახსენდება გუანტანამოს ციხის წამებების კადრები. მაგ ბაზაზე შტაბის უფროსად მუშაობს ნაცების მიერ ჩანერგილი კაცი — მაიორი **ირაკლი შაიშმელაშვილი,** რომელიც თავის კაბინეტში, მაგიდის მარჯვენა უჯრაში, ვითარცა ძვირფას რელიქვიას, „ნაცმოძრაობის" წინასაარჩევნო პლაკატს ინახავს.

**— რას აკეთებს გენინსპექცია, სამხედრო პოლიცია?!**

— ვინაიდან ეს სამსახურები ამ საშინელ ფაქტებზე არ რეაგირებდნენ, ოფიცრების ჯგუფმა დახმარებისთვის მიმართა სამხედრო ომბუდსმენ **თამარ გაბიანს**, რომელსაც ყველა ჩადენილი დანაშაულის დეტალებზე მოახსენეს ზეპირად და წერილობითაც, მიიწვიეს ბაზის ტერიტორიაზე, მაგრამ ამ ქალბატონს მათზე რეაგირება არ მოუხდენია. ამას გარდა, გაბიანს არაერთმა უკანონოდ დათხოვილმა ოფიცერმა მიმართა დახმარებისთვის, არაერთმა ჯარისკაცის მშობელმა, რომელთა შვილებსაც სცემდნენ და აწამებდნენ. მან ეს შემთხვევებიც რეაგირების გარეშე დატოვა. მე ასე ვიტყვი: ეს ქალბატონი ჩართულია ამ დანაშაულებრივ სქემაში.

კითხვები მაქვს თამარ გაბიანის უშუალო უფროსისადმი, სახალხო დამცველ **უჩა ნანუაშვილისადმი: ვინ არის, საიდან მოვიდა და როგორ დაინიშნა ეს ქალბატონი სამხედრო ომბუდსმენად, როდესაც მას არავითარი შეხება არ ჰქონია სამხედრო საქმეებთან და აზრზეც არ არის, როგორ უნდა იმოქმედოს სამხედრო დანაშაულებზე, რა კუთხით უნდა დაიცვას სამხედრო პირი?** რისთვის უხდის სახელმწიფო გაბიანს ამხელა ხელფასს, რომელსაც ის ანიავებს ბარ-რესტორნებში? სოციალური ქსელი მოფენილია გაბიანის „არაოფიციალურ ვითარებაში" გადაღებული ფოტოებით. და კიდევ, რატომ არ ამოუდგა თამარ გაბიანი მხარში იმ 250 მაღალკვალიფიციურ ოფიცერს, რომლებიც ერთ ღამეში სამსახურიდან გააძევა ბაჩანა ახალაიამ? თუმცა ყველაფერი გასაგებია.

**თავდაცვის სამინისტროში დანაშაულის რაოდენობა კი არ მცირდება, პირიქით — იმატებს. ეს ხდება იმიტომ, რომ მინისტრი ხიდაშელი ახალისებს იმ დამნაშავეებს, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ სააკაშვილის რეჟიმს და ახლა ძირს უთხრიან საქართველოს შეიარაღებულ ძალებს.**

**«ხიდაშელმა დაიწყო იმ ადამიანების, უფრო ზუსტად, არაადამიანების დაბრუნება სამინისტროში, პირსისხლიანი სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში მიტინგების დარბევაში რომ მონაწილეობდნენ, ასრულებდნენ პოლიტიკურ დაკვეთებს. ჩვენ შევადგინეთ სია იმ 55 ოფიცრისა, რომლებიც მხილებულნი არიან იარაღის კონტრაბანდაში, ჯარისკაცების წამებაში, ოფიცერთა შანტაჟში, სახელმწიფო ქონებისა და თანხების გაფლანგვასა და უამრავ სხვა ბოროტმოქმედებაში»**

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

**ბანკირებს დაბნეულობა და პანიკა დაეუფლათ, რადგან ყველა ნიშანია იმის, რომ კლიენტები მასობრივად წავლენ ბანკებიდან ნაღდი ვალუტის მიმოქცევის სივრცეში. ამ სიტუაციამ ბანკირები ნაღდი ფულის შემცირებისა და სრულად აკრძალვის აქტიური ლობისტები გახადა, იმ ნაღდი ფულისა, რომელიც კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში არსებობდა. ნაღდი ფულის აკრძალვა ნიშნავს, რომ ყველა მოქალაქე (ფიზიკური პირი) თავისი ნების საწინააღმდეგოდ ელექტრონულ-საბანკო საკონცენტრაციო ბანაკში აღმოჩნდება.**

ეკონომიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პანამის სკანდალი და დავოსი-2016-ის საიდუმლო გეგმა

**თვეზე მეტი გავიდა, რაც საზოგადოებრივი აზრი შეძრა სკანდალმა, რომელიც პანამის იურიდიული ფირმის დოკუმენტების გასაჯაროებამ გამოიწვია. საერთო ჯამში, ამ ფირმიდან გაიტაცეს 11,5 მილიონი დოკუმენტი, რომლებიც შეიცავდა ოფშორული კომპანიების მესაკუთრეთა და საბოლოო ბენეფიციარების დეტალურ მონაცემებს. ამ ოპერაციის დამკვეთები და ორგანიზატორები იყვნენ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის (ფსს) მთავარი აქციონერები. წამყვანი შემსრულებლები — ამერიკის სპეცსამსახურები, ნაკლებად მნიშვნელოვანი — ჟურნალისტურ გამოძიებათა საერთაშორისო კონსორციუმი, რომელსაც აფინანსებდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, სოროსის ფონდი და ა.შ.**

**სკანდალის ძირითადი მიზანი იყო:**

**1. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსების დისკრედიტაცია;**

**2. ოფშორების რამდენიმე წლის წინათ დაწყებული წმენდა იმისთვის, რომ ოფშორული ანგარიშების მფლობელები შეეყარათ ერთ გიგანტურ ოფშორში სახელწოდებით „ამერიკის შეერთებულ შტატები“.**




### დასავლეთი იწყებს ბრძოლას ნაღდი ფულის წინააღმდეგ

პანამის სკანდალით გამოწვეული დაძაბულობა ცოტა რომ დაცხრა, ერთი გლობალური მიზანი გამოიკვეთა — „ჭუჭყიან“ და „რუხ ფულთან“ ბრძოლის კამპანიის გააქტიურება, რომელშიც იგულისხმება ფინანსური ტერორიზმის, გადასახადებისგან თავის არიდების, კორუფციის, ნარკობიზნესის, იარაღით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ კამპანიას სტარტი 2001 წლის 11 სექტემბერს მისცეს, ანუ მაშინ, როცა ვაშინგტონმა განაცხადა, რომ აჩაღებს ბრძოლას მსოფლიოში საერთაშორისო ტერორიზმისა და „ჭუჭყიანი“ ფულის გათეთრების წინააღმდეგ, მაგრამ მაშინ დაწყებული კამპანია თანდათან მინელდა. პანამის სკანდალი მოწოდებულია, მეორე სუნთქვა შესძინოს ოპერაციას „11 სექტემბერი“.

პანამის სკანდალის ერთ-ერთ ფიგურანტად წარმოდგა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი **დევიდ კემერონი**, მაგრამ ამან არათუ ხელი შეუშალა, არამედ პირიქით — ხელი შეუწყო, გაეგრძელებინა კორუფციასთან ბრძოლის გლობალური სამიტის მომზადება, რომელსაც ლონდონი უმასპინძლებს. ამგვარი ღონისძიებების მოწყობა დაგეგმეს ვაშინგტონმა, ლონდონმა და ბრიუსელმა უამრავ სხვა ქვეყანაშიც.

ლონდონის სამიტზე განიხილავენ ორ უმთავრეს საკითხს: ოფშორების წინააღმდეგ ბრძოლას და ნაღდი ფულის მიმოქცევის შემცირების ღონისძიებებს. სამიტის ერთგვარი რეპეტიცია იყო, იმავე ლონდონში შარშან გამართული შეხვედრა, რომლიდანაც გაჟონილი ინფორმაციით გაირკვა, რომ ამ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ევროპის ცენტრალური ბანკის, ფედერალური სარეზერვო სისტემის, შვეიცარიისა და დანიის ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები. განიხილეს ნაღდი ფულის გაუქმების საკითხი.

„კორუფციასთან მებრძოლთა“ ლოგიკა დაახლოებით ასეთია: ხშირ შემთხვევაში ბანკების ოფშორული ანგარიშები არის შედეგი იმისა, რომ კორუფციის მთავარი იარაღი და საშუალება უმეტესად ნაღდი ფულის ნიშნების არსებობაა. სწორედ ამ ფულით ისქელებენ ჯიბეს ხარბი და ნამუსგარეცხილი მოხელეები. ამიტომო, — ხაზი გაუსვეს, — უნდა მოისპოს კორუფციის ეს საშუალება, რომელიც, თავის მხრივ, მრავალ პრობლემას გაანეიტრალებს, რადგან გაქრება ოფშორული ანგარიშების მატერიალური საფუძველი.

### უარყოფითი პროცენტები

ნაღდი ფულის წინააღმდეგ ბრძოლის ანალიზმა დაგვანახვა, რომ იგი კარგადაა ორგანიზებული. 2007-2009 წლების საფინანსო კრიზისის შემდეგ მსოფლიო საბანკო სისტემა აჩქარებით დაიძრა უარყოფითი ზონისკენ: რამდენიმე ცენტრალურმა ბანკმა შემოიღო თავისი დეპოზიტების უარყოფითი განაკვეთები. ამჟამად რამდენიმე ცენტრალურ ბანკში საბაზო განაკვეთების უარყოფითი პროცენტებიც კი გაჩნდა. უარყოფითი განაკვეთების ეპიდემია კომერციულ ბანკებსაც გადაედო: მრავალი მათგანის სადეპოზიტო ოპერაციების პროცენტები ნულს მიუახლოვდა, ზოგიერთისა კი უარყოფით ზონაში გადავიდა.

**ბანკირებს დაბნეულობა და პანიკა დაეუფლათ, რადგან ყველა ნიშანია იმის, რომ კლიენტები მასობრივად წავლენ ბანკებიდან ნაღდი ვალუტის მიმოქცევის სივრცეში. ამ სიტუაციამ ბანკირები ნაღდი ფულის შემცირებისა და სრულად აკრძალვის აქტიური ლობისტები გახადა, იმ ნაღდი ფულისა, რომელიც კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში არსებობდა. ნაღდი ფულის აკრძალვა ნიშნავს, რომ ყველა მოქალაქე (ფიზიკური პირი) თავისი ნების საწინააღმდეგოდ ელექტრონულ-საბანკო საკონცენტრაციო ბანაკში აღმოჩნდება.**

ფულის პატრონები აქტიურად განიხილავენ არსებული ვითარების შედეგად მოსალოდნელი რეაქციის ვარიანტებს. ერთ-ერთი ასეთი რეაქცია ძვირფასი ლითონის, როგორც საგადასახადო ურთიერთობის საშუალების, ფინანსურ ასპარეზზე გამოსვლაა. ისტორია გვიჩვენებს, რომ განსაკუთრებულ პირობებში ოქრო ოფიციალური ფულის ალტერნატივად შეიძლება მოგვევლინოს, მაგრამ უეჭველია, რომ გარკვეული დროის შემდეგ ელექტრონულ-საბანკო საკონცენტრაციო ბანაკიდან თავის დაღწევის ეს გზაც გადაიკეტება. დასავლეთში ამის გამოცდილება აქვთ. 1933 წელს აშშ ახალმა პრეზიდენტმა **ფრანკლინ დელანო რუზველტმა** ფულის პატრონების კარნახით გამოსცა ბრძანებულება აშშ-ის მოქალაქეთა კერძო საკუთრებაში არსებული ოქროს სრულად კონფისკაციის შესახებ. ეს ნორმა (ოქროს აკრძალვა) მხოლოდ ოთხი ათეული წლის შემდეგ გაუქმდა.

### დავოსი-2016 და „პირად ბოროტებასთან ბრძოლის“ გეგმები

წინა წლებისგან განსხვავებით, დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ბევრი სხდომა დახურულ რეჟიმში წარიმართა. მხოლოდ ამჟამად, ინფორმაციის გაჟონვის წყალობით, შესაძლებლობა მოგვეცა, გაგვეგო, რას განიხილავდნენ დახურულ კარს მიღმა. გაირკვა, რომ ამუშავებდნენ ნაღდი ფულის მიმოქცევის შეკვეცის ღონისძიებებს. ფორუმის ერთმა მონაწილემ **ჯან სთინისმა**, რომელიც „მორგან სთენლი ბანკს“ წარმოადგენდა, გამოაქვეყნა ამ ღონისძიების შესახებ საკუთარი შთაბეჭდილებები სათაურით **„ხუთი რამ, რომლებიც დავოსი-2016-დან გამოვიტანე“.** მან აღნიშნა, რომ ფორუმზე ბევრს ლაპარაკობდნენ „ნაღდი ფულისგან გათავისუფლებულ საზოგადოებაზე სწრაფად გადასვლის შესახებ. ეს საშუალებას მისცემს ევროპას, შემოიღოს დეპოზიტების უფრო დაბალი უარყოფითი პროცენტები მოსალოდნელი ხანგრძლივი სტაგნაციის კომპენსაციის მიზნით“.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შეთანხმდნენ საპროცენტო განაკვეთების მომავალში უარყოფით ზონაში გადასვლის აღიარების საკითხშიც. ამის გაკეთება კი შეუძლებელია პირად მიმოქცევაში არსებული ფულის შენარჩუნების პირობებში. ამ შემთხვევაში, „ჯ.პ. მორგანის“ ბანკირების აზრით, ევროპის ბანკი შეძლებს პროცენტული განაკვეთების შემცირებას მინუს 4,5 პროცენტამდე.

**2016 წელი დაიწყო უნაღდო ფულის საკითხზე ბანკების სამყაროს წარმომადგენელთა და მათზე დამოკიდებული მედიის ხმამაღალი განცხადებებით. როგორც ჩანს, დავოსის დახურულ სხდომებზე მათ საინფორმაციო კამპანიის დაწყების ნიშანი მისცეს. ამას იუწყება საინფორმაციო რესურსის — ZEPOREDGE-ის მიერ გამოქვეყნებული მასალები საერთო სათაურით „დავოსი 2016-ის საიდუმლო გეგმის გახსნა“.**

**20 იანვარს** „დოიჩე ბანკის“ ტოპმენეჯერმა **ჯონ კრიანმა** განაცხადა, რომ ნაღდ ფულს არსებობის 10 წელიღა დარჩა. **22 იანვარს** ნორვეგიის უმსხვილესმა ბანკმა DNB-მ ხელისუფლებას ნაღდი ფულის გამოყენების აკრძალვის წინადადებით მიმართა. **29 იანვარს** ბლუმბერგის სააგენტომ გამოაქვეყნა სარედაქციო წერილი სათაურით „დავაახლოვოთ უნაღდო მომავალი“. **4 თებერვალს** ბრიტანულმა „ფაინენშლ თაიმსმა“ დაბეჭდა სარედაქციო წერილი „ნაღდი ფულის შეკვეცის უპირატესობანი“. **8 თებერვალს** ჰარვარდის საპატიო პრეზიდენტმა **პიტერ სენზდმა** გამოაქვეყნა წერილი „გავურთულოთ ცხოვრება ცუდ ბიჭებს: წინადადება მიმოქცევიდან დიდი ნომინალების მქონე კუპიურების ამოღების შესახებ“. **15 თებერვალს** რეზონანსული განცხადება გააკეთა ევროპის ცენტრალური ბანკის (ეცბ) პრეზიდენტმა **მარიო დრაგიმ.** მან გაასაჯაროა ეცბ-ს გადაწყვეტილება მიმოქცევიდან 500 ევროს ნომინალის მქონე (ნაღდი ევროს უმაღლესი ნომინალის) კუპიურების ამოღების შესახებ. ეცბ-ს მონაცემებით, ასეთი კუპიურები მიმოქცევაში მყოფი ევროს 30 პროცენტს შეადგენს. ამას დაუყოვნებლივ მოჰყვა მრავალრიცხოვანი კომენტარი, რომელთა უმრავლესობაში გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ ასეთი ღონისძიებით ეცბ ცდილობდა, გაეგრძელებინა თავისი საპროცენტო განაკვეთების ისედაც უარყოფითი მაჩვენებლის შემცირების გენერალური ხაზი. **16 თებერვალს** ეცბ-ს პრეზიდენტისგან ესტაფეტა მიიღო ჰარვარდის პროფესორმა, აშშ-ის ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა **ლარი სამერსმა.** მან „ვაშინგტონ პოსტში“ გამოაქვეყნა წერილი „დრო დადგა 100-დოლარიანი კუპიურების მოკვლის“.

ნიშანდობლივია, რომ სამერსის გამოსვლა დაემთხვა აშშ-ის მედიაში ბანკირებისა და ექსპერტების გამოსვლებს, რომლებმაც სათავე დაუდეს დისკუსიას აშშ-ის ფედერალური რეზერვის სისტემის უარყოფით საპროცენტო განაკვეთებზე გადასვლის შესაძლებლობის შესახებ. **22 თებერვალს** ამერიკული ბანკების მეორე საინფორმაციო საყვირმა, გაზეთმა „ნიუ იორკ ტაიმსმა“ გამოაცხო სტატია „მსხვილი ნომინალების მქონე კუპიურებისგან გათავისუფლება დანაშაულთან ბრძოლაში დაგვეხმარება“. ამ ქრონიკის გაგრძელება შეიძლება, მაგრამ, რაც ითქვა, სავსებით საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ დავოსის გადაწყვეტილებას ნაღდი ფულის წინააღმდეგ საინფორმაციო მასობრივი კამპანიის დაწყების შესახებ ხორცი შეესხა.

### ელექტრონულ-საბანკო საკონცენტრაციო ბანაკი

პარალელურად ხორციელდება ნაღდი ფულის გაუქმების პრაქტიკული ნაბიჯები. ამ მიმართულებით ყველას გაუსწრო შვედეთმა და დანიამ. ამ ქვეყნებში ცენტრალური ბანკები ყველაზე ადრე მივიდნენ უარყოფით პროცენტამდე. შვედეთი აპირებს, ხუთ წელიწადში დაამთავროს „ნაღდი ფულის გარეშე სამოთხის“ აშენება. ამჟამად შვედეთში ოპერაციები ნაღდი ფულით მთელი მოცულობის 2 პროცენტს არ აღემატება. „ვიზას“ მონაცემებით, დებეტის ბარათებს შვედები სხვა ევროპელებზე სამჯერ უფრო მეტად გამოიყენებენ. საბანკო ბარათების გავრცელებამ მნიშვნელოვნად შეცვალა საქმიანი შვედეთის ცხოვრება: ხილისა და ბოსტნეულის გამყიდველები, მოხეტიალე მსახიობები და გაზეთების გამყიდველებიც კი სიამოვნებით სარგებლობენ „პლასტიკის“ მომსახურებით, იტყობინება ადგილობრივი გაზეთი „ლოკალი“.

მაგრამ შვედეთშიც კი საკმაოდ ბევრია იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ეჭვობენ, რომ „უნაღდო სამოთხე“ შეიძლება ჯოჯოხეთი, ელექტრონულ-საბანკო საკონტრაციო ბანაკი აღმოჩნდეს, რომელშიც ბანკები გააკონტროლებენ ყოველ მოქალაქეს, ახალშობილებიდან ღრმად მოხუცებულებზე შედგენილი ე.წ. საფინანსო ისტორიების მეშვეობით. მოქალაქეთა მიერ განხორციელებულ გადახრას ფულის პატრონების „გენერალური ხაზიდან“ შეიძლება მოჰყვეს ისეთი შედეგი, როგორიც პირადი საბანკო ანგარიშის დაბლოკვას მოჰყვება ხოლმე.

**„უნაღდო სამოთხის“ პროექტის ყველაზე უფრო შორსმჭვრეტელ ოპონენტებს ესმით, რომ ასეთი მომავალი არა მხოლოდ ნაღდი ფულის უქონლობას ნიშნავს, არამედ ფულის გაქრობას საერთოდ. ნაღდი ფულის გაუქმება ბანკებს დაეხმარება ღრმა მინუსში გადასასვლელად. დაიწყება ისეთი ტრადიციული ინსტიტუციური ინვესტორების კვდომა, როგორიც არის საპენსიო და სხვა სოციალური ფონდები, სადაზღვევო კომპანიები და ა.შ. არსებული პროგნოზებით უახლოეს 10-20 წელიწადში საპენსიო ფონდების უმეტესობა მარტის თოვლივით გადნება. მთავარი კი არის ის, რომ უნაღდო ფულის „გადნობაც“ გარდაუვალი იქნება. 20-30 წელიწადში ჩამოყალიბდება სულ სხვა სოციალური წესრიგი. პირობითად მას შეიძლება მსოფლიო საკონცენტრაციო ბანაკი ეწოდოს.**

პარადოქსი ის არის, რომ, ფულის სიკვდილის მიუხედავად, იმ ახალ მსოფლიო წესრიგში ბანკები შენარჩუნებული იქნება. პროცენტებისა და მოგების მომტანი დანადგარებიდან ისინი „კონტროლისა და აღრიცხვის“ შემსრულებელ ორგანიზაციებად გარდაიქმნება. ამ ფუნქციების გარეშე საკონცენტრაციო ბანაკები საერთოდ არ არსებობს.

**ვალენტინ კოტასონოვი**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ადამიანები, რომლებიც 9 მაისის „გლოვის დღედ“ გამოცხადებას (იხილეთ თანდართული „სქრინები“) მოითხოვენ, სწორედ იმ ქვეშაფსიების შთამომავალნი არიან, რომლებმაც თავი აარიდეს ფაშიზმისგან მსოფლიოს დაცვის დიად საქმეს და შიშისგან ჩირგვებში დაიმალნენ. მერე თავიანთი სამარცხვინო საქციელი „საქართველოს პატრიოტობით“ გაამართლეს და, რადგან სრულიად სამართლიანად დასაჯეს, ზოგ შემთხვევაში კი ლაჩრული საქციელის გამო სამხედრო ტრიბუნალით გაასამართლეს და დახვრიტეს კიდეც, ახლა ამ ლაჩართა შთამომავლები ბოლმას ანთხევენ ნამდვილ გმირებზე.**

# «ლუდვერდალეულები»

## ანუ ფიურერის თაყვანისმცემელთა შთამომავლები

**ნორმალური ადამიანი არც ვინმეს სიძულვილმა რომ არ უნდა დააბრმავოს და არც ვინმეს სიყვარულმა, ეს, მგონი, უდავოა. კარგი, ჟანდაბას! შეიძლება ვინმე გძულდეს ბრმად და აკვიატებულად, შესაძლოა, იყოს კიდეც ეს ვინმე საძულველი, მაგრამ მისმა სიძულვილმა სხვა, მასზე კიდევ უფრო უარესი და მიუღებელი პერსონის ბრმა სიყვარული ნამდვილად არ უნდა გამოიწვიოს. აკი, უძველესი ეგვიპტური სიბრძნეა: „თუ ნიანგი შენი მტრის შეჭმას ცდილობს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ნიანგი შენი მეგობარია“. ეს ანდაზა ყველაზე მეტად იოსებ სტალინისა და ადოლფ ჰიტლერის პიროვნებების შეპირისპირებას უხდება. ადამიანებს, რომლებსაც სძულთ სტალინი, ეს სიძულვილი, ნებსით თუ უნებლიეთ, გადასდით კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი დამნაშავისა და ავადმყოფური იდეებით შეპყრობილი ადოლფ ჰიტლერის ხოტბასა და სიყვარულში.**

როგორი დიქტატორიც უნდა ყოფილიყო სტალინი, რაც უნდა მიგაჩნდეს, რომ ამ ქართველ კაცს არაფერი დადებითი სამშობლოსთვის არ გაუკეთებია, რაც უნდა უარყოფითად იყო მისი პიროვნების მიმართ განწყობილი, როგორ უნდა დაგბოღმოს ამ ყოველივემ ისე, რომ სტალინის საწინააღმდეგო გამოსვლები ჰიტლერის ქება-დიდებაში გადაგივიდეს?!

არადა, რამდნიმე წელიწადია, ყოველი 9 მაისის მოახლოება და დადგომა სოციალური ქსელების ქართველ მომხმარებლებში უკვე ტრადიციულ **„გერმანული ლუდის დალევა-ვერდალევის“** თემაზე იდიოტურ კამათში გადაიზრდება ხოლმე(!).

სწორედ ასე შეიძლება დავარქვათ ამ საცხრამაისო შეხლა-შემოხლას, რომელიც სულ უფრო დაძაბულ და კიდევ უფრო ავადმყოფურ აზრებში გადადის.

2016 წლის 9 მაისსაც ამ მოლოდინით შევხვდი და არც შევმცდარვარ. სწორედ იმიტომ დავაყოვნე ამ მასალის მომზადება ერთი კვირით, რომ მენახა, წამეკითხა და გამეაზრებინა, რა „სიმაღლეებს“ მიაღწია სტალინის სიძულვილით დაბრმავებული ქართველი ჰიტლერელების ავადმყოფურმა აზრებმა და ფანტაზიებმა. თამამად შეიძლება ითქვას, **წლევანდელ 9 მაისს ფაშისტების თაყვანისმცემლებმა სულელური ზღაპრებისა და ავადმყოფური ფანტაზიის ყოველგვარი რეკორდი მოხსნეს.**

ეს ალიაქოთი, „ტრადიციულად“, 8 მაისიდან დაიწყო, ანუ სოციალურ ქსელში გამოჩნდა ცნობილი სულელური ფრაზა: **„ეჰ! რა უხარია ზოგიერთს ეს ვითომ ფაშიზმზე გამარჯვება, ნეტავ, დაექციათ რუსეთი და დაეპყროთ კავკასია, ახლა უფასოდ დავლევდით კაი ბავარიულ ლუდს“.** ეს ფრაზა 20-ოდე წლის წინათ ნორმალურმა ადამიანებმა ხუმრობად მივიღეთ, მაგრამ დროთა განმავლობაში გამოიკვეთა, რომ ეს „ხუმრობა“ სინამდვილეში რეალური ფაშისტური პროპაგანდაა, რომელმაც შეუმჩნევლად მოიკიდა ფეხი და დღეს ზოგიერთი ფაშისტი პროპაგანდისტი და მათ პროპაგანდას აყოლილი არც ისე ცოტა სულელი სერიოზულად „ამყარებს“ ამ მოსაზრებას შემდეგი „არგუმენტით“ — **ფაშისტების მხარეს მებრძოლ ქართველ მოღალატეთა ხელმძღვანელისთვის, შალვა მაღლაკელიძისთვის, ადოლფ ჰიტლერს თურმე პირადად უჩვენებია საგანგებო განკარგულება იმის შესახებ, რომ კავკასიის დაპყრობის შემდეგ ქართველებისთვის ბუზი არავის უნდა აეფრინა, საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა აღდგენილიყო და ამ ქვეყანას საკუთარი მთავრობა უნდა ჰყოლოდა.**

ეს სისულელე ამ ვერსიის მომხრეებს **„წყალგაუვალი არგუმენტი“ ჰგონიათ საიმისოდ, რომ ამტკიცონ, ჰიტლერის მხარეს მებრძოლი ქართველები პატრიოტები და ეროვნული გრძნობებით განსმჭვალულნი იყვნენ, ხოლო საბჭოთა კავშირის მხარეს მებრძოლი ქართველები — გაბრიყვებულნი...**

ვერ გეტყვით, რატომ სჯერათ ან, საერთოდ, სჯერათ თუ არა ამ ადამიანებს, რომ ჰიტლერი კავკასიის დაპყრობის, სოხუმისა და თბილისის აღების შემდეგ შალვა მაღლაკელიძეს თავზე არ დაახევდა იმ თავის განკარგულებას. აკი, ცნობილია და არსებობს დოკუმენტები იმის შესახებ, რომ ფიურერს უკვე შერჩეულიც ჰყავდა კავკასიის რაიხსკომისარი, ანუ კავკასიის გერმანელი მმართველი და რომ საქართველოს ან რომელიმე სხვა ქვეყნის „დამოუკიდებლობაზე“ საუბარიც კი არ ყოფილა რეალურად.

თუმცა წეღანაც გითხარით და კიდევ გავიმეორებ: რაც ამ საცხრამაისოდ აზრები და ფანტაზიები წავიკითხე, მათთან შედარებით, ზემოთ მოყვანილი მაგალითი მხოლოდ „ჟურნალია“.

**ტენდენცია იმის მტკიცებისა, რომ მეორე მსოფლიო ომი არა საბჭოთა კავშირმა, არამედ აშშ-ინგლისმა მოიგეს, დიდი ხანია, შეინიშნება. წელს ერთ-ერთი „ფეისბუქმომხმარებელი“ იქამდეც კი მივიდა, რომ იმის მტკიცებაც დაიწყო, არათუ ევროპაში არ მოუგია ომი სსრკ-ს, არამედ კონკრეტული „შიდა ბრძოლებიც“ კი, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, ამერიკელების მოგებულია და არა რუსებისო.**

„რომ წაიღეს ტვინი ამ კურსკით, კურსკის რკალზე სატანკო ბრძოლა სტალინმა და საბჭოთა ხალხმა კი არა, ამერიკულმა ტანკმა „შერმანმა“ მოიგო! ეს შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას“, — წერს ერთ-ერთი მეზღაპრე ანტისტალინელი და არც კი ფიქრობს, რომ ამით შეურაცხყოფს არა მხოლოდ სტალინს, არამედ ყველა ცოცხალ თუ გარდაცვლილ ომის ვეტერანს. ამჯერად ასეთი ადამიანების ზნეობრივ კატეგორიებს თავი დავანებოთ და ფაქტებით ვილაპარაკოთ.

ფაქტი კი ისაა, რომ **ამერიკულ ტანკ „შერმანს“ თვით ამერიკელები უწოდებდნენ „ასანთის კოლოფს“, რომელიც არც შეტევაში ვარგოდა, არც თავდაცვაში და ერთი გერმანული „ტიგრის“ გასანადგურებლად 5 ან მეტი „შერმანი“ იყო საჭირო. სინამდვილეში კურსკის უდიდეს სატანკო ბრძოლაში გამარჯვება იმ პერიოდისთვის უახლესი საბჭოთა ტანკის — „ტ-34“-ის ტრიუმფი იყო და სწორედ იმხანად წარმოადგინა საბჭოთა სამხედრო ინდუსტრიამ ტანკის ჯავშნის ინოვაციური ტიპი, რომლის მიხედვითაც დღემდე იწყობა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ტანკები.**

„ლენდ-ლიზის“ ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირი ამერიკულ თვითმფრინავებს — **„ჰარიკეინებს“** იღებდა და მოკავშირეებს არც არავინ უკარგავს ამ დახმარებას, მაგრამ „ლენდ-ლიზისთვის“ ასეთი გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება უვიცობაა.

არადა, ჯერ სად ვართ თურმე. „ჯერ კიდევ 1940 წელს ინგლისმა დაამარცხა ჰიტლერ-სტალინის ერთობლივი შეტევა“, — გაცხარებით ამტკიცებს იგივე ინტერნეტმომხმარებელი. **სამწუხაროდ, იგი არ აკონკრეტებს, რომელ შეტევაზე ლაპარაკობს, რა მიმართულებით წარმოებდა ეს შეტევა და რას ისახავდა მიზნად ჰიტლერ-სტალინის ეს „ერთობლივი ოპერაცია“, რომელიც თურმე ინგლისს დაუმარცხებია. მაგრამ რა უნდა დააკონკრეტოს, როდესაც სინამდვილეში მსგავსი არაფერი ყოფილა?!** ინგლისის პრემიერმინისტრად **უინსტონ ჩერჩილის** არჩევა, არსებული ინფორმაციით, სწორედ იმიტომ მოხდა, რომ 1939 წლიდან მოყოლებული ვერავინ ბედავდა, საკუთარ თავზე აელო გერმანიის საშინელ სამხედრო მანქანასთან დაპირისპირებაზე პასუხისმგებლობა და, როდესაც, ფრანგების მსგავსად, **„ქვეყნის აოხრებისგან გადარჩენის მიზნით კაპიტულაციაზე“** ფიქრობდნენ, უინსტონ ჩერჩილი ერთადერთი კაცი იყო, რომელმაც ხმამაღლა განაცხადა: „ჩვენ ვიომებთ და გავიმარჯვებთ“.

დიახ! **მეორე მსოფლიო ომის ბედის გადაწყვეტაში უინსტონ ჩერჩილის გონებრივი გამჭრიახობის, სიმამაცისა და გაუტეხელი სულის დამსახურების დაუნახაობაც ზუსტად ისეთივე ღორობაა, როგორიც სტალინის უდიდესი მხედართმთავრული ნიჭისა და არაადამიანური ნებისყოფის დაუნახაობა და შეუფასებლობა.**

ჰოდა, მოდი, ამ ორი გენიოსის საიდუმლო ურთიერთმიმოწერა ავიღოთ კიდეც ძირითად წყაროდ, როდესაც მეორე მსოფლიო ომის პერიპეტიებზე საუბარი გვსურს. კრემლის საიდუმლო არქივებიდან ამოღებული ამ დოკუმენტების გამოქვეყნების ნებართვა 1957 წელს გაიცა და იგი წარმოადგენს კიდეც ყველაზე პირუთვნელ წყაროს, რადგან მასზე არც ერთი მიკერძოებული კომენტატორის აზრი არ არის დართული. აქ მხოლოდ სტალინისა და ჩერჩილის მიერ ერთმანეთისთვის მიწერილი ბარათებია, რომლებიდანაც დაინტერესებულ მკითხველს ბევრი რამის გაგება შეუძლია.

მაგალითად, ამის:

**„გასულ წელს ჩვენ ვიწვნიეთ წარუმატებლობის სიმწარე ნამსუსში, წლეულს კი — კრეტაზე. აღარ გვსურს, ეს განმეორდეს“,** — წერს უინსტონ ჩერჩილი იოსებ სტალინს. ნამსუსი ნორვეგიული საპორტო ქალაქია, რომელშიც ბრიტანელებმა 1940 წლის აპრილში გადასხეს ჯარები, რომლებმაც 3 მაისს, გერმანელთა პირველივე შეტევის შედეგად, უწესრიგოდ და დიდი მსხვერპლის ფასად დატოვეს იგი. კრეტა კი საბერძნეთის კუნძულია, რომელზეც ბრიტანეთმა 1940 წლის ნოემბერში იტალიელთა აგრესიისგან ბერძნების დასაცავად გადასხა ჯარი, მაგრამ 31 მაისს გერმანული შენაერთების შტურმის შედეგად კუნძულზე ერთი ბრიტანელიც აღარ დარჩა. **აი, ასე „სახელოვნად ანადგურებდა“ ჰიტლერს ბრიტანეთი, სანამ საქმეში საბჭოთა კავშირი ჩაერეოდა.**

ხოლო იმის შესახებ, რომ თურმე მას სტალინი და ჰიტლერი ერთობლივად უტევდნენ, უინსტონ ჩერჩილს ამ წერილებში რატომღაც ერთი სასაყვედურო ფრაზაც კი არ დასცდენია სტალინის მისამართით...

ახლა კი მოემზადეთ **იდიოტიზმის აპოთეოზისთვის: „დროა, დავიწყოთ საუბარი ლენინგრადის ბლოკადაზე, როგორც სტალინის ხელოვნურ ხრიკზე. რეალურად არ იყო ბლოკადა, სტალინი ამგვარად გაუსწორდა პეტერ-**









**გიორგი კვირიკაშვილს ლანძღვა-გინების განუსაზღვრელი „ტრენერული“ უფლებები მიენიჭება. რაც მთავარია, საფეხბურთო კლუბებს, მოგეხსენებათ, ოფიციალურად ჰყავთ მეპატრონე. ასე მარტივად გადაიჭრება ბიძინა ივანიშვილის საკითხიც. საბოლოოდ დაესმება წერტილი კითხვებს — რა ფუნქციას ასრულებს და რა ეგიდით ერევა ბიძინა ივანიშვილი საქართველოს ცხოვრებაში? ის პოლიტიკიდან წასულია და ჩვეულებრივი მოქალაქეა? რა ხდება — ქვეყანაში ჩრდილოვანი, ოლიგარქიული მმართველობაა?**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ბურგს, რადგან ის იმპერიის ყოფილი დედაქალაქი იყო“.**

აი, ამ სიდებილის აღსაქმელად და გასააზრებლად ნამდვილად საგანგებო მომზადებაა საჭირო, ამიტომ მას, უბრალოდ, ამ ტვინდაავადებულ ადამიანებზე შთაბეჭდილების შესაქმნელად ვაქვეყნებ და კომენტარისგან თავს ვიკავებ.

საკითხი კი, 8 მაისს უნდა აღვნიშნოთ გამარჯვების დღე თუ 9 მაისს, სრულიად არასერიოზულად მიმაჩნია. არა მგონია, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. ხოლო მიზეზი, რატომ აღნიშნება გამარჯვება ბრიტანეთსა და ამერიკაში 8 მაისს, ხოლო პოსტსაბჭოთა სივრცეში — 9 მაისს, ერთგვარი გაუგებრობაა ამერიკის იმჟამინდელ პრეზიდენტს — **ჰარი ტრუმენსა** და სტალინს შორის, რის გამოც ტრუმენმა გამარჯვების დღედ კაპიტულაციის მეორე დღე გამოაცხადა, სტალინმა კი — კაპიტულაციის ოფიციალურად ძალაში შესვლის დღე. ეს არის და ეს და ამის შესაბამისი წერილების ნახვაც შესაძლებელია ჩემ მიერ ზემოთ ხსენებულ წყაროებში...

მაგრამ **წიგნი და წყარო რაში აინტერესებთ „ლუდვერდალეულებს“?! ისინი ხომ, თუკი ვინმე შესაბამის პროპაგანდას ჩაუტარებს, არც ჩვენი სახელოვანი „თერგდალეულების“ რუსეთის მონებად და „რუსეთუმეებად“ გამოცხადებას მოერიდებიან და უკვე ამის ტენდენციაც შეინიშნება...**

ჯერჯერობით კი აშკარად ჩანს დეზერტირი წინაპრებით სიამაყე. დიახ! მაგალითად, პოლიტიკოსი და ნაცისტი **გივი თარგამაძე** პირდაპირ აცხადებს: მე ვამაყობ ჩემი ბაბუით, რომელმაც უარი განაცხადა საბჭოთა კავშირის ქვეშევრდომობაზე, 1942 წელს კავკასიონზე ჰიტლერის გადმოსვლას მიესალმებოდა, რის გამოც კომუნისტებმა დაიჭირეს და დახვრიტესო...

იქნებ ცოტა ზედმეტიც მომდის, მაგრამ მრჩება შთაბეჭდილება, რომ **ადამიანები, რომლებიც 9 მაისის „გლოვის დღედ“ გამოცხადებას (იხილეთ თანდართული „სქრინები“) მოითხოვენ, სწორედ იმ ქვეშაფსიების შთამომავალნი არიან, რომლებმაც თავი აარიდეს ფაშიზმისგან მსოფლიოს დაცვის დიად საქმეს და შიშისგან ჩირგვებში დაიმალნენ. მერე თავიანთი სამარცხვინო საქციელი „საქართველოს პატრიოტობით“ გაამართლეს და, რადგან სრულიად სამართლიანად დასაჯეს, ზოგ შემთხვევაში კი — ლაჩრული საქციელის გამო სამხედრო ტრიბუნალით გაასამართლეს და დახვრიტეს კიდეც, ახლა ამ ლაჩართა შთამომავლები ბოლმას ანთხევენ ნამდვილ გმირებზე.**

ჰოდა, სულით, გონებით, ბუნებით დაავადებული ასეთი ტუტუცების გასაგონად კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრათ ყველა გმირს, რომლებმაც ფაშიზმის დამარცხებაში წვლილი შეიტანეს. სულერთია, ვის საჯარისო შენაერთში იბრძოდნენ — ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის თუ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის!

# პრემიერმინისტრისა და პრეზიდენტის ინსტიტუტები უქმდება

**ქართულმა და არა მხოლოდ ქართულმა მედიამ უმალ მიაქცია ყურადღება საქართველოს პრემიერმინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებას დიდ ბრიტანეთში ე.წ. ჩეთემ ჰაუსის ექსპერტებთან საუბრისას. მოგეხსენებათ, იქ კვირიკაშვილმა საქართველო ინგლისური ფეხბურთის ახალგამოჩეკილ სენსაციას, კლუბ „ლესტერ სიტის“, შეადარა.**



„ვინც ფიქრობს, რომ საქართველო ვერ მიაღწევს საგარეო ასპარეზზე დასახულ მიზნებს, ან ვინც, ზოგადად, ფიქრობს, რომ არსებობს რაიმე მიუღწეველი ოცნება და მიზანი ცხოვრებაში, გაიხსენოს „ლესტერ სიტი“, — თქვა ჩვენმა პრემიერმინისტრმა და ამით, შეიძლება ითქვას, აღაფრთოვანა მთელი „ჩეთემ ჰაუსი“.

ფაქტია, ყველასთვის იმწამს ნათელი შეიქნა, რომ კვირიკაშვილი ამ ფრაზაში ნატოსა და ევროკავშირისკენ საქართველოს სწრაფვას გულისხმობდა, მაგრამ ჩვენი ახირებული კორესპონდენტი, როგორც იცის ხოლმე, უფრო ღრმად ჩაუკვირდა საკითხს და გააკეთა კიდეც სენსაციური დასკვნები.

კერძოდ, იგი არ მოასვენა კითხვამ: რაღა მაინცდამაინც „ლესტერ სიტის“ მწვრთნელს — **კლაუდიო რანიერის** შეადარა საკუთარი თავი გიორგი კვირიკაშვილმა? განა ცოტაა დასახული, თუნდაც წარმოუდგენელი, მიზნის მიღწევის სხვა მაგალითები? რატომ მაინცდამაინც ფეხბურთის მაგალითი?

ასეთი კითხვების პარალელურად, ჩვენი ახირებული კორესპონდენტის ტვინში ამოტივტივდა ქართული რეალობა და ის, თუ როგორ ბჭობენ და კამათობენ ხოლმე დიადი ქართველი ექსპერტები, — რომელი უნდა იყოს ქვეყნის პირველი პირი — პრეზიდენტი თუ პრემიერმინისტრი? — აკი, არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომ საპრეზიდენტო ინსტიტუტი საერთოდ უნდა გაუქმდეს და საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა უნდა იყოს.

ამის საპირისპიროდ, არსებობს აზრი, რომ პრემიერმინისტრის პოსტი უნდა გაუქმდეს და მინისტრები ერთპიროვნულად მართოს ძლიერმა პრეზიდენტმა.

ჰოდა, ამ ყველაფრის კარგად გააზრების შემდეგ, ჩვენი დაჟინებული კორესპონდენტი ჩააცივდა მის რამდენიმე წყაროს მთავრობის გავლენიან წრეებში და მიიღო კიდეც სენსაციური ინფორმაცია:

კერძოდ, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, **დაპირისპირებულმა ექსპერტებმა რომ აღარ იჩხუბონ, გაუქმდება ორივე ინსტიტუტი — პრეზიდენტისა და პრემიერმინისტრის, ხოლო გიორგი კვირიკაშვილი დაინიშნება საქართველოს მწვრთნელად.**

ასეთ რეფორმას რამდენიმე კუთხით ექნება დადებითი შედეგი:

**პირველი** — საბოლოოდ დასრულდება კინკლაობა პრეზიდენტსა და პრემიერმინისტრს შორის, თუ ვინ უნდა წავიდეს უცხოეთში ამა თუ იმ ფორუმზე, სამიტზე და ასე შემდეგ.

**მეორე** — მოგეხსენებათ, „ტერნერი ისაა, რომ იგინება!“ და, როგორც 25-წლიანი გამოცდილება გვიჩვენებს, ზოგიერთთან გინების გარეშე არაფერი გამოდის.

გიორგი კვირიკაშვილს კი ლანძღვა-გინების განუსაზღვრელი „ტრენერული“ უფლებები მიენიჭება. რაც მთავარია, საფეხბურთო კლუბებს, მოგეხსენებათ, ოფიციალურად ჰყავს მეპატრონე. ასე მარტივად გადაიჭრება **ბიძინა ივანიშვილის** საკითხიც. საბოლოოდ დაესმება წერტილი კითხვებს — რა ფუნქციას ასრულებს და რა ეგიდით ერევა ბიძინა ივანიშვილი საქართველოს ცხოვრებაში? ის პოლიტიკიდან წასულია და ჩვეულებრივი მოქალაქეა? რა ხდება — ქვეყანაში ჩრდილოვანი, ოლიგარქიული მმართველობაა?

**ასეთ კითხვებზე იქნება მარტივი პასუხი: — ბიძინა ივანიშვილი არის საქართველოს მეპატრონე!**

მორჩა, პრობლემაც გადაჭრილია!

— სხვათა შორის, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მეპატრონეს, ისევე, როგორც ამას საფეხბურთო კლუბების მეპატრონეები აკეთებენ ხოლმე, ნებისმიერ დროს შეეძლება, გაუშვას ერთი მწვრთნელი და მოიყვანოს მეორე, და საზოგადოდ, რაც უნდა, ის გააკეთოს. მართალია, ბიძინა ივანიშვილი ახლაც ასე ექცევა საქართველოს, მაგრამ ხსენებული რეფორმების განხორციელების შემდეგ მას უკვე ოფიციალურად მიეცემა ამის უფლებაო, — განუცხადა ჩვენს გაოგნებულ კორესპონდენტს სამთავრობო წრეებთან დაახლოებულმა წყარომ.

**გაიტანე გოლია**

# ნაციონალები საიდუმლო ყრილობას გეგმავენ

**მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ პარტიული ყრილობა გამართა, „ნაციონალურმა მოძრაობამაც“ გადაწყვიტა საკუთარი ძალების ჩვენება და საიდუმლო ყრილობის ჩატარება დაგეგმა, მაგრამ ჩვენმა ტრადიციულმა წყარომ მათი გეგმები და ყრილობის სცენარი მაშინ მოიპოვა, როდესაც გივი თარგამაძე კეპრთაყვანისმცემელთა რიტუალზე იმყოფებოდა და სცენარის გეგმა ჯიბიდან ამოაცალა.**

მაშ ასე: „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც პარტიის, ყრილობა 2016 წლის აგვისტოში გაიმართება, იმ პერიოდში, როდესაც დედაქალაქის მცხოვრებნი აუტანელ სიცხეს გარიდებულები მშვიდად ისხდებიან თავიანთი სოფლების ჰამაკებში (ვკითხულობთ ფურცელზე)

კონსპირაციულობის მიზნით პარტიის წევრებისთვის სხვადასხვა ცხოველის ფორმები იკერება, რომლებითაც ღონისძიებაზე წარდგებიან.

**ვეფხვი, კატა, ტურა, ბეჰემოთი, სპილო, ნიანგი, ირემი, ჟირაფი, მგელი, ლომი და აფთარი — ეს იმ ცხოველთა არასრული ჩამონათვალია, რომელთა ნიღბების გამოყენებასაც საპარლამენტო უმცირესობა საიდუმლო ყრილობაზე აპირებს.**

შერჩეულია იმ პირთა ვინაობაც, რომლებიც აღნიშნულ ფორმებს მოირგებენ. როგორც წყარო ამბობს, კონსპირაციული ყრილობის ჩატარება იმ მიზეზით იგეგმება, რომ ეშინიათ, ხალხმა არ იცნოს და მათი ისედაც დაბალი რეიტინგი კიდევ უფრო არ დაეცეს.

სცენარში ვკითხულობთ:

**ლომი — მიხეილ სააკაშვილი**

**კატა — თინა ბოკუჩავა**

**ვეფხვი — გიგა ბოკერია**

**ტურა — ირმა ნადირაშვილი**

**სპილო — გოკა გაბაშვილი**

**ბეჰემოთი — გივი თარგამაძე**

**ჟირაფი — ნიკა მელია**

**მგელი — დავით ბაქრაძე** (სიმბოლურად, ვინაიდან პარტიის ლიდერია, თუმცა... ვკითხულობთ ფურცელზე)

**აფთარი — ჩიორა თაქთაქიშვილი**

**ნიანგი — ხათუნა გოგორიშვილი**

დანარჩენისთვის კი შავი ფერის „გოთური“ სამოსი იკერება, რომლითაც მათი სახეების იდენტიფიცრება შეუძლებელი იქნება.

წყარო იმასაც ამბობს, რომ არ არის გამორიცხული, **ირაკლი ალასანიაც** დაესწროს საიდუმლო ყრილობას და მისთვის საგანგებოდ მაიმუნის ფორმა მზადდება, რომელსაც ცნობილი დიზაინერი **გოგოლა შავაძე** კერავსო.

საიდუმლო ყრილობაზე დასწრებას გეგმავენ „რუსთავი 2“-ის წამყვანებიც. **ნანუკა ჟორჟოლიანსა** და **მაია ასათიანს** არაფერს უკერავენ, მათზე უთქვამთ, ამათ რაღა უნდა შევუკეროთ, ისედაც შესაფერისად გამოიყურებიანო.

ვინაიდან **მიხეილ სააკაშვილი** საქართველოში არ იმყოფება, ის სკაიპით ჩაერთვება ყრილობაზე და სამომავლო გეგმებს წარადგენს.

სპეციალურად ამ დღეს დაესწრებიან **გოგა ხაჩიძე, ზურა ჯაფარიძე** და **პალიკო კუბლაშვილი**, როგორც ინფორმატორი ამბობს, ეს სააკაშვილის დაჟინებული მოთხოვნა ყოფილა და ყოფილებსაც გული არ უტკენინებიათ, მათთვის კი საგანგებოდ გირჩის ფორმები იკერება.

რაც შეეხება ყრილობის ჩატარების ადგილს, ჩვენი ინფორმაციით, ის ერთ-ერთ მიტოვებულ სასაფლაოზე გაიმართება.

**გრიგოლ ინგაძე**

**ვეფხვი, კატა, ტურა, ბეჰემოთი, სპილო, ნიანგი, ირემი, ჟირაფი, მგელი, ლომი და აფთარი — ეს იმ ცხოველთა არასრული ჩამონათვალია, რომელთა ნიღბების გამოყენებასაც საპარლამენტო უმცირესობა საიდუმლო ყრილობაზე აპირებს... არ არის გამორიცხული, ირაკლი ალასანიაც დაესწროს საიდუმლო ყრილობას და მისთვის საგანგებოდ მაიმუნის ფორმა მზადდება, რომელსაც ცნობილი დიზაინერი გოგოლა შავაძე კერავსო**

პარა ბელუმ!

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბრიტანელი მიმომხილველების აზრით, „რუსეთის ახალი ბირთვული იარაღი დასავლელ პოლიტიკოსებსა და სამხედროებს შიშს ჰგვრის, რადგან თანამედროვე რადარებს ამ კომპლექსიდან გაშვებული ბირთული რაკეტის აღმოჩენა არ შეუძლია და რუსებს შესაძლებლობა ექნებათ, რამდენიმე წამში აღგავონ პირისაგან მიწისა ტერიტორიის მიხედვით საფრანგეთის ან ტეხასის შტატის ტოლი სახელმწიფო“.**

# «სარმატი» — «განკითხვის დღის იარაღი»

## რუსეთის ბირთვულქობინიანი რაკეტა, რომლის შეჩერებასაც დასავლეთი ვერ შეძლებს

**ბრიტანული გამოცემა „დეილი მირორი“ წერს, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები, სტრატეგიული სარაკეტო კომპლექსი P-36M-ის ნაცვლად, ახალ კომპლექსს — „სარმატს“ მიიღებს.**

ბრიტანელი მიმომხილველების აზრით, „რუსეთის ახალი ბირთვული იარაღი დასავლელ პოლიტიკოსებსა და სამხედროებს შიშს ჰგვრით, რადგან თანამედროვე რადარებს ამ კომპლექსიდან გაშვებული ბირთული რაკეტის ალმოჩენა არ შეუძლია და რუსებს შესაძლებლობა ექნებათ, რამდენიმე წამში აღგავონ პირისაგან მიწისა ტერიტორიის მიხედვით საფრანგეთის ან ტეხასის შტატის ტოლი სახელმწიფო“.

**დასავლურმა მედიამ რუსულ ახალ სარაკეტო კომპლექსს უწოდა „განკითხვის დღის საშინელი იარაღი“, რომელსაც ნებისმიერი რადიოსალოკაციო სისტემის მოტყუება შეუძლია.**

ბრიტანული გამოცემა აზუსტებს, რომ რუსეთი ამ სარაკეტო კომპლექსის გამოცდას მიმდინარე წლის ზაფხულში აპირებს, ოღონდ ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, აღჭურვავენ თუ არა ამ კომპლექსის რაკეტებს ბირთვული მუხტით.

სამხედრო სპეციალისტების აზრით, **რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიერ შექმნილი ახალ საკონტინენტაშორისო ბალისტიკურ რაკეტას შეუძლია, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ნებისმიერ სისტემას აუაროს გვერდი და ეს იქნება პასუხი ამერიკულ ინიციატივაზე „სწრაფი გლობალური დარტყმის“ შესახებ. ამერიკელთა ამ ინიციატივის მიხედვით, უნდა შეიქმნას სისტემები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი საათის განმავლობაში არაბირთვული იარაღით განახორციელებენ დარტყმებს პლანეტის ნებისმიერ წერტილში. სწორედ ამერიკული „სწრაფი გლობალური დარტყმის“ გასანეიტრალებლად მუშაობს რუსეთის თავდაცვის სამინისტრო.**

„აშშ-ის მხრიდან ჰიპერბგერითი ტექნოლოგიების გამოყენებით სწრაფი გლობალური დარტყმების შესაძლო საფრთხეების თავიდან ასაცილებლად მიმდინარეობს სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო სამუშაოები, რომლის შედეგადაც შეიქმნება ისეთი იარაღი, როგორიც ამერიკელებს არ აქვთ. მიმდინარეობს შეიარაღებული ძალების მომარაგება რაკეტებით — „იარსითა“ და „ბულავათი“, ამასთანავე, მალე დასრულდება ახალი მძიმე რაკეტის შექმნაც“, — განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე **იური ბორისოვმა** და დასძინა, რომ „ახალ ბალისტიკურ რაკეტას რაკეტსაწინააღმდგო ბარიერების გადალახვის ისეთი ენერგეტიკული მარაგი აქვს, რომ შეუძლია ჩრდილოეთ ან სამხრეთ პოლუსის გავლით იფრინოს და მიზანს მიაღწიოს“.





**„სარმატის“ ტექნიკური მახასიათებლები:**

„სარმატი“ (PC-28) — ეს არის საშახტო ბაზირების მეხუთე თაობის რუსული სტრატეგიული სარაკეტო კომპლექსი, რომელიც აღჭურვილია მძიმე, ორსაფეხურიანი თხევადი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებით.



მეოთხე თაობის კომპლექსებისგან (P-36M „სატანა“) განსხვავებით, აქვს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებისგან თავდაცვის საშუალებები (საშახტო გამშვები მოწყობილობა), აგრეთვე, მაღალი სიზუსტის ჰიპერბგერითი საბრძოლო ბლოკები. შეუძლია, იფრინოს სუბორბიტული ტრაექტორიით. მაღალი სიზუსტის ჰიპერბგერითი ქობინები საშუალებას იძლევა, საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა გამოყენებულ იქნას ლოკალურ ომებში „სწრაფი გლობალური დარტყმის“ სტრატეგიის საწინააღმეგოდ. ამ რაკეტას შეიძლება მოწინააღმდეგის სტრატეგიული ობიექტების დაზიანება და განადგურება ქობინის კინეტიკური ენერგიით ბირთვული აფეთქების გარეშე.

* ორსაფეხურიანი რაკეტის სასტარტო მასა 169 ტონაა, სათავო ნაწილის მასა — 10 ტ.
* ამოქმედება სამხედრო ბაზირების ახალი სარაკეტო კომპლექსისა, რომელიც 10 ტონა საბრძოლო მასალას გადაიტანს დედამიწის ნებისმიერ წერტილში, სარეკორდოდ მოკლე ხანშია შესაძლებელი.

# პენტაგონი შეშფოთებულია: რუსებსა და ჩინელებს შეუძლიათ, ამერიკული კოსმოსური თანამგზავრები გაანადგურონ



**„პენტაგონის ოფიციალური პირების განცხადებით, რუსეთი და ჩინეთი მუშაობენ ტექნოლოგიის შექმნაზე, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, თავს დაესხან აშშ-ს კოსმოსში“, — იუწყება ამერიკული გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“.**

ამერიკელი სამხედროების აზრით, მოსკოვი და პეკინი დაკავებულნი არიან კოსმოსური ორბიტული თანამგზავრების გამანადგურებელი იარაღის შექმნით. კერძოდ, ვაშინგტონელი მაღალჩინოსნები შეშფოთებულნი არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ ჩატარებული ცდებით, რომელთა მიზანი კოსმოსური თანამგზავრების განადგურებაა. ამას გარდა, აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ყურადღება მიიპყრო რუსეთის მიერ დედამიწის ახლო ორბიტაზე გაშვებულმა კოსმოსურმა თანამგზავრმა, რომელმაც კომერციული კავშირგაბმულობის კორპორაცია „ინტელსატის“ ორ თანამგზავრს შორის დაიკავა პოზიცია, შემდეგ კი სახიფათო მანძილზე მიუახლოვდა მესამე თანამგზავრებს. ამ ვითარებაში პენტაგონი იძულებულია, თავისი თანამგზავრების დასაცავად მილიარდები დახარჯოს. დაცვის ერთ-ერთი მეთოდია, კოსმოსში გაუშვან მცირე ზომის თანამგზავრები, რომელთა განადგურება გაცილებით რთულია. ამასთანავე, ამერიკელი სამხედროები, როგორც „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება, ქმნიან სისტემას სახელწოდებით „კოსმოსური ზღუდე“, რომელიც გააძლიერებს კონტროლს კოსმოსურ ნაგავზე.

2016 წელს პენტაგონი კოსმოსურ პროგრამებზე 22 მლრდ დოლარის დახარჯვას აპირებს, კიდევ 5 მილიარდი გამოიყოფა კოსმოსური კვლევების ჩასატარებლად და ამ თანხის ნახევარი დასჭირდება განხორციელებას საიდუმლო პროგრამისა, რომელმაც კოსმოსურ სივრცეზე სათანადო კონტროლი უნდა უზრუნველყოს.

2015 წლის ნოემბერში ამერიკული მედია იუწყებოდა, რომ პენტაგონი შეშფოთებული იყო რუსული თანამგზავრის — „ლუჩის“ — მანევრებით. ის ძალიან მიუახლოვდა კორპორაცია „ინტელსატის“ ორ აპარატს და მათ შორის იყო 5 თვის განმავლობაში.

2014 წელს აშშ, აგრეთვე, შეაშფოთა რუსული კოსმოსური აპარატების — „კოსმოს-2499“-სა და „კოსმოს-2504“-ის მანევრებმა. პენტაგონმა განაცხადა ნაციონალური ორბიტული თანამგზავრების ჯგუფის პოტენციურ საფრთხეზე, რომელიც რუსული (აგრეთვე, ჩინური) კოსმოსური აპარატების მანევრებმა გამოიწვია.

**ცნობისთვის:**

*თანამგზავრი „ლუჩი“, რომელმაც პენტაგონი შეაშფოთა, 2014 წლის 28 სექტემბერს გაუშვეს კომსოდრომ ბაიკონურიდან რაკეტა-მატარებლით „პროტან-მ“-ით. რუსი სპეციალისტები „ლუჩს“ საერთაშორისო კოსმოსური სადგურის რუსულ სეგმენტთან კავშირის უზრუნველსაყოფად იყენებენ.

*კორპორაცია „ინტელსატი“ 75 თანამგზავრის მფლობელია და აქტიურად თანამშრომლობს პენტაგონთან.

## «ლეგენდარული იარაღი»



# «გლოკ 17»

**ამ პოლიმერული ნახევრადავტომატური პისტოლეტით 1982 წელს შეიარაღდა ავსტრიის არმია და პოლიცია.**

თავდაპირველად ყველა ერიდებოდა ამ „პლასტმასის სათამაშოს“, რადგან ძნელი იყო მის საიმედოობაში დარწმუნება, მაგრამ საბრძოლო მონაცემებითა და საიმედოობით გამორჩეულმა Clock17-მა მალე მოიხვეჭა პოპულარობა არა მხოლოდ ავსტრიაში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ამ პისტოლეტით არის შეიარაღებული აშშ-ის სამართალდამცველთა დაახლოებით 60%.

*** იარაღის კონსტრუქტორია გასტონ გლოკი**
*** მასა — 625 გრ (ვაზნების გარეშე);**
**905 გრ (ვაზნებითურთ)**
*** სიგრძე — 186 მმ**
*** ლულის სიგრძე — 14 მმ**
*** ვაზნები — 9X19 მმ პარაბელუმი**
*** მოქმედების სიშორე — 50 მ**
*** ფასი — 425-600 დოლარი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

41 წლის გერმანელი ქალის სიკვდილის გამოძიებისას პოლიციამ გაარკვია, რომ ეს წამებით მოკვდინების ერთადერთი შემთხვევა არ იყო. რამდენიმე წლის წინათ მეუღლეებმა სიცოცხლეს წამებით გამოასალმეს ქვედა საქსონიაში მცხოვრები 31 წლის ქალი, რომლის გვამიც დაჩეხეს და მაცივარში შეინახეს, შემდეგ კი ბუხარში დაწვეს.

ეს უნდა იცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## აშშ-ის არმიაში ჰომოსექსუალთა ქორწინებების ბუმია

**ამერიკელ სამხედროებს შორის ჰომოსექსუალური ქორწინებები გახშირდა. ერთი და იმავე სქესის მქონე პირების ქორწინების დაკანონების შემდეგ აშშ-ის შეიარაღებული ძალების სპეციალისტმა (რანგი ამერიკის არმიაში) შეინ ადრიანომ და პირველი კლასის რიგითმა ტრისტან რესზმა რამდენიმე დღის წინათ იქორწინეს და ოჯახური ცხოვრების დაწყება კოცნით იზეიმეს. საქორწინო ცერემონია სპრინგფილდში (მასუსის შტატი) გაიმართა. შეინმა ტრისტანს გაცნობიდან ერთი წლის თავზე სთხოვა ხელი. ახალდაქორწინებულები ამბობენ, რომ ეს „იყო ერთი ნახვით შეყვარება“.**


შეინ ადრიანო და ტრისტან რესზი

**ერთნაირსქესიანთა ქორწინების გახმაურებული შემთხვევები აშშ-ის არმიაში:**

* 2012 წლის თებერვალში საზღვაო ქვეითი, სერჟანტი ბრენდონ მორგანი ავღანეთში წელიწადნახევრიანი მსახურების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და აეროპორტივე აღმოჩნდა თავისი ბოიფრენდის — დელანის მკლავებში.

* 2011 წლის დეკემბერში მეორე რანგის საზღვაო სამხედრომ **მარისა გაეტამ** მესამე რანგის მეზღვაურ **სიტლალიკ სნელზე** იქორწინა.

* 2015 წელს სან-დიეგოელმა წყვილმა — **ტომას სავიცკიმ** და **შონ ბრიერმა** ოჯახის წევრების თვალწინ შეჰფიცეს ერთმანეთს სიყვარული.


მარისა გაეტა და სიტლალიკ სნელი


ბრენდონ მორგანი და დელანი


ტომას სავიცკი და შონ ბრიერი



## თურქ მასწავლებელს 508 წლით აღუკვეთეს თავისუფლება

**თურქეთის ქალაქ ქარამანის სასამართლომ სკოლის 54 წლის მასწავლებელს — მუჰარემ ბიუიუკთურქს, ბავშვებზე სექსუალური ძალადობის გამო, 508 წლით აღუკვეთა თავისუფლება. გამოძიების მონაცემებით, მამაკაცმა 10 მოსწავლეზე იძალადა.**

ბიუიუკთურქი ამა წლის 5 მარტს დააპატიმრეს. სამართალდამცველებმა მას „ბავშვებზე სექსუალურ ძალადობასა“ და „თავისუფლების შეზღუდვაში“ დასდეს ბრალი, აგრეთვე, — „წინასწარ განზრახვით ფიზიკურ დაზიანებებსა“ და „უზნეო მასალების ნახვის დაძალებაში“.

პროკურატურამ მოითხოვა, მასწავლებლისთვის 600 წლით აღეკვეთათ თავისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ განსასჯელი ბრალდებებს უარყოფდა, სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო.

პროცესის მიმდინარეობისას სასამართლოს შენობას 900 პოლიციელი და სპეცრაზმელი იცავდა, რადგან იყო მცდელობა, აღშფოთებულ ადამიანებს ლინჩის წესით გაესამართლებინათ გარყვნილი მასწავლებელი.

## საშინელებათა სახლი: გერმანელი ცოლ-ქმარი წამებით კლავდა ქალებს

**გერმანელი ცოლ-ქმარი რეგულარულად აწამებდა ქალებს, რომლებიც გაცნობის შესახებ გამოქვეყნებული განცხადების წაკითხვის შემდეგ სტუმრობდნენ წყვილის სახლს.**



41 წლის გერმანელი ქალის სიკვდილის გამოძიებისას პოლიციამ გაარკვია, რომ ეს წამებით მოკვდინების ერთადერთი შემთხვევა არ იყო. რამდენიმე წლის წინათ მეუღლეებმა სიცოცხლეს წამებით გამოასალმეს ქვედა საქსონიაში მცხოვრები 31 წლის ქალი, რომლის გვამიც დაჩეხეს და მაცივარში შეინახეს, შემდეგ კი ბუხარში დაწვეს.

„მეუღლეები მსხვერპლზე ფიზიკურად ძალადობდნენ — სცემდნენ, რადიატორზე აბამბდნენ, აიძულებდნენ, ცივ ოთახში შიშველს იატაკზე დაეძინა“, — განაცხადა პროკურორმა **რალფ მაიერმა.**

ეს ყველაფერი კი ხდებოდა ქალაქ ჰიოქსტერში (ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის მიწა). მეუღლეების გვარებს არ ასახელებენ, ცნობილია მხოლოდ მათი სახელები — **ვილფრიდი** და **ანგელიკა.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინისთვის, როდესაც ის საკონფერენციო დარბაზში შედიოდა, ნათელმხილველივით ყველაფერი წინასწარ იყო ცნობილი — რომელ საკითხს წამოწევდნენ „მოკავშირეები“ და რა პასუხი უნდა გაეცა მათთვის.**

# როგორ ხელმძღვანელობდა სტალინი ატომური ბომბის შექმნას

**ეს თემა, დიდი მოცულობიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, ფრაგმენტულად მოგაწოდოთ და, თუ დაინტერესდებით, კვლავ დავუბრუნდები, ოღონდ უფრო დაწვრილებით.**

1941 წლის სექტემბერში სამხედრო-საჰაერო აკადემიის 28 წლის კურსანტმა **გიორგი ფლეროვმა** წერილი მისწერა მეცნიერების გრანდებს — **იგორ კურჩატოვსა** და **სერგეი კაფტანოვს**, რომ სახელმწიფოში სასწრაფოდ უნდა დაწყებულიყო მუშაობა ურანის გამდიდრებაზე. არასათანადო ყურადღების გამო 1942 წლის აპრილში კურსანტმა მეორედ დაწერა ანალოგიური შინაარსის წერილი, მაგრამ ამჯერად არა კურჩატოვისა და კაფტანოვის, არამედ თვით სტალინის სახელზე. კურსანტი წერდა, საზღვარგარეთ გამალებით მუშაობენ ზემძლავრი იარაღის შესაქმნელად და ჩვენი უმოქმედობა ყოვლად მიუღებელიაო.

„სასწრაფოდ უნდა დაიწყოს მუშაობა ურანზე. ჩვენი მეცნიერების პასიურობა აქვეითებს ჩვენს სამეცნიერო პოტენციალს უცხოელ მეცნიერებთან შედარებით, რაც გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანს“, — აღელვებით წერდა აკადემიის კურსანტი ფლეროვი სტალინს.

ამავე პერიოდში **ლავრენტი ბერიამ,** დაზვერვის მიერ მოპოვებული მასალებიდან გამომდინარე, დაზუსტებული ინფორმაცია მიაწოდა სტალინს დასავლეთში ატომური ბომბის შექმნის სამუშაოებზე.

მრავალი წლის შემდეგ სერგეი კაფტანოვმა დაწერა: „როდესაც სტალინს მოვახსენე ატომური ბომბის შესახებ, დაუფარავად განვუცხადე, რომ ამ პროექტის განხორციელებაში რისკი დიდია. ჩვენ ამაზე უნდა დავხარჯოთ ათეულობით და ასეულობით მილიონი მანეთი. გარდა იმისა, რომ დავხარჯავთ ასეთ კოლოსალურ თანხას და სახელმწიფოს მივაყენებთ უდიდეს ზარალს, ამას ისიც დაემატება, რომ ქვეყანას დავტოვებთ დაცვის გარეშე, სხვა იარაღის გარეშე. მეტად მძიმე იყო ამის მოსმენა სტალინისათვის. 1942 წელი ის მძიმე პერიოდი იყო, როდესაც ჰიტლერი კავკასიისკენ მოიწევდა და ბაქოს ნავთობი, ისის იყო, ხელში უნდა ჩაეგდო“.

სტალინი დიდხანს მიდი-მოდიოდა თავის კაბინეტში. გადაწყვეტილების მიღებას სულმოუთქმელად ელოდნენ თავდაცვის სახალხო კომიტეტის წევრები. ბოლოს იგი მივიდა კაფტანოვთან, წინ გაუჩერდა, თვალებში მკაცრად ჩახედა და რკინისებური მტკიცე ხმით განუცხადა: „უნდა გავაკეთოთ!“



სტალინი, ტრუმენი და ჩერჩილი პოტსდამის კონფერენციაზე

**სტალინისთვის, როდესაც ის საკონფერენციო დარბაზში შედიოდა, ნათელმხილველივით ყველაფერი წინასწარ იყო ცნობილი — რომელ საკითხს წამოწევდნენ «მოკავშირეები» და რა პასუხი უნდა გაეცა მათთვის**

სტალინი არასოდეს წასულა ისეთ დიდ რისკზე, როგორც ამ პროექტის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

კურსანტ ფლეროვის წერილმა გაჭრა და პროექტის განსახორციელებლად პირველი ნაბიჯიც გადაიდგა.

1943 წლის 11 თებერვალს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება ატომური ენერგიის გამოსაყენებლად სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების ცენტრის შექმნის შესახებ, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა იგორ კურჩატოვი, ხოლო პროექტის საერთო ხელმძღვანელობა დაევალა **ვიაჩესლავ მოლოტოვს.**

მიუხედავად იმისა, რომ ატომურ ბომბზე მუშაობა სერიოზულად მიმდინარეობდა და მას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, კურჩატოვი მაინც უკმაყოფილო იყო მუშაობის ტემპითა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფით.

**სრულიად შეგნებულად და არა შემთხვევით (როგორც ამას მიუთითებს ავტორი — გრ. ონიანი), 1944 წლის 29 სექტემბერს კურჩატოვმა წერილით მიმართა არა უშუალოდ პროექტზე პასუხისმგებელს, ქვეყნის მეორე პირს — მოლოტოვს, არამედ ლავრენტი ბერიას.** კურჩატოვი წერდა: „პერვუხინისა და ჩემ მიერ თქვენს სახელზე გამოგზავნილი იყო წერილი, რომელშიც გატყობინებდით, რომ საზღვარგარეთ მიმდინარეობს კოლოსალური სამუშაოები ურანის გასამდიდრებლად. ამ პრობლემის გადასაწყვეტად მობილიზებულია არნახული სამეცნიერო-საინჟინრო-ტექნიკური ძალები, რომლებსაც გრანდიოზული მიღწევები აქვთ. ჩვენთან კი, მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, 1943-1944 წლებში ურანზე მუშაობა მოუთმენლად არადამაკმაყოფილებელია. ვიცი რა თქვენი მოუცლელობისა და სამუშაოს უზარმაზარი მოცულობის შესახებ და დარწმუნებული ვარ, რომ კარგად იცით ამ პროექტის ისტორიული მნიშვნელობა, გადავწყვიტე, გთხოვოთ, ჩაერთოთ იმ საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი სოციალისტური სამშობლოსთვის“.

ლავრენტი ბერიამ სტალინს აცნობა ატომური პროექტის მიმდინარეობაზე და ამან გარკვეულწილად უზრუნველყო ხარვეზების გამოსწორება. 1945 წლის აგვისტოდან ატომური პროექტის საერთო ხელმძღვანელად, მოლოტოვის ნაცვლად, ლავრენტი ბერია დაინიშნა.

დამთავრდა დიდი სამამულო ომი. ტრიუმფატორი სტალინი თანმხლებ პირებთან ერთად დამარცხებული გერმანიის ქალაქ პოტსდამში მიემართება სპეციალური მატარებლით. დელეგაციის წევრები სათათბიროდ ხშირად იკრიბებიან სტალინის ვაგონში, სადაც მომავალ კონფერენციაზე განსახილველ საკითხებს აზუსტებენ.

კონფერენციის წინა საშინაო თათბირებზე სტალინი არაერთხელ შენიშნავს, რომ მოკავშირეებმა ტონი შეცვალეს და ისინი ახლა უფრო გაბედულები გახდნენ. „რით უნდა იყოს ეს გამოწვეული?“ — ეკითხება დელეგაციის წევრებს სტალინი. მან ძალიან კარგად იცის, რით არის ეს გამოწვეული, მაგრამ სურს, კიდევ ერთხელ შეამოწმოს თავისი პოლიტიკოსებისა და სამხედროების პოლიტიკური სიმწიფე.

ერთხმად დასტურდება, რომ მოკავშირეები კონფერენციაზე საკითხების განხილვასა და მათ თავიანთ სასარგებლოდ წარმართვას ძალის პოზიციიდან აპირებენ, მაგრამ, როგორც უინსტონ ჩერჩილმა პოტსდამში ერთ-ერთ საიდუმლო შეხვედრაზე **ჰარი ტრუმენს** უთხრა, „სტალინი სტალინია, დიდი ბოსი“.

სტალინისთვის, როდესაც ის საკონფერენციო დარბაზში შედიოდა, ნათელმხილველივით ყველაფერი წინასწარ იყო ცნობილი — რომელ საკითხს წამოწევდნენ „მოკავშირეები“ და რა პასუხი უნდა გაეცა მათთვის.

კონფერენციის ბოლო სხდომის შესვენებაზე ტრუმენმა ჩერჩილს განუცხადა: „ჩვენ ცარიელი ჯიბით ჩამოვედით პოტსდამში და ასევე ვბრუნდებით უკან“.

**ცოტა ხნის შემდეგ ტრუმენმა ვაშინგტონიდან დეპეშა მიიღო: „ბიჭი დაიბადა!“, რომელსაც დაშიფრული წერილი მოჰყვა: „ატომური ბომბი, რომელიც ალამოგორდოს უდაბნოში გამოვცადეთ, წარმოუდგენელი ძალისა და ძლიერების გამოდგა, რისი გადმოცემაც ენით შეუძლებელია, თუ ის ადამიანის თვალმა არ ნახა“.**

პირში ჩალაგამოვლებულ ტრუმენსა და ჩერჩილს კვლავ გაუჩნდათ იმედის ნაპერწკალი, მოკლული დათვის წილი მათაც შეხვედროდათ. მაგრამ ლომს, რომელიც მედიდურად დაჰყურებდა ნადავლს და ზედ ტორი ჰქონდა დადებული, არავისთვის არაფრის გაყოფა არ სურდა. მაშინ კი ჩერჩილმა დაარწმუნა ტრუმენი, რომ სტალინისთვის ეთქვა ატომური ბომბის წარმატებით გამოცდის შესახებ. „სტალინმა იცის, რას ნიშნავს სახელმწიფოსთვის, იყოს ატომური ბომბის მონოპოლისტი, ის უფრო დამყოლი და ჩვენი ნება-სურვილის შემსრულებელი გახდება“, — არწმუნებდა ჩერჩილი ტრუმენს.

კონფერენციის ერთ-ერთი სხდომის დამთავრების შემდეგ, როდესაც სტალინი თავის სამუშაო ოთახისკენ მიემართებოდა, მის წინ მოულოდნელად (რაც პროტოკოლით არ იყო გათვალისწინებული) ტრუმენი აღიმართა:

— ბატონო გენერალისიმუსო, თუ ინებებთ, თქვენთვის სერიოზული ცნობა მაქვს გადმოსაცემი, როგორც მოკავშირისთვის.

— ბრძანეთ, — უპასუხა სტალინმა.

— მაცნობეს, რომ გუშინ ალამოგორდოს უდაბნოში გამოვცადეთ ატომური ბომბი, რომლის აფეთქების ძალა თითქმის განუსაზღვრელია და ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, ეს თქვენთვის მეცნობებინა.

ამ მომენტში სტალინი პაპიროსს ეწეოდა, შემდეგ პაპიროსი პირიდან ნელა გამოიღო და შეერთებული შტატების პრეზიდენტს ღიმილით მიმართა — „ბლაგადარიუ“ და იქაურობას ნელი ნაბიჯით გაშორდა.

ჩერჩილს, რომელიც მოუთმენლად ელოდა სტალინთან შეხვედრის შედეგს, ტრუმენმა მიახალა:

— სტალინმა, როდესაც ატომური ბომბის შესახებ მოვახსენე, დავრწმუნდი, რომ ვერაფერი გაიგო.

— ცდებით, სერ. სტალინმა ზემძლავრ იარაღზე სიტყვა მოისმინა და ვერაფერი გაიგო? შეუძლებელია! (ეტყობა, ლომებმა ერთმანეთის ამბავი უკეთ იციან. — გრ. ონიანი)

თავის კაბინეტში შესულმა სტალინმა მოლოტოვს უთხრა ის, რაც ტრუმენმა აცნობა. მოლოტოვმა სტალინს უპასუხა, — ეტყობა, თავიანთ თავს ფასს უმატებენო.

სტალინმა სიცილით მიუგო:

— მოუმატონ. ჩვენ კურჩატოვს უნდა მოველაპარაკოთ პროექტის დაჩქარების თაობაზე.

ატომური ბომბის შესაქმნელ სამუშაოებზე კიდევ უფრო გაძლიერდა მეთვალყურეობა და დახმარება 1945 წლის 6 აგვისტოს შემდეგ, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბები ჩამოყარა.

1945 წლის 20 აგვისტოს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა შექმნა განსაკუთრებული კომიტეტი ბერიას თავმჯდომარეობით. კომიტეტს დაევალა, შეექმნა ატომური მრეწველობა საბჭოთა კავშირში და დაემზადებინა ატომური ბომბი. ▶




## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

## 1945 წლის ივნისის დასაწყისში ბერიას აგენტურულმა ქსელმა კავშირი დაამყარა გერმანელ ფიზიკოს კლაუს ფუქსთან, რომელიც „მანჰეტენის“ პროექტის წამყვან ფიგურად ითვლებოდა. მისგან მეკავშირემ მიიღო ატომური ბომბის დაწვრილებითი დოკუმენტაცია, რომელიც სრულიად საიდუმლოდ გადასცა მოსკოვს. ცნობაში ასევე აღნიშნული იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ატომური ბომბის გამოცდას მიმდინარე წლის 10 ივლისს გეგმავდა.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ სტალინმა თავისთან გამოიძახა გენერალი **ბორის ვანიკოვი** და იგი ლავრენტი ბერიას მოადგილედ დანიშნა, ხოლო კომიტეტში წევრებად შევიდნენ: **გიორგი მალენკოვი** (ცეკას მდივანი), **ნიკოლაი ვოზნესენსკი** (სახელმწიფო დაგეგმვის კომიტეტის თავმჯდომარე), **აბრაამ ზავენიაგინი, აბრამ იოფე, პეტრე კაპიცა, იგორ კურჩატოვი.** მდივნად და კომიტეტის წევრად შეყვანილი იქნა **ვასილ მახნევი.**

ბერიას წინადადებით, მშენებლობა უნდა ეწარმოებინა შინაგან საქმეთა კომისარიატს, მაგრამ სტალინი წინააღმდეგი წავიდა და წამოაყენა წინადადება, შექმნილიყო სპეციალური სამშენებლო კომიტეტი, რომელიც ცენტრალურ კომიტეტს დაექვემდებარებოდა.

პარალელურად, ბერიას წინადადებით, შეიქმნა სამეცნიერო ტექნიკური საბჭო, რომელიც ატომურ ენერგიაზე იმუშავებდა. მასში შევიდნენ: იოფე, კაპიცა, კურჩატოვი, ალიხანოვი, კიკოინი, ხარიტონი, ვანიკოვი, ზავენიაგინი და მახნევი.

სტალინმა წინადადება მიიღო და თქვა:

— მოდი, დავნიშნოთ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ ამხანაგი ვანიკოვი, მას ეს კარგად გამოუვა. ვანიკოვს მოუსმენს იოფეც და კაპიცაც და, თუ არ მოუსმენენ, მას მაგარი ხელი აქვს. ამას გარდა, ჩვენს ქვეყანაში მას იცნობენ როგორც მრეწველობის სპეციალისტს, ასევე სამხედროს.

სპეციალურ კომიტეტსა და სამეცნიერო საბჭოში მუშაობა დღედაღამ მიმდინარეობდა. იქ არ იყო უფროსი და უმცროსი. ყველას ჰქონდა თავისი საქმე და დრო დავალების შესასრულებლად. მოუხედავად ამისა, სამეცნიერო საბჭოში ზოგჯერ თავს იჩენდა ზედმეტი ადმინისტრირება, რაც აღიზიანებდათ გიგანტ მეცნიერებს. ამის გამო სახელგანთქმულმა მეცნიერმა პეტრე კაპიცამ 1945 წლის 3 ოქტომბერს, კომიტეტის და სამეცნიერო საბჭოს შექმნიდან თვე-ნახევრის შემდეგ, წერილი მისწერა სტალინს:

„ამხანაგი ბერია ნაკლებ ყურადღებას აქცევს მეცნიერთა რეპუტაციას, მისი დამოკიდებულება მეცნიერთა მიმართ დაუშვებელია. დაუშვებელია, ბერიას მსგავსმა ადამიანებმა უკარნახონ მეტად პატივსაცემ მეცნიერებს, როგორ იმუშაონ. ყველაფერი ეს ნათელს ჰფენს საკითხს, რატომ არ არის ნაყოფიერი პოლიტიკურ ძალებთან მეცნიერების თანამშრომლობა...“

1945 წლის 25 ნოემბერს კაპიცამ კვლავ მიმართა სტალინს წერილობით და სთხოვა, გამოეყვანა კომიტეტისა და სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობიდან, ამის მიზეზად მან დაასახელა შემდეგი: „ამხანაგებს: ბერიას, მალენკოვს, ვოზნესენსკის კომიტეტში თავი წარმოდგენილი აქვთ ზეადამიანებად, განსაკუთრებით — ბერიას, რომელიც დირიჟორობს და ჯოხს იქნევს, მაგრამ დირიჟორმა არა მხოლოდ ჯოხი უნდა იქნიოს, არამედ უნდა არჩევდეს პარტიტურასაც. ვანიკოვისა და სხვა ტექნიკური პერსონალის ქმედება მაგონებს ანეკდოტს, რომლის მიხედვითაც, ავადმყოფი რეგულარულად მიირთმევდა ესენტუკის ყველა წყაროდან წყალს იმ იმედით, რომ ერთ-ერთი მაინც უშველიდა“.

გარდა ზემოხსენებულისა, ამ წერილში ბევრი სხვა რამეც იყო მითითებული. სწორედ ამ და სხვა საკითხებში სიღრმისეულად გასარკვევად მიიწვია 1946 წლის 25 იანვარს სტალინმა იგორ კურჩატოვი. მასთან ხანგრძლივი და საფუძვლიანი საუბრის შემდეგ, 1946 წლის 4 აპრილს, სტალინმა წერილი მისწერა კაპიცას:

„ამხ. კაპიცა! მივიღე თქვენი ყველა წერილი. მათში ბევრი რამ არის ყურადსაღები. ვფიქრობ, გამოვნახო დრო თქვენთან შესახვედრად და სასაუბროდ.

**ი. სტალინი“.**

**1949 წლის 29 აგვისტო, როდესაც საბჭოთა კავშირმა ატომური ბომბი გამოსცადა, უნდა ჩაითვალოს საბჭოთა კავშირის ხალხებისა და თვით სტალინის გადარჩენის დღედ. 1945 წლიდან 1949 წლის 29 აგვისტომდე, ყოველ ცისმარე დილით მოსალოდნელი იყო დედამიწაზე წარმოუდგენელი კატასტროფა, რადგან შეერთებულ შტატებს შედგენილი ჰქონდა იმ 20 ქალაქის სია (მათ შორის იყო თბილისიც), რომლებიც ატომური ბომბებით უნდა გაენადგურებინათ. ყოველივე ეს გაცნობიერებული ჰქონდა პოლიტბიუროს ყველა წევრს, ყველაზე მეტად კი, რა თქმა უნდა, სტალინსა და მის პირველ ინფორმატორსა და დავალებების შემსრულებელს — ლავრენტი ბერიას**


იგორ კურჩატოვი


სსრ კავშირის პირველი ატომური ბომბი

შეერთებული შტატების მთავრობა კი ამ იარაღის აკრძალვის საშუალებებზე ფიქრის ნაცვლად უფრო ასაიდუმლოებდა ატომური ბომბის შექმნის პროცესს და უახლოესი მოკავშირისა და პარტნიორის — დიდი ბრიტანეთისთვის კი არ ფიქრობდა საიდუმლოს განდობას.

საბჭოთა აგენტურის ფუქსთან კავშირი ეპიზოდურად ხერხდებოდა 1946 წლამდე. ხოლო 1947 წელს ლონდონში მასთან შეხვედრა დაავალეს სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულების რეზიდენტურის უფროსის მოადგილეს **ალექსანდრე ფეკლისოვს.**

ფუქსმა ფეკლისოვს დამატებითი ინფორმაცია გადასცა და დააიმედა საბჭოთა მხარე, რომ მისი საქმიანობა ამერიკის შეერთებულ შტატებში ეჭვს არ იწვევს. 1947 წლის ნოემბერში ფუქსი დაესწრო ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის მეცნიერთა კონფერენციას, სადაც განიხილებოდა უმძლავრესი ძალის მქონე ბომბების შექმნის პროექტები, მათ შორის, წყალბადის ბომბის.

სწორედ წყალბადის ბომბის ანატომია გადასცა კონფერენციის დამთავრებისთანავე ფუქსმა ფეკლისოვს. 1948 წლიდან ფუქსი ეჭვმიტანილად ცნეს საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვასთან თანამშრომლობაში. თუმცა მყარი მტკიცებულებების უქონლობის გამო ის ვერ დააპატიმრეს, მაგრამ დააპატიმრეს მეკავშირე, რომელმაც აღიარა დანაშაული და ამხილა მისი კავშირები ფუქსთან, რის გამოც ლონდონის სასამართლომ მას 14 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

**1949 წლის 29 აგვისტო, როდესაც საბჭოთა კავშირმა ატომური ბომბი გამოსცადა, უნდა ჩაითვალოს საბჭოთა კავშირის ხალხებისა და თვით სტალინის გადარჩენის დღედ. 1945 წლიდან 1949 წლის 29 აგვისტომდე, ყოველ ცისმარე დილით მოსალოდნელი იყო დედამიწაზე წარმოუდგენელი კატასტროფა, რადგან შეერთებულ შტატებს შედგენილი ჰქონდა იმ 20 ქალაქის სია (მათ შორის იყო თბილისიც), რომლებიც ატომური ბომბებით უნდა გაენადგურებინათ. ყოველივე ეს გაცნობიერებული ჰქონდა პოლიტბიუროს ყველა წევრს, ყველაზე მეტად კი, რა თქმა უნდა, სტალინსა და მის პირველ ინფორმატორსა და დავალების შემსრულებელს — ლავრენტი ბერიას.**

**პოტსდამის კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ტრუმენის მიერ მიწოდებული «თავზარდამცემი» ცნობა ზეძლიერი ძალის ატომური ბომბის გამოცდის შესახებ სტალინს არ გაჰკვირვებია, რადგან ბერიას რეზიდენტურისგან ამერიკელთა საიდუმლოება მისთვის, დიდი ხანია, ცნობილი იყო. სტალინმა ატომური ბომბის აფეთქების გამოცდის თარიღიც კი იცოდა**

**კაპიცამ თუ არ იცოდა, რომ ბერიამ არა მხოლოდ ჯოხის ქნევა იცოდა, სამაგიეროდ, სტალინმა იცოდა კარგად, როგორი მაღალი კვალიფიკაციით შიფრავდა ყოველგვარ პარტიტურას ლავრენტი ბერია და მას სრული კარტბლანში მისცა დავალების ბოლომდე მისაყვანად.**

1945 წლის ივნისის დასაწყისში ბერიას აგენტურულმა ქსელმა კავშირი დაამყარა გერმანელ ფიზიკოს **კლაუს ფუქსთან,** რომელიც „მანჰეტენის“ პროექტის წამყვან ფიგურად ითვლებოდა. მისგან მეკავშირემ მიიღო ატომური ბომბის დაწვრილებითი დოკუმენტაცია, რომელიც სრულიად საიდუმლოდ გადასცა მოსკოვს. ცნობაში ასევე აღნიშნული იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ატომური ბომბის გამოცდას მიმდინარე წლის 10 ივლისს გეგმავდა.

პოტსდამის კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ტრუმენის მიერ მიწოდებული „თავზარდამცემი“ ცნობა ზეძლიერი ძალის ატომური ბომბის გამოცდის შესახებ სტალინს არ გაჰკვირვებია, რადგან ბერიას რეზიდენტურისგან ამერიკელთა საიდუმლოება მისთვის, დიდი ხანია, ცნობილი იყო. სტალინმა ატომური ბომბის აფეთქების გამოცდის თარიღიც კი იცოდა (ცდომილება მხოლოდ 7 დღეს შეადგენდა).

1945 წლის 19 სექტემბერს უცხოეთში მოქმედმა რეზიდენტურამ კვლავ მოახერხა ფუქსთან შეხვედრა და მან საბჭოეთს გადმოსცა ბრიტანეთში შედგენილი მეცნიერთა მემორანდუმი ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, რათა მოეხდინათ ამ საშინელი იარაღის აკრძალვის მექანიზმების შემუშავება, რადგან რამდენიმე წლის შემდეგ სხვა სახელმწიფოებიც შეძლებდნენ ბირთვული იარაღის შექმნას.



## ლონდონის ყოფილმა მერმა ევროკავშირის ხელმძღვანელები ნაპოლეონსა და ჰიტლერს შეადარა

**ლონდონის ყოფილმა მერმა ბორის ჯონსონმა ევროკავშირში ქვეყნების გაერთიანება საფრანგეთის იმპერატორის — ნაპოლეონ ბონაპარტისა და ნაცისტური გერმანიის ფიურერის — ადოლფ ჰიტლერის პრაქტიკას შეადარა.**

ბორის ჯონსონი, რომელიც ფილოსოფიის სპეციალისტია, მიიჩნევს, რომ ბოლო 2 ათასი წლის განმავლობაში იყო არაერთი მცდელობა, ერთი ხელისუფლებისთვის დაემორჩილებინათ ევროპის ქვეყნები, რათა აღედგინათ რომის იმპერიის „ოქროს ხანა“. „ამას ნაპოლეონ ბონაპარტე, ადოლფ ჰიტლერი და სხვა პირები ცდილობდნენ, მაგრამ ეს მცდელობა ყოველთვის ტრაგიკულად სრულდებოდა“, — განაცხადა ჯონსონმა და დასძინა, რომ ევროკავშირიც ანალოგიური მცდელობაა, ოღონდ სხვა მეთოდებით: „ერთი ხელისუფლებისთვის ევროპის დასაქვემდებარებლად ბრიუსელელი მაღალჩინოსნები ჰიტლერისგან „ნასესხებ“ სხვადასხვა მეთოდს იყენებენ, მაგრამ ეჯახებიან მარადიულ პრობლემას — ლოიალურობა ევროპის იდეისადმი არ არსებობს, არ არსებობს ძალაუფლების მქონე ინსტიტუტი, რომელსაც ნებისმიერი ადამიანი პატივს სცემს. ეს იწვევს დემოკრატიის ვაკუუმს“, — აღნიშნა ჯონსონმა.



## მარტინ შულცი: ევროკავშირი დაღვრემილია

**ევროპარლამენტის თავმჯდომარემ მარტინ შულცმა ევროკავშირის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა.** კითხვაზე — როგორ აღწერთ ევროკავშირის მდგომარეობას, არის თუ არა ის ნელი და მტკივნეული თვითმკვლელობის ზღვარზე, შულცმა უპასუხა: „თქვენი კითხვა აბსოლუტურად სწორია, ევროკავშირი დაღვრემილია“.

მედიცინა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველო დღეს აღჭურვილია თანამედროვე, მსოფლიო დონის აპარატურით. ჩვენ გვყავს უმაღლესი დონის სპეციალისტები. სხივური თერაპიის ორი აპარატი, რომელიც ჩვენთან დგას, ბევრ ევროპულ განვითარებულ ქვეყანაში არ არის. ეს პროექტი 10 მილიონი დოლარი დაგვიჯდა და ახლა მესამე აპარატს ვყიდულობთ — პოზიტრონულ-ემისიურ ტომოგრაფს, ე.წ. პეტს, რომელიც 2 მილიონამდე ევრო ღირს.**

# ყველაფერი ერთი კომპიუტერული ტომოგრაფით დაიწყო

**„საქართველო და მსოფლიო" იუწყებოდა, რომ 7-8 მაისს გაიმართა საქართველოს რადიოლოგთა IV კონგრესი (იხ. „საქართველო და მსოფლიო" №17, „საქართველოს რადიოლოგთა კონგრესმა ქვეყნის დღევანდელი სახე წარმოაჩინა"), რომელიც, როგორც ყველამ აღიარა, მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ სრულიად ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის. რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტად ახალი ხუთწლიანი ვადით კვლავ აირჩიეს ამ დარგის ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უცვლელი დირექტორი ფრიდონ თოდუა. დღეს ბატონი ფრიდონი „საქართველო და მსოფლიოს" შეკითხვებს უპასუხებს.**



**— კონგრესის დელეგატები, უცხოელი სტუმრები, ყველა, ვისაც კი ვესაუბრეთ, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს სამედიცინო ფორუმი თავისი მნიშვნელობითა და შემადგენლობით იმსახურებს საერთაშორისო სტატუსს. ეთანხმებით?**

— რა თქმა უნდა, ვეთანხმები. უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ კონგრესში მონაწილეობდნენ ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი **რობერტ გრუნკრატი**, უცხოელი სპეციალისტები 40-ზე მეტი ქვეყნიდან, მათ შორის, ავსტრიიდან, გერმანიიდან, ბელგიიდან, იტალიიდან, არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან, ირანიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან, თურქეთიდან. კონგრესი განხორციელდა ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის ეგიდით, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს 100-ათასამდე რადიოლოგს ევროპის ქვეყნებიდან და ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. სწორედ აღნიშნულმა ორგანიზაციამ მიანიჭა ჩვენს ფორუმს საერთაშორისო სტატუსი.

ისიც სათქმელია, რომ კონგრესში მონაწილეობდნენ მსოფლიოს უდიდესი ფირმები, რომლებიც აწარმოებენ რადიოლოგიისთვის აუცილებელ აპარატურას. მაგალითად, „სიმენსის" ვიცეპრეზიდენტმა, აგრეთვე, „ჯენერალ ელექტრიკისა" და „აგფას" წარმომადგენლებმა საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს ახალი ტექნოლოგიების, საინფორმაციო სისტემების დანერგვის საკითხებსა და სხვა პრობლემებზე.

შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ სწორედ ჩვენს კონგრესზე მოხდა სამეცნიერო რადიოლოგიაში მკურნალობის უახლესი საშუალებების დანერგვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

ასეთი მასშტაბის ფორუმი საქართველოში პირველად ჩატარდა.

**— რომლისკენაც, როგორც ჩანს, თქვენ თანდათან მიდიოდით.**

— გეთანხმებით. ჩვენ ვართ ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის წევრები 1997 წლიდან. პირველები ვიყავით პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებიდან. იქიდან იწყება ჩვენი თანამშრომლობა. 100-ზე მეტმა ჩვენმა თანამშრომელმა გაიარა სტაჟირება ამ ასოციაციის ეგიდით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. ჩვენი სპეციალისტების მოხსენებები მსოფლიოში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებზე, ამ მოხსენებათა აქტუალობა და მნიშვნელობა რადიოლოგიის განვითარების საქმეში, რაც ჩვენი ინსტიტუტის წარმატებული საქმიანობის მაჩვენებელია, წლიდან წლამდე დაფიქსირებული პროგრესი, შეუმჩნეველი არ დარჩენილა კოლეგებისთვის საერთაშორისო მასშტაბით. და, მგონი, სავსებით ლოგიკურია, რომ საერთაშორისო აღიარებას დამსახურებულად მივაღწიეთ. ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა ჩვენს კონგრესზე დელეგატებისა და სტუმრების გამოსვლებით და იმ სამადლობელი წერილებით, რომლებიც კონგრესის მონაწილე უცხოელი მედიკოსებისგან ამ დღეებში მივიღეთ.

პირდაპირ გეტყვით, არავინ ჩამოვიდოდა თბილისში, დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო ჩვენ მიერ ორგანიზებული ფორუმის მაღალ მეცნიერულ ეფექტიანობაში.

აქვე უნდა დავუმატო, რომ საქართველოს რადიოლოგთა IV კონგრესი მოეწყო საქართველოს შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო და ტექნიკური უნივერსიტეტების ეგიდით, რამაც კიდევ უფრო აამაღლა მისი დონე და ავტორიტეტი.

**— წლების წინათ, როცა საფუძველს უყრიდით კომპიუტერულ ტომოგრაფიას ყოფილ საბჭოთა კავშირში, აღიარებული იყო პარადიგმა, რომ მეცნიერული აზროვნება უნდა განვითარდეს მომიჯნავე მეცნიერებათა შესაყარზე ურთიერთგამდიდრების, აქტიური კონტაქტის მეშვეობით.**

**მიგაჩნიათ, რომ დღეს, როცა რადიოლოგიის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე მედიცინა, ადამიანის მკურნალობის ამ დარგმა განვითარების სწორედ ამ გზით მიაღწია წარმატებას?**

— არა მხოლოდ მიმაჩნია, არამედ შეძლებისდაგვარად ვმონაწილეობდი ამ პროცესში. იმ ტექნოლოგიების დანერგვაში, რომლებსაც დღეს ვიყენებთ (კომპიუტერულ ტომოგრაფიასთან ერთად ბევრი სხვა სიახლეც დაინერგა), ახალი აპარატურა თვითკმარი სიდიდე არ არის, მხოლოდ ინტელექტუალურ პოტენციალთან ერთად შეიძლება ახალი ტექნოლოგიების ეფექტიანობაზე ლაპარაკი.

ამასთანავე, **მედიცინა რადიოლოგიის გარეშე, ავადმყოფობის დიაგნოსტიკა, მკურნალობის ეფექტიანი მეთოდების გამოყენება წარმოუდგენელია. ეს, უპირველეს ყოვლისა, ითქმის ონკოლოგიაზე, ნეიროქირურგიაზე, ნევროლოგიასა და მედიცინის ყველა სხვა დარგზეც.** რადიოლოგია დღეს ერთ-ერთი პრესტიჟული და მოთხოვნილი სპეციალობა გახდა. ამას ადასტურებს სპეციალისტების რაოდენობის თვალსაჩინო ზრდა, რეზიდენტურისა და სუბსპეციალობის პროგრამებზე არსებული კონკურსი. ხაზი უნდა გავუსვათ მომიჯნავე პროფესიების სპეციალისტების პროგრესულად მზარდ ინტერესს იმ შესაძლებლობებისადმი, რომლებსაც მათ რადიოლოგიის კვლევის მეთოდი სთავაზობს. სხვათა შორის, სწორედ ამ ინტერესის თვალსაჩინო დადასტურება იყო ჩვენს კონგრესზე დამსწრეთა არნახული რაოდენობა, როცა ორივე დღეს დარბაზებში ტევა არ იყო და ფეხზე მდგარი ხალხი დერეფნებში ისმენდა მოხსენებებს.

რადიოლოგიის ისტორია საქართველოში ერთი კომპიუტერული ტომოგრაფით და 100 კვადრატულ მეტრზე მომავალი ინსტიტუტის შესახლებით დაიწყო. ეს იყო 1991 წელს: სამოქალაქო ომი, უმუშევრობა, უსახსრობა, შიმშილი, საბჭოთა სისტემის ნანგრევებში მოყოლილი მედიცინა, გაპარტახებული კლინიკები და უხელფასო ექიმები. მას შემდეგ 25 წელიწადი გავიდა და დღეს კლინიკური მედიცინის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტი...

**— რომელიც ხალხში თოდუას კლინიკის სახელითაა ცნობილი, ერთ-ერთ ყველაზე მძლავრი სადიაგნოსტიკო-სამკურნალო დაწესებულებაა საქართველოში.**

— და, თავის ქებად არ ჩამითვალოთ, ანალოგი არ აქვს ევროპის ბევრ ქვეყანაში. აღმოსავლეთ ევროპაში კი უნიკალურია. **საქართველო დღეს აღჭურვილია თანამედროვე, მსოფლიო დონის აპარატურით. ჩვენ გვყავს უმაღლესი დონის სპეციალისტები. სხივური თერაპიის ორი აპარატი, რომელიც ჩვენთან დგას, ბევრ ევროპულ განვითარებულ ქვეყანაში არ არის. ეს პროექტი 10 მილიონი დოლარი დაგვიჯდა და ახლა მესამე აპარატს ვყიდულობთ — პოზიტრონულ-ემისიურ ტომოგრაფს, ე.წ. პეტს, რომელიც 2 მილიონამდე ევრო ღირს.** მომზადებული გვყავს ჯგუფი, რომელიც „პეტზე" იმუშავებს. ამ ყველაფერს კი იმიტომ ვაკეთებთ, რომ ჩვენმა ავადმყოფებმა ნაკლებად იარონ საზღვარგარეთ. ნეიროქირურგიული ოპერაციების გასაკეთებლად უცხოეთში უკვე აღარ დადიან, გულის ოპერაციებს საქართველოში უმაღლეს დონეზე აკეთებენ და ა.შ. ხომ არის ეს გარკვეული შეღავათი ჩვენი მოსახლეობისთვის, რომელიც, ამასთან ერთად, სარგებლობს საყოველთაო სახელმწიფო დაზღვევით?

**— რა თქმა უნდა, არის.**

— მაგრამ ჩვენთან მინუსებზე უფრო უყვართ ლაპარაკი, ვიდრე დადებით მომენტებზე. გული მწყდება, რომ ის, რასაც ახლა აღვნიშნავ, რატომღაც შეუმჩნეველი რჩება. არადა, ყოველდღიურად 120-130 ადამიანი გადის სხივური ონკოლოგიით მკურნალობას. სადღაც ერთ პატარა საწარმოს გახსნიან და ისე წარმოგვიდგენენ, როგორც დიდ სახელმწიფოებრივ მოვლენას. ისიც საჭიროა, მაგრამ ჩვენი დარგის მნიშვნელოვან, ხალხის ჯანმრთელობისთვის ესოდენ საჭირო ღონისძიებებს რატომ ვერ ამჩნევენ, არ დაგიმალავთ, ვერ გამიგია. თუმცა იმასაც გეტყვით, რომ ქართველ ექიმებს არ სჭირდებათ დიდი რეკლამა და არც ჩვენი ინსტიტუტი იკლავს ამისთვის თავს.

**— თქვენ, ბატონო ფრიდონ, ცარიელ ადგილზე დაიწყეთ საქართველოში ახალი დარგის დაფუძნება — არც ბაზა, არც სპეციალისტები. მთავარი მაინც სპეციალისტები იყო, არა?**

— საქართველოში დაბრუნება როცა გადავწყვიტე, კომპიუტერული ტომოგრაფიის სპეციალისტების პირველი ხუთკაციანი ჯგუფი უკვე მომზადებული მყავდა. 5-6 თვის განმავლობაში ერთმანეთის ჩანაცვლებით ჩამოდიოდნენ ჩვენთან მოსკოვში, ინსტიტუტში და ეუფლებოდნენ პროფესიას. ასე დავიწყეთ მუშაობა. დღევანდელ რეალობაში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ტემპი განსაცვიფრებლად სწრაფია. ის, რაც საკმარისი იყო გუშინ, დღეს უკვე კარგავს აქტუალობას და შესაცვლელი ხდება. ვალდებული ხარ, აჰყვე ამ ტემპს, თორემ ჩამორჩები. ამას ყოველთვის ვახსენებ კოლეგებს ინსტიტუტის დილის კონფერენციებზე; მოვუწოდებ, რომ იმ სიახლეების საქმის კურსში იყვნენ, რომელთა შესახებაც იბეჭდება ამერიკულ, ევროპულ, რუსულ, უკრაინულ თუ სხვა ქვეყნების სპეციალურ სამეცნიერო ჟურნალებში.

ინსტიტუტი ყოველწლიურად 100 ათას ევრომდე ხარჯავს ჩვენი თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად საზღვარგარეთ მივლინებებზე. ახალ ტექნიკას უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები სჭირდება. ტექნიკის შესაძენი ფული საქართველოში არის, პრობლემა სპეციალისტების მომზადებაა, რასაც, ვფიქრობ, თავს კარგად ვართმევთ...

**— და თავისთავად დგება საკითხი ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების. კონგრესზე ცალკე იყო გამოყოფილი ახალგაზრდული სექცია, სტუდენტური, რომელსაც პირადად თქვენ უძღვებოდით.**

— დღეს ბევრს ლაპარაკობენ ახალგაზრდა მეცნიერების მომზადებაზე, მათ დამაგრებაზე საქართველოში. ჩვენ გავითვალისწინეთ არსებული სიტუაცია და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის ხელშეწყობით მედიცინის მეცნიერებით დაინტერესებული სტუდენტები მოვიწვიეთ ახალგაზრდულ სექციაში მოხსენებების წასაკითხად. საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციამ დააწესა საუკეთესო მოხსენების 1000-ლარიანი პრემიით დაჯილდოება, მაგრამ სექციაში წარმოდგენილი 18 მოხსენება ისე საინტერესო იყო, რომ გაძნელდა საუკეთესოს შერჩევა. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ეს თანხა გადაგვერიცხა ახალგაზრდა ექიმთა ასოციაციისთვის, რომელიც თავისი შეხედულებისამებრ და საკუთარი საჭიროებისთვის გამოიყენებს ამ ფულს.

ახალგაზრდებთან მუშაობა, განსაკუთრებით, თაობათა ურთიერთობის კუთხით, ჩემი აზრით, ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. სამწუხაროდ, ახალგაზრდობა არ იცნობს (და არც არავინ ცდილობს, გააცნოს) უფროსი თაობის ღვაწლს, რომელიც მან გაიღო ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. არ იცის, რომ, მაგალითად, უნიკალურ ენგურჰესს აშენებდა იმ პერიოდის ახალგაზრდობა უფროს თაობასთან ერთად მართლაც თავდადებული შრომითა და რწმენით იმისა, რომ კეთდებოდა საქვეყნო საქმე. ასე ჰგონიათ, რომ ენგურჰესი საიდანღაც მოიტანეს ასე აწყობილი და ჩადგეს ენგურის კალაპოტში.

**ამას წინათ მეგობართან ერთად თბილისში, ჭავჭავაძის პროსპექტზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტის — ნიკო მუსხელიშვილის ძეგლთან ვიდექით და გადავწყვიტეთ, ჩამვლელი ახალგაზრდებისთვის გვეკითხა, ვინ იყო გამოქანდაკებული ამ მონოლითიდან. ვერავინ გვიპასუხა. არადა, უნდა სცოდნოდათ, რადგან ვეკითხებოდით მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერზე, საქართველოში მათემატიკური სკოლის დამაარსებელზე, ორგზის სტალინური პრემიის ლაურეატზე, სოციალისტური შრომის გმირზე. ბევრი გვყავს საქართველოში ასეთი?**

მე მგონი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საშური საქმეა თაობათა ტრადიციული კავშირის აღდგენისა და დაცვისთვის პრაქტიკული ზრუნვა.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. მამულს, რა თქმა უნდა, ურჩევნია, რომ შვილი მამას სჯობდეს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ შვილებმა არაფერი იცოდნენ მამების თაობის შესახებ. საქართველოს რადიოლოგთა IV კონგრესზე ამ ნაკლოვანების დასაძლევადაც საყურადღებო ნაბიჯი გადაიდგა.**

**უკრაინაში შეტანილ თითოეულ დოლარზე ახლა იქიდან არალეგალურად გამოტანილი 6,25 დოლარი მოდის. 2015 წელს მხოლოდ იგორ კოლომოისკის „პრივატბანკმა“ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ უკრაინისთვის გადაცემული 4,51 მლრდ კრედიტიდან მიითვისა და ოფშორულ ზონებში გადამალა 1,8 მლრდ დოლარი.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ–უკრაინა: თაფლაკვერები გათავდა, დარჩა მხოლოდ მათრახი

**პეტრე პოროშენკოს აშშ-ში ვიზიტიდან ერთი თვე გავიდა, მაგრამ ამერიკის მიერ გაცხადებული მხარდაჭერიდან კიევს არაფერი მიუღია — არც მილიარდი დოლარის საკრედიტო გარანტიები, არც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მორიგი ტრანში. როგორც ჩანს, უკრაინისა და ამერიკის ორწლიანი „თაფლობის თვე“ დასრულდა და, თაფლაკვერების სურნელის ნაცვლად, კიევში სულ უფრო მკაფიოდ ისმის ამერიკიდან წამოსული ხმა მათრახის ტყლაშუნისა.**



ვიქტორია ნულანდი მაიდანზე

თეთრ სახლში იმედგაცრუებულნი არიან იმით, რომ ფინანსურ ინიექციებს უკრაინაში კორუფციის მასშტაბების ზრდის მეტი არაფერი მოაქვს — რაც მეტს მისცემ, მით მეტს მოიპარავენ. ვაშინგტონი უკმაყოფილოა უკრაინის მიერ მინსკის შეთანხმების პროცესის სწორხაზოვნად ჩაფლავებით — მცდელობაც კი არ არის, რომ უკრაინამ შეთანხმების თავისი ნაწილის შესასრულებლად მზადყოფნა გამოხატოს. ეს აშშ-ს რუსეთისთვის დაწესებული ფართო სანქციების რეჟიმის შენარჩუნებას ურთულებს.

ნიშანდობლივია გავლენიან „ვაშინგტონ პოსტში“ ამა წლის 5 მაისს გამოქვეყნებული სტატია სათაურით: „როგორ აძლიერებს „დასავლური დახმარება“ უკრაინის დამოკიდებულებას მექრთამეობის მიმართ“. მასალაში ლაპარაკია იმაზე, რომ დასავლეთი არაერთხელ შეეცადა, ბოლო მოეღო უკრაინისთვის მიცემული ფინანსური სახსრების დიდი ნაწილის დატაცების პრაქტიკისთვის. ამ მიზეზით რეგულარულად აჩერებდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების, ცალკეული სახელმწიფოებისა და კომპანიების მიერ წარდგენილ საკრედიტო ხაზებს, მაგრამ შემდეგ, პოლიტიკური მიზანშეწონილობის გამო, კვლავ აამუშავებდა ხოლმე. შედეგი: **უკრაინაში შეტანილ თითოეულ დოლარზე ახლა იქიდან არალეგალურად გამოტანილი 6,25 დოლარი მოდის.**

**2015 წელს მხოლოდ იგორ კოლომოისკის „პრივატბანკმა“ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ უკრაინისთვის გადაცემული 4,51 მლრდ კრედიტიდან მიითვისა და ოფშორულ ზონებში გადამალა 1,8 მლრდ დოლარი.** „ვაშინგტონ პოსტი“ მიდის დასკვნამდე, რომ უკრაინაში არის ინსტიტუციური პრობლემა: ქვეყანაში რეფორმის ჩატარების მოთხოვნა საკმარისი არ არის, აუცილებელია, მთლიანად შეიცვალოს მმართველი ელიტა. ოღონდ საკითხავია — ვინ ვისით?

არასასიამოვნო სიურპრიზი მოუწყო კიევს მაიდნური რევოლუციის მთავარმა „მწყემსმა“, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა **ვიქტორია ნულანდმა**, რომელიც პირდაპირ მაიდანზე არიგებდა თაფლაკვერებს. აპრილის ბოლოს მისი კიევში ვიზიტის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, მაგრამ კიევის საინფორმაციო საცერიდან ცნობები მაინც ჟონავს. მაგალითად, პარტია „სამოპომოშჩის“ პრესსამსახურს მოჰყავს დეპუტატად **ვიქტორია ვოიციცკაიას** ფრაზა იმის შესახებ, რომ ვიქტორია ნულანდი ითხოვდა უკრაინის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანასა და დონეცკისა და ლუგანსკის ცალკეული რაიონებისთვის „განსაკუთრებული სტატუსის“ მინიჭებას იქ არჩევნების ჩასატარებლად, აგრეთვე, საომარ მოქმედებებში მონაწილე პირებისთვის ამნისტიის უზრუნველსაყოფად. „ნულანდის თეზისის შინაარსი იყო ის, რომ „მინსკის შეთანხმების“ იმპლემენტაცია (საერთაშორისო ვალდებულებების რეალიზაცია სახელმწიფოში. — რედ.) აუცილებლად უნდა მოხდეს 2016 წლის ბოლომდე, ამას ალტერნატივა არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ „მინსკის შეთანხმება“ ცუდია, უკრაინა, როგორც სახელმწიფო, მას დაეთანხმა“, — ციტირებს ვიქტორია ნულანდის ფრაზას დეპუტატი ვოიციცკაია. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსნის „ულტიმატუმს“ ადასტურებს პოლიტოლოგი, პოლიტიკური კვლევებისა და კონფლიქტოლოგიის კიევის ცენტრის დირექტორი **მიხეილ პოგრებინსკიც.**

**არასასიამოვნო სიურპრიზი მოუწყო კიევს მაიდნური რევოლუციის მთავარმა «მწყემსმა», აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ვიქტორია ნულანდმა, რომელიც პირდაპირ მაიდანზე არიგებდა თაფლაკვერებს**

**სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიცია, რომელიც ნულანდმა უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებს გააცნო, დაახლოებით ასე გამოიყურება:**

*** კიევმა აუცილებლად უნდა შეასრულოს მინსკის შეთანხმება, რადგან მას ალტერნატივა არ აქვს და უკრაინის ხელისუფლებამ ამ შეთანხმების დაცვის ვალდებულება დაიკისრა;**

* დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების ოკუპირებულ რაიონებში არჩევნები უნდა ჩატარდეს არაუგვიანეს ზაფხულისა, ხოლო მინსკის შეთანხმების რეალიზაცია მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. ფინანსური დახმარების გაწევა პირდაპირ იქნება დამოკიდებული კიევის მიერ „მინსკის“ პირობების შესრულებაზე;

*** ევროპის მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციები, სავარაუდოდ, ივლისში გაგრძელდება, მაგრამ დეკემბერში მათი გაუქმების ალბათობა დიდია;**

* ადგილობრივი არჩევნების შესახებ შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში მძიმე შეიარაღებასა და ჯავშანტექნიკას გამოიყვანენ და მათ სპეციალურ ადგილებში განალაგებენ ეუთოს მისიის ზედამხედველობით;

*** დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების ტერიტორიებიდან მძიმე შეიარაღებისა და ტექნიკის გაყვანა წინასწარ შეთანხმებული გეგმის მიხედვით განხორციელდება ადგილობრივი არჩევნების ჩატარების შემდეგ;**

* საზღვრებზე უკრაინის კონტროლის აღდგენა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ ადგილობრივი არჩევნების ჩატარების შემდეგ და მხოლოდ მინსკის შეთანხმების პირობების დაცვით.

*** კიევი ვალდებულია, შეასრულოს მინსკის შეთანხმებით გათვალისწინებული ღონისძიებების კომპლექსი, მათ შორის, კანონის მიღება ფართომასშტაბიანი ამნისტიის შესახებ და მინსკის შეთანხმებით გათვალისწინებული ცვლილებების შეტანა კონსტიტუციაში.**

* ორივე მხარემ უნდა შეასრულოს მინსკის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მაგრამ უკრაინამ პირველმა უნდა გამოავლინოს კეთილი ნება.



მარი იოვანოვიჩი

მინსკის შეთანხმების მიმართ ნულანდის „პრინციპულობა“ აიხსნება იმით, რომ ამ ქალბატონს აქვს შანსი, მაღალი პოსტი დაიკავოს აშშ-ის საგარეო პოლიტიკურ უწყებაში, თუკი აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში **ჰილარი კლინტონი** გაიმარჯვებს. ამ შანსის რეალიზებას კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ წარმატებით მოაგვარებს პრობლემას, რომელსაც კურატორობს — ეს არის დონბასში კონფლიქტის რეგულირება. სწორედ ამიტომ სჭირდება მას რაღაც დადებითი შედეგი მაინც. მაგრამ როგორ მიაღწიოს დადებით შედეგს, თუკი კიევი გამომწვევად აწყობს მინსკის შეთანხმების საბოტაჟს და აჭიანურებს პროცესს, რადგან ვარაუდობს, რომ დრო უკრაინის სასარგებლოდ მუშაობს? ასე გაგრძელება დიდხანს აღარ შეიძლებოდა და ნულანდი კიევს „სააღდგომო მისალმებით“ ეწვია.

კიევისთვის კიდევ ერთი სიურპრიზი იყო აშშ-ის ელჩის — **ჯეფრი პაიეტის** შეცვლა **მარი იოვანოვიჩით** (სერბულ-რუსული ფესვების მქონე ამერიკელი). **იმ როლის გათვალისწინებით, რომელსაც უკრაინის პოლიტიკაში თამაშობდა პაიეტი, რომელიც თავის ნება-სურვილზე ატარებდა არა მხოლოდ მინისტრებს, არამედ პრეზიდენტსაც კი, აშშ-ის ახალი ელჩის დანიშვნა უკრაინის სახელმწიფოს მეთაურის არჩევას უნდა შევადაროთ.** თეთრი სახლი აშკარად ცდილობს იმ ადამიანებისგან დისტანცირებას, რომლებიც ცოტა ხნის წინათ მანვე მოიყვანა ხელისუფლებაში.

**კიევისთვის კიდევ ერთი სიურპრიზი იყო აშშ-ის ელჩის — ჯეფრი პაიეტის შეცვლა მარი იოვანოვიჩით (სერბულ-რუსული ფესვების მქონე ამერიკელი). იმ როლის გათვალისწინებით, რომელსაც უკრაინის პოლიტიკაში თამაშობდა პაიეტი, რომელიც თავის ნება-სურვილზე ატარებდა არა მხოლოდ მინისტრებს, არამედ პრეზიდენტსაც კი, აშშ-ის ახალი ელჩის დანიშვნა უკრაინის სახელმწიფოს მეთაურის არჩევას უნდა შევადაროთ**

ჯეფრი პაიეტისგან განსხვავებით, მარი იოვანოვიჩი პირადად არ არის დაკავშირებული უკრაინის მმართველ გუნდთან. ცნობილია, რომ ის ერთ-ერთია იმ წამყვან სპეციალისტთა შორის, რომლებიც პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისა (იყო უკრაინაში აშშ-ის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის მოადგილე, მუშაობდა ელჩად ყირგიზეთსა და სომხეთში) და კორუფციის საკითხებს შეისწავლიან.

**მარი იოვანოვიჩს უკვე მოუწია ამერიკული დახმარებით შექმნილი ჩახლართული საფინანსო კვანძების გახსნა და, არ არის გამორიცხული, რომ მისი ელჩად დანიშვნა, უკრაინის მმართველი ელიტის შეცვლის მაუწყებელი იყოს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ თეთრ სახლს უკრაინაში კადრების მხრივ არ გაუმართლა და საჭირო პირების შერჩევა, სავარაუდოდ, არც ახლა გამოუვა უკეთესად.**

პესიმიზმით აღვსილი უკრაინელი პოლიტოლოგი მიხეილ პოგრებინსკი ნაღვლიანად ასკვნის: „ობამას ადმინისტრაციამ ხელი ჩაიქნია. მას ინსტრუმენტი აღარ აქვს უკრაინაში შექმნილ სიტუაციაზე ზემოქმედებისთვის. დარჩა მხოლოდ კარდინალური გადაწყვეტილებები, მათ შორის, ისეთები, რომლებიც ჩამოშლის ჩვენს ქვეყანას. მაგრამ, სანამ აშშ-ის ახალი პრეზიდენტი ფიცს არ დადებს, სტრატეგია მნიშვნელოვნად არ შეიცვლება, ჩვენ კი განვაგრძობთ გეოპოლიტიკურ ორმოში ვარდნას“.

**ფონდსკ.რუ**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კომპრომატების მნიშვნელოვანი ნაწილი (რეალური და ფალსიფიცირებული), რომელსაც ამჟამად იყენებენ ბრაზილიის ხელმძღვანელების დასაშანტაჟებლად, აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტომ ამ უწყებიდან ედვარდ სნოუდენის გაქცევამდე და მის მიერ მამხილებელი დოკუმენტების გამოქვეყნებამდე მოიპოვა. ეს მასალები ასახავს მოვლენებს გარკვეულ დრომდე. ახლა კი მათი რეტრანსლაცია აშშ-ის კონტროლს დაქვემდებარებული მედიისა და აგენტი-ჟურნალისტების მეშვეობით მიმართულია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქაოსის შესატანისა და ქვეყნის დესტაბილიზაციისკენ.**

# აშშ-ის სპეცსამსახურებმა ბრაზილიაში მცოცავი სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს

**ექსპერტთა უმრავლესობას ეჭვი არ ეპარება, რომ ბრაზილიაში კრიზისული მოვლენები ინიცირებულია აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ. ბრაზილიის მშრომელთა პარტიის ხელმძღვანელობაზე, სახელმწიფო ნავთობკომპანია „პეტრობრასის“ ფუნქციონერებსა და პრეზიდენტ დილმა რუსეფის უახლოეს გარემოცვაზე კომპრომატების გავრცელება „მტრული რეჟიმის“ გასანეიტრალებელი ოპერაციის ფარგლებში განხორციელდა. სწორედ „მტრულ რეჟიმად“ მიიჩნევს ბარაკ ობამას ადმინისტრაცია სამხრეთ ამერიკის უდიდესი სახელმწიფოს ხელისუფლებას, რომელიც ცდილობს, დამოუკიდებელი პოლიტიკა გაატაროს.**


დილმა რუსეფი

**ბრაზილიის მმართველი ელიტის ნებისყოფის დათრგუნვა და მისი იძულება, იაროს აშშ-ის ფარვატერში** — ასეთია სტრატეგიული ჩანაფიქრი.

მოვლენების ამგვარად განვითარების რეალურ საფრთხეზე არაერთხელ მიუთითებდნენ პრეზიდენტები **რაფაელ კორეა** (ეკვადორი), **დანიელ ორტეგა** (ნიკარაგუა), **ევო მორალესი** (ბოლივია), **ტაბარე ვასკესი** (ურუგვაი) და სხვები. **ვენესუელის პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ დილმა რუსეფის გარშემო განვითარებულ მოვლენებს დაუფარავად უწოდა „ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალება“. მადუროს შეფასებით, „ის, რაც დილმა რუსეფის დაატეხეს თავს, დარტყმაა არა მხოლოდ დემოკრატიისთვის ამ ქვეყანაში, არამედ წარმოდგენის საფრთხეს რეგიონული გაერთიანებისთვის, აგრეთვე, ყველა სოციალური და პოლიტიკური მოძრაობისთვის, რომლებმაც დაიჯერეს, რომ აქვთ შესაძლებლობა, რეგიონის საქმეებში ხალხი ჩართონ“.**

მადურომ მოუწოდა ლათინური ამერიკის მემარცხენე მოძრაობებს, „ერთობლივად დაუპირისპირდნენ ცილისმწამებლურ მანიპულაციებს, რომლებიც თავს დაატეხეს დილმა რუსეფს, რადგან ეს ყველაფერი საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და კეთილდღეობას კონტინენტზე“.

ნათლად ჩანს, რომ **კომპრომატების მნიშვნელოვანი ნაწილი (რეალური და ფალსიფიცირებული), რომელსაც ამჟამად იყენებენ ბრაზილიის ხელმძღვანელების დასაშანტაჟებლად, აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტომ ამ უწყებიდან ედვარდ სნოუდენის გაქცევამდე და მის მიერ მამხილებელი დოკუმენტების გამოქვეყნებამდე მოიპოვა. ეს მასალები ასახავს მოვლენებს გარკვეულ დრომდე. ახლა კი მათი რეტრანსლაცია აშშ-ის კონტროლს დაქვემდებარებული მედიისა და აგენტი-ჟურნალისტების მეშვეობით მიმართულია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქაოსის შესატანისა და ქვეყნის დესტაბილიზაციისკენ.**

ასეთ ვითარებაში ვაშინგტონს გაუადვილდება თავისი ხალხის დასმა ქვეყნის საკვანძო თანამდებობებზე. განცხადება დილმა რუსეფის ხელისუფლებიდან ჩამოშორების „საკონსტიტუციო პროცედურებზე“ მხოლოდ საფარველია მცოცავი სახელმწიფო გადატრიალების განსახორციელებლად. თუმცა, თუკი საჭირო იქნება, ობამა თავისი პრეზიდენტობის ვადის დასასრულს ნებისმიერ მოქმედებაზე გასცემს სანქციას, მათ შორის, „ბრაზილიურ მაიდანზეც“.

ბრაზილიაში ამერიკის საელჩოსა და საკონსულოებში უკვე ამოქმედდნენ ამ საქმისთვის შერჩეული გუნდები.

აშშ-ის ელჩმა ბრაზილიაში — **ლილიანა აიალდემ** თავისი კარიერა საერთაშორისო ასპარეზზე USAID-ის სტრუქტურებში მუშაობით დაიწყო, ანუ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და სხვა სპეცსამსახურებთან. აიალდეს აქტივშია პარაგვაიში აშშ-ის ელჩობის პერიოდში (2008-2011) ამ ქვეყნის პრეზიდენტის — **ფერნანდო ლუგოს** ხელისუფლებიდან ჩამოსაშორებელი პირობების შექმნა. 2012 წლის ივნისში პარაგვაის პარლამენტმა ლუგოს იმპიჩმენტი გამოუცხადა. ოფიციალურად ის პრეზიდენტის მოვალეობის „გულგრილად“ შესრულებაში დაადანაშაულეს: თითქოს ვერ შეძლო, აღეკვეთა გლეხებსა და პოლიციელებს შორის დაპირისპირება, რომელმაც მსხვერპლი გამოიწვია. ამ იმპიჩმენტმა ბრაზილიის პროტესტი გამოიწვია. პარაგვაის სახელმწიფო მეთაურის პოსტი, კონსტიტუციის შესაბამისად, ვიცეპრეზიდენტმა ჩაიბარა. ლუგომ მის წინააღმდეგ მოწყობილ იმპიჩმენტს „ხალხის ნების საწინააღმდეგო საპარლამენტო გადატრიალება“ უწოდა.

მსგავსი სცენარი ხორციელდება ბრაზილიაშიც.

აშშ-ის საელჩოში მეორე კაცია **ენდრიუ ბრაუნი**, რომელიც კარგად იცნობს „ლათინური ამერიკის პოლიტიკურ თეატრს“. ბრაზილიაში მუშაობის დაწყებამდე ის კოლუმბიაში მსახურობდა, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ამერიკულ მისიაში. უფრო ადრე კი მუშაობდა აშშ-ის საელჩოებში: ეკვადორში, ვენესუელაში, პანამაში, მექსიკასა და ჰონდურასში.

საელჩოების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სექციებში, რომლებსაც ხშირად არიან ამოფარებული აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს კადრები, 50-ზე ნაკლები თანამშრომელი არ მუშაობს. მათგან ყველაზე მეტად „გამოირჩა“ **ალექსის ლუდვიგი**, რომელიც ფიგურირებდა გახმაურებულ ჯაშუშურ საქმეებში ბოლივიასა და არგენტინაში. აგრეთვე, ძალიან აქტიურობენ: **აბიგაილ დრესელი** — კულტურის, განათლებისა და ბეჭდვითი სიტყვის კურატორი; ატაშე სამართლებრივ საკითხებში **სტივ მური**; ნარკოტიკებთან ბრძოლის განყოფილების შეფი **გვენდოლინ ლეველინი**; USAID-ის დირექტორი **მიშელ ედი** და სხვ.

დილმა რუსეფმა პრეზიდენტის სასახლის დატოვებამდე ხალხს მიმართა და გადაწყვეტილებას პოსტიდან მისი ჩამოშორების შესახებ უწოდა „ტრაგიკული დღე ბრაზილიის ახალგაზრდა დემოკრატიისთვის, საკუთარ თავს კი — უსამართლობის მსხვერპლი“.

რუსეფმა აღნიშნა, რომ პრობლემა არის არა მხოლოდ მის მანდატში, არამედ „არჩევნებისადმი პატივისცემაში, ბრაზილიელი ხალხის სუვერენიტეტსა და კონსტიტუციაში“. რუსეფმა ხაზი გაუსვა, რომ არ შეეპუება მის წინააღმდეგ განხორციელებულ უპრეცედენტო ზემოქმედებას, კანონიერი მეთოდებით შეეწინააღმდეგება იმპიჩმენტის პროცედურას და მიაღწევს გამარჯვებას: „მე არასოდეს დავნებდები... მე დავუშვი შეცდომები, მაგრამ დანაშაული არ ჩამიდენია“.

პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება დაეკისრა **მიშელ ტემერს**, რომელმაც ახალი მთავრობა ჩამოაყალიბა. მას „ნორმალურ“ საპრეზიდენტო არჩევნებში რომ მიეღო მონაწილეობა, ხმების 2%-ზე მეტს ვერ მოაგროვებდა, მაგრამ ეს პოლიტიკოსი ყოველთვის გამოირჩეოდა კონიუნქტურული ალღოთი.

ახლა ტამერს ქვეყნის დამოუკიდებლად მართვის შანსი მიეცა და მან უწყებების რაოდენობა შეამცირა — 32-დან დარჩა 24.

ახალ მინისტრთა კაბინეტში არ არის არც ერთი ქალი, რუსეთის პრეზიდენტობისას კი ქალი 15 სამინისტროს ხელმძღვანელობდა.

ტემერმა ხალხისადმი მიმართვაში განაცხადა, რომ მისი მთავრობის მთავარი ამოცანაა საერთაშორისო არენაზე ბრაზილიისადმი ნდობის აღდგენა, ახალი ინვესტიციების მოზიდვა და ეკონომიკის ზრდის სტიმულირება. მას დეტალურად არაფერი უთქვამს ბრაზილიის საგარეო-პოლიტიკური კურსის შესახებ, მაგრამ, ანალიტიკოსთა პროგნოზების მიხედვით, ის პროამერიკული იქნება.

ტემერი 75 წლისაა, ის ლიბანელი კათოლიკე-მარიონიტების შთამომავალია, პროფესიით — ადვოკატი. არის პარტია დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი. 1980-იან წლებში იყო სან-პაულუს შტატის გენერალური პროკურორი, შემდეგ — ამ შტატის საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრი. სწორედ ამ პერიოდიდან დაუკავშირდა ის აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლებს.

**მიშელ ტემერი, ფაქტობრივად, აშშ-ის საელჩოს ტროას ცხენი იყო დილმა რუსეფის მთავრობაში. როგორც ჩანს, პრეზიდენტის მოვალეობის ახალგამომცხვარმა შემსრულებელმა შესაბამისი ინსტრუქციები მიიღო აშშ-ის საელჩოსგან და ახლა მათ შესრულებას გულმოდგინედ ცდილობს.**

იმპიჩმენტის შემდეგ ბრაზილიაში დაიწყება ნეოლიბერალური რეფორმები. პირველ რიგში, ჩატარდება სახელმწიფო კომპანიების პრივატიზაცია და ამ პროცესში აშშ აქტიურად ჩაერთვება. სწორედ ამიტომ მოაწყვეს იმპიჩმენტი. ბრაზილიაში ძალაუფლება გადავიდა იმ ადამიანების ხელში, რომლებიც თვითონ არიან ჩაფლულნი კორუფციულ სკანდალებში, მაგრამ ამას აშშ-ის ადმინისტრაციისთვის უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს.

**ფონდსკ.რუ**

# «ვიკილიქსი»: ბრაზილიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი აშშ-ის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა



**ბრაზილიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად მიშელ ტამერის დანიშვნიდან რამდენიმე დღეში მის გარშემო სკანდალი აგორდა. პორტალმა „ვიკილიქსმა“ გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებიც მოწმობს, რომ ბრაზილიის დროებითი სახელმწიფო მეთაური აშშ-ის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა.**

„ვიკილიქსმა“ გაავრცელა დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც ჩანს, რომ ბრაზილიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი მიშელ ტემერი აშშ-ის დაზვერვასა და სამხედროებთან მჭიდროდ თანამშრომლობდა. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტია ტემერის მიერ ბრაზილიის ქალაქ სან პაულუდან მაიამიში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში აშშ-ის შეიარაღებული ძალების სარდლობის შტაბში გაგზავნილი წერილი, რომელშიც ტემერი აღწერს ბრაზილიაში შექმნილ ვითარებას 2006 წელს — **ლულა და სილვას** პრეზიდენტობის პერიოდში. წერილში ნახსენებია ტემერის შეხვედრის შესახებ აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლებთან, მეორე წერილი დათარიღებულია 2006 წლის 21 ივნისით. მასში ნათქვამია კიდევ ერთ შეხვედრაზე ამერიკელ დიპლომატებთან, რომლებიც გაიმართა ბრაზილიის დედაქალაქში, აშშ-ის საელჩოში. შეხვედრაზე კვლავ იმსჯელეს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე. თავის წერილებში ტემერი, აგრეთვე, საუბრობს საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებაზე და სთავაზობს მეთოდებს ბრაზილიის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

**ქალაქ ვენტსპილსის მერმა აივარ ლემბერგსმა განაცხადა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მეზღვაურები ნატოს დისკრედიტაციას უწევენ ლიტველთა თვალში: „ნატოს მეზღვაურები ღორებივით იქცევიან ვენტსპილსში, უგულებელყოფენ ლიტვის კანონებს, შარდავდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მთვრალები არწყევდნენ, გლეჯდნენ ყვავილებს გაზონებიდან, რათა მეძავეებისთვის მიეცათ. ისინი იქცეოდნენ, როგორც ოკუპანტები, რომლებიც არ აღიარებენ ლიტვის კანონებს“.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტრამპის ყოფილმა მოსამსახურემ ობამას ჩამოხრჩობის მოთხოვნის განცხადება სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა



**აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის, მილიარდერი დონალდ ტრამპის ექსმოსამსახურემ სახელმწიფოს მოქმედი მეთაურის — ბარაკ ობამას მიმართ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მუქარის გამო საიდუმლო სამსახურის ყურადღება მიიპყრო.**

2015 წელს ენტონი სენეკალმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა თვალსაზრისი, რომ სამხედროებმა ობამა ღალატისა და „სხვა მძიმე დანაშაულების ჩადენის გამო“ უნდა ჩამოახრჩონ. სხვა განცხადებაში სენეკალმა ქრისტიან ობამას მუსლიმანი უწოდა, თანაც არაერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ეს თავისი აზრია და არა — ტრამპის. წარმომადგენლებმა საიდუმლო სამსახურისა, რომელიც პასუხისმგებელია აშშ-ის პირველი პირის უსაფრთხოებაზე, განცხადეს, რომ იციან სენეკალის გამონათქვამების შესახებ და „ჩაატარებენ შესაბამის გამოძიებას“.

თავის მხრივ, ტრამპის პრესსამსახურმა აღნიშნა, რომ დიდი ხანია, სენეკალი აღარ არის მილიარდერის თანამშრომელი. „მიუხედავად ამისა, ჩვენ ვემიჯნებით ამ საშინელ განცხადებას, რომელიც მან გააკეთა პრეზიდენტისა და მისი ოჯახის მისამართით“, — აღნიშნა მილიარდერის პრესმდივანმა **ჰოუპ ჰიკსმა.**

ენტონი სენეკალი დონალდ ტრამპს ემსახურებოდა, როცა მილიარდერი ფლორიდაში თავის კერძო კლუბ „მარ-ლაგოს“ სტუმრობდა ხოლმე. 2016 წლის მარტში სენეკალისგან ინტერვიუ „ნიუ იორკ თაიმსმა“ აიღო.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად დონალდ ტრამპი რესპუბლიკური პარტიის ერთადერთი წარმომადგენელია აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე. 5 მაისს მისმა ოპონენტმა **ჯონ კეისიკმა** უარი განაცხადა საარჩევნო კომპანიის გაგრძელებაზე.



# ამერიკელმა ჯარისკაცებმა კაუნასში ლიტვის სახელმწიფო დროშა შეურაცხყვეს

**„ამერიკელმა ჯარისკაცებმა კაუნასში პროკურატურის შენობიდან ლიტვის დროშა ჩამოგლიჯეს და შეურაცხყვეს. ეს ინციდენტი 25 აპრილს მოხდა, მაგრამ ამ ვანდალურ აქტზე მხოლოდ ახლახან შეიქნა ცნობილი“, — იუწყება პორტალი RuBaltic.ru.**

ამერიკელი სამხედროების მიერ ლიტვის სახელმწიფო დროშის შებილწვაზე ადგილობრივ პრესაში არაფერი დაწერილა, არც პოლიციის დეპარტამეტის ცნობებშია მოხსენიებული. გადაწყვეტილება ვანდალიზმის აქტის შესახებ ინფორმაციის დამალვაზე მას შემდეგ მიიღეს, როცა გაირკვა, რომ სახელმწიფო დროშა ამერიკელმა ჯარისკაცებმა შეურაცხყვეს.

აღსანიშნავია, რომ ბალტიისპირეთში ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები ადრეც არაერთხელ მოქცეულან თავხედურად.

**2016 წლის თებერვალში** მთვრალმა ამერიკელმა ჯარისკაცებმა გადაწყვიტეს, ლიტვის აკვაპარკი დრუსკინინკაი მოენახულებინათ, სადაც მათ ნამდვილი დარბევა მოაწყვეს — დაანგრიეს ერთ-ერთი აუზის დეკორატიული კედელი და ხელით შეეხნენ გასართობი კომპლექსის თანამშრომლებს.

**2014 წელს** სასწავლო ოპერაციაში (Open Spinit — 2014) მონაწილეობისთვის ქალაქ ვენტსპილსს ნატოს 26-ხომალდიანი ესკადრა ეწვია. ნაპირზე გადასული მეზღვაურები ბარებს სტუმრობდნენ, დრო გაჰყავდათ და ფულს ხარჯავდნენ ალკოჰოლურ სასმელში, შემდეგ კი გვარიანად გამომთვრალნი მოქალაქეებს ეჩხუბებოდნენ. ერთ-ერთი ასეთი ჩხუბის შემდეგ თავგატეხილი ჰოლანდიელი სამხედრო უგონო მდგომარეობაში მოათავსეს საავადმყოფოში. მოგვიანებით დააპატიმრეს 4 ახალგაზრდა ვენტსპილელი, რომლებმაც ნატოელი სამხედრო ქალზე ძალადობის გამო დაასახიჩრეს.

ქალაქ ვენტსპილსის მერმა **აივარ ლემბერგსმა** განაცხადა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მეზღვაურები ნატოს დისკრედიტაციას უწევენ ლიტველთა თვალში: **„ნატოს მეზღვაურები ღორებივით იქცევიან ვენტსპილსში, უგულებელყოფენ ლიტვის კანონებს, შარდავდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მთვრალები არწყევდნენ, გლეჯდნენ ყვავილებს გაზონებიდან, რათა მეძავეებისთვის მიეცათ. ისინი იქცეოდნენ, როგორც ოკუპანტები, რომლებიც არ აღიარებენ ლიტვის კანონებს“.**

ვენტსპილსის მერის განცხადებით, პორტში ნატოს ხომალდების შესვლის შემდეგ ნაპირზე გადასული 23 სამხედრო დააჯარიმეს: 13 — სიმთვრალის გამო, 10 — უზრდელობისთვის.

# საფრანგეთის დაზვერვის ექსხელმძღვანელი: ამერიკული კურსის მხარდაჭერა მტკივნეულად აისახა საფრანგეთზე



**ევროპის პოლიტიკური ელიტის ზოგიერთი წარმომადგენელი საჯაროდ ინანიებს თავისი ქვეყნის პროამერიკული საგარეო ვექტორის გამო. 7 მაისს ეს გააკეთა საფრანგეთის დაზვერვის ყოფილმა ხელმძღვანელმა ალენ ჟუუიემ, რომელიც მიიჩნევს, რომ ფრანგმა პოლიტიკოსებმა დიდი შეცდომა დაუშვეს, როდესაც დაუფიქრებლად დაუჭირეს მხარი ვაშინგტონის კურსს უკრაინასა და სირიაში, რადგან საგარეო პოლიტიკაში ამერიკული კურსის მხარდაჭერა მტკივნეულად აისახა საფრანგეთზე.**

ჟუუიეს მაგალითად მოჰყავს თეთრი სახლის მიერ პარიზისთვის თავსმოხვეული ანტირუსული აქციები, რომელთა გამოც საფრანგეთმა თავისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების ბაზარი დაკარგა და ახლა ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორი ღრმა კრიზისშია. ჟუუიეს მიაჩნია, რომ რუსეთისა და ევროპის ურთიერთობაში კრიზისი ხელოვნურად შექმნეს ამერიკელმა ნეოკონსერვატორებმა, არჩევნების წინ დონალდ ტრამპის პოპულარობის ზრდა კი შემთხვევითი არ არის — ეს ათწლეულების განმავლობაში გატარებული დაუფიქრებელი პოლიტიკის შედეგია.

**„ამერიკელებმა თავიანთი ბინძური თეთრეულის რეცხვა დაიწყეს. ტრამპმა ბევრ საიდუმლოს ახსნა ტაბუ. მილიარდერი შეცდომად თვლის სამხედრო ოპერაციას ერაყში და ამერიკის პოლიტიკას უკრაინაში“,** — ამბობს ალენ ჟუუიე ფრანგული პოპულარული გამოცემა „პარი მატჩისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

თუ შევაჯამებთ, საფრანგეთის დაზვერვის ექსხელმძღვანელის ნათქვამს, მივიღებთ საფრანგეთში არსებული ვითარების მთლიან სურათს: **საფრანგეთის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, მათ შორის, დაზვერვაში, სხედან პროამერიკულად განწყობილი მოღვაწეები, რომლებიც მზად არიან, ემსახურონ აშშ-ის ინტერესებს თავიანთი ქვეყნის საზიანოდ.**

# უგანდის პრეზიდენტმა ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს «უმაქნისი ადამიანების გროვა» უწოდა

**„სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ჰააგაში — ეს არის გროვა უმაქნისი ადამიანებისა, რომლებიც სერიოზულად არ უნდა აღვიქვათ“, — ასე დაახასიათა ჰააგელი მოსამართლეები უგანდის პრეზიდენტმა იოვერ მუსევენიმ თავის ინაუგურაციაზე.**



მუსევენიმ, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ჰააგის სასამართლოს არასათანადო დამოკიდებულება აქვს აფრიკის ქვეყნების ლიდერების მიმართ. ამ განცხადების შემდეგ აშშ-ის, ევროკავშირისა და კანადის დელეგაციებმა დატოვეს ინაუგურაციის ცერემონია.

მუსევენიმ ზემოაღნიშნული განაცხადა ინაუგურაციაზე ჩასული სუდანის პრეზიდენტის — **ომარ ალ-ბაშირის** დაპატიმრებაზე უარის თქმის ნიშნად. სუდანის პრეზიდენტზე ჰააგის სასამართლომ ძებნა გამოაცხადა. მას კაცობრიობის წინაშე ჩაწენილ დანაშაულებში სდებენ ბრალს, ორდერიც გაცემულია და ის უგანდას, წესით, უნდა დაეპატიმრებინა და ჰააგის სასამართლოსთვის გადაეცა.

ცერემონიაზე ოვაციებით შეხვდნენ ჰააგის სასამართლოს მეორე კრიტიკოსს, ზიმბაბვეს პრეზიდენტ რობერტ მუგაბეს, რომელმაც წლების წინათ აფრიკას შესთავაზა, შეექმნათ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რომელიც დასავლელ ლიდერებს გაასამართლებდა კოლონიალიზმის პერიოდში აფრიკელი ხალხების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამო.

მუგაბემ მოუწოდა, ერაყში დამანგრეველი ომის გაჩაღების გამო სასამართლოში გამოეძახებინათ აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი **ჯორჯ ბუში-უმცროსი** და დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრი **ტონი ბლერი.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განა შეიძლება, დანაშაულთან ან ტერორიზმთან ბრძოლამ საპირისპირო შედეგი გამოიღოს, ტერორისტული აქტები ლამის ყოველდღიური მოვლენა გახდეს, მისი არეალი ერთი სახელმწიფოს ფარგლებს გასცდეს და არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში, არამედ მასთან „მებრძოლ“ დასავლეთშიც გავრცელდეს, ტერორისტებმა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება მოახერხონ და მთელ მსოფლიოს გაუგზავნონ მუქარის მესიჯები და, ამ ბრძოლის პარალელურად, ავღანეთში ნარკოტიკების წარმოება 15-ჯერ (ზოგიერთი მონაცემით, 40-ჯერ!) გაიზარდოს?!**

# ტერორიზმი, მასთან ბრძოლა და დემოკრატია

**2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, რომელმაც სამი ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ამერიკამ და ევროპის სახელმწიფოებმა, ანუ ნატომ და ნატოს არაწევრმა უამრავმა სახელმწიფომ, ერთი შეხედვით, უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადეს ტერორიზმს, მაგრამ დღემდე ვერაფერი დააკლეს. უფრო მეტიც, ამ ბრძოლამ უკუშედეგი გამოიღო – ტერორისტებმა სახელმწიფოც კი შექმნეს, ხოლო ტერაქტებმა შუაგულ ევროპასაც უწია. ვინ დაიჯერებს, რომ ტერორიზმთან მებრძოლ გაერთიანებულ კოალიციას (50-ზე მეტ სახელმწიფოს), რომელსაც მთელი მსოფლიოს დაპყრობა შეუძლია, ერთ რეგიონში არსებული ტერორისტული ცენტრის („ისლამური სახელმწიფოს“ სახით) დამარცხება არ ძალუძს?! ეს ხომ წარმოუდგენელია.**



რა დასკვნის გამოტანა შეიძლება აქედან? — მხოლოდ იმის, რომ ტერორიზმს არავინ ებრძვის, მხოლოდ ცალკეულ ტერორისტებს ებრძვიან და თანაც ერთობ უეფექტოდ. არადა, ტერორიზმთან, როგორც მოვლენასთან, ბრძოლა და ტერორისტებთან, როგორც ცალკეულ შემსრულებლებთან, ბრძოლა სხვადასხვა რამ არის. ეს ანბანური ჭეშმარიტება კარგად ესმით „ტერორიზმთან მებრძოლებს“, მაგრამ **კითხვასაც არავინ სვამს, თუ რამ შვა ტერორიზმი, რა არის ტერაქტების ასეთი გახშირებისა და მისი გეოგრაფიული არეალის გაფართოების მიზეზი.** როგორ, რით ავხსნათ, რომ ტერორიზმს სიტყვით ებრძვიან, საქმით კი — მხოლოდ ტერორისტებს, ოღონდ, როგორც ვთქვით, წარუმატებლად?!

ტერორისტებთან ბრძოლა აუცილებელია, მაგრამ იგი ყოველთვის უშედეგო იქნება, თუ მიზეზები არ აღმოიფხვრა. რადგან მხოლოდ ტერორისტებთან ბრძოლა იგივეა, ავადმყოფს ტკივილის დროს ტკივილგამაყუჩებელი დაუნიშნო და ტკივილის გამომწვევი მიზეზის, წყაროს დადგენაზე არ იფიქრო. მით უფრო, წარმოუდგენელია, ავადმყოფის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდეს, ტკივილი ძლიერდებოდეს, სხვა ადგილასაც ეწყებოდეს და ექიმი მაინც სიმპტომატურ მკურნალობას განაგრძობდეს – მხოლოდ ახალ-ახალ ტკივილგამაყუჩებელ პრეპარატებს უმატებდეს. ასეთ სისულელეს გამოუცდელი ექიმიც არ ჩაიდენს, ეს გამორიცხულია.

**რადგან მიზეზების გამოვლენას არავინ ცდილობს, ძალაუნებურად იფიქრებ, რომ, ალბათ, ვიღაცებს ეს ძალიან აძლევს ხელს. და, თუკი ხელს აძლევს, მაშინ ლოგიკური იქნება იმის დაშვებაც, რომ ეს ვიღაცები ხელსაც შეუწყობენ ტერაქტების მომწყობებს — ფულთან ერთად ასაფეთქებელი ნივთიერებებით, დეტონატორებითა და დისტანციური მართვის პულტებითაც მოამარაგებენ, და ტერაქტებსაც იქ (და იმდენჯერ) მოაწყობენ, სადაც მოსახლეობის ან ხელისუფლების (ან ორივეს ერთად) დაშინება დასჭირდებათ.**

იღებენ თუ არა ზომებს ტერორიზმთან საბრძოლველად? — რა თქმა უნდა! გამკაცრებულია ყველანაირი კონტროლი, ისეთიც კი, როგორსაც 40-50 წლის წინათ ადამიანი ვერც კი წარმოიდგენდა: აბა, ვინ იფიქრებდა, რომ აეროპორტში მას ფეხზე გახდიდნენ, ქამარს შეხსნიდნენ, ჯიბეებს ამოაბრუნებინებდნენ, პროტეზს მოახსნევინებდნენ, სუნამოს, კბილის პასტას და ფრჩხილის მოსაჭრელ პატარა მაკრატელს ნაგვის ურნაში გადაუყრიდნენ, რადიაქტიური დასხივებით (მცირე დოზებით, მაგრამ ჯანმრთელობისთვის მაინც არასასურველი) ეკრანზე გააშიშვლებდნენ, ჩაბარებულ ბარგს უნებართვოდ გაუხსნიდნენ და ამოუტრიალებდნენ, მიღებულს კი განმეორებით შეუმოწმებდნენ გაწვრთნილი ძაღლების დახმარებით. ახლა ვნახოთ, რა ხდება აეროპორტს გარეთ: არათუ მთავრობის სახლში და თანამდებობის პირთან, არამედ რიგით დაწესებულებაში ფეხს ვერ შედგამ, თუ მეტალოდეტექტორით არ შეგამოწმეს; **თითოეული ჩვენგანის ყოველი ფეხის ნაბიჯი ჩვენივე მობილურებით (გამორთულითაც) და ქუჩებში დამონტაჟებული ვიდეოკამერებით კონტროლდება. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ისმინება (იწერება) ყველას სატელეფონო საუბრები, მოწმდება ნებისმიერის ელექტრონული ფოსტა და, თუ საჭიროდ ჩაითვალა, შეუძლიათ დაუკითხავად დისტანციურად ჩართონ ჩვენი პერსონალური კომპიუტერები, მისი საშუალებით მოისმინონ ოჯახის წევრების საუბრები და ვიდეოც კი გადაგვიღონ საძინებელში.** ამერიკაში და ახლა უკვე ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოშიც ნებადართულია ნებისმიერი პირის დაკავება (მხოლოდ გონივრული ეჭვის საფუძველზე, ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს) და ჩხრეკა (ბინისაც) მოსამართლის ნებართვის გარეშე.

ახლა, რაც შეეხება ტერორიზმის წინააღმდეგ უშუალოდ ბრძოლას, ანუ შეიარაღებულ ბრძოლას, რომელსაც, 15 წელია, თვალს ვადევნებთ. **განა შეიძლება დანაშაულთან ან ტერორიზმთან ბრძოლამ საპირისპირო შედეგი გამოიღოს, ტერორისტული აქტები ლამის ყოველდღიური მოვლენა გახდეს, მისი არეალი ერთი სახელმწიფოს ფარგლებს გასცდეს და არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში, არამედ მასთან „მებრძოლ“ დასავლეთშიც გავრცელდეს, ტერორისტებმა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება მოახერხონ და მთელ მსოფლიოს გაუგზავნონ მუქარის მესიჯები და, ამ ბრძოლის პარალელურად, ავღანეთში ნარკოტიკების წარმოება 15-ჯერ (ზოგიერთი მონაცემით, 40-ჯერ!) გაიზარდოს?!** დასკვნა იგივეა: ასეთი რამ მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი — დახმარებისა და ხელშეწყობის შემთხვევაში!

მიზანმიმართული და გამუდმებული პროპაგანდა ლამის ნებისმიერ რამეში აჯერებს პატიოსან, მაგრამ გულუბრყვილო ადამიანს (ასეთი კი მოსახლეობის 90 პროცენტია!), მაგრამ, აბა, **რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს, რომ ბაშარ ასადის მმართველობით უკმაყოფილო ოპოზიციონერი სირიელები ანგრევენ თავიანთ ისტორიულ ძეგლებს, ძარცვავენ მუზეუმებს და მიწასთან ასწორებენ მსოფლიო მნიშვნელობის ქალაქ პალმირას (ნგრევას გადარჩენილ ნაწილს კი — ნაღმავენ)?! ეს ხომ იგივეა, სააკაშვილით უკმაყოფილო ქართველობას ხელში იარაღი აგვეღო და სააკაშვილთან ბრძოლის პარალელურად ვარძია, გელათი, სვეტიცხოველი და სხვა ძეგლები დაგვენგრია?!** აი, ასეთი აბსურდი უნდათ — დააჯერონ მსოფლიოს მოსახლეობას, რომ ასეთი ველურები არიან სირიელები, რომლებსაც, თურმე, არაფრად ულირთ ისტორიული მემკვიდრეობა. ასეთი „ოპოზიცია“ რომც არსებობდეს, მაშინ, პირველ რიგში, სწორედ ის უნდა მოსპო და მერე — უცხოტომელი. საქმე ის არის, რომ ოპოზიცია არსებობდა და დღესაც არსებობს, მაგრამ მთავარი წარმმართველი ძალა და სამხედრო მეთაურები არიან სხვა სახელმწიფოებიდან შეყრილი ადამიანები, რომლებიც ფულის სანაცვლოდ ყველაფერს კადრულობენ. მათ არ ანაღვლებთ სირიელების (არც არავის) სიცოცხლე და ფასდაუდებელი ძეგლები.

**რაც მთავარია, თვითონ ტერაქტების სრულფასოვანი გამოძიება არ ხდება. არადა, გამოძიებას ხომ მხოლოდ შემსრულებლებამდე არ მივყავართ, ხშირად იგი მიზეზებსაც ადგენს.** საოცარია, რომ დამოუკიდებელი გამოძიება ეკრძალება ყველას — ჟურნალისტებს, კერძო დეტექტივებს, დაღუპულთა ოჯახის წევრებს, აბსოლუტურად ყველას! ამერიკის ხელისუფლება აცხადებს: რასაც გეუბნებით, ვინ, რატომ და როგორ ჩაიდინა კონკრეტული ტერორისტული აქტი, ის ინფორმაცია იკმარეთ და დაიჯერეთ; გნებავთ, ნუ დაიჯერებთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ თვითშემოქმედება კანონით ისჯება. ასეთი მიდგომის, ანუ სახელისუფლო პოლიტიკის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია 11 სექტემბრის ტერაქტი, როდესაც მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის ორი ტყუპისცალი 110-სართულიანი ცათამბჯენის აფეთქებას და ნგრევას 3 000-მდე ადამიანი ემსხვერპლა. იმავე საღამოს, ტერაქტიდან დაახლოებით 7 საათის შემდეგ იმავე უბანში 47-სართულიანი მესამე ცათამბჯენიც დაინგრა (ამ შენობაზე ყურადღებას არ ამახვილებენ), თანაც დაინგრა თავისით, თვითმფრინავი არ დაჯახებია. დაინგრა ზუსტად ისე, როგორც ტყუპი კოშკი, ისიც ზუსტად ვერტიკალურად ჩაშვავდა (საბედნიეროდ, ამ ნგრევას მსხვერპლი არ მოჰყოლია – შენობა ცარიელი იყო).

სარწმუნო ოფიციალური პასუხი დღემდე არ არსებობს არა მხოლოდ ამ ტერაქტის მომწყობებსა და შენობების უცნაური ნგრევის ირგვლივ მეცნიერებისა და კონსტრუქტორების მიერ დასმულ უამრავ კითხვაზე, დასაბუთებული პასუხი გაცემული არ არის არც უმარტივეს, მაგრამ უმნიშვნელოვანეს კითხვებზეც: **შეიძლებოდა თუ არა ეს შენობები თვითმფრინავის დაჯახების შედეგად გამოწვეული ხანძრის გამო დანგრეულიყო, თანაც მთლიანად? არის თუ არა ამგვარი ნგრევის ანალოგი მსოფლიოში? შეიძლება თუ არა, თუნდაც თეორიულად, რომ შენობა, რომელსაც მახვილი კუთხით ეჯახება თვითმფრინავი, ორჯერ სწრაფად (სულ რაღაც, 56 წუთში) დაინგრეს, ვიდრე ის შენობა, რომელსაც თვითმფრინავი სწორი კუთხით დაეჯახება და თანაც ორივე დაინგრეს იდენტურად?** ყველა კითხვაზე ერთი „ამომწურავი“ პასუხი არსებობს: მიუხედავად იმისა, რომ მსგავს ნგრევას მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება, ამ შენობების დანგრევა მაინც ხანძრით იყო გამოწვეულიო. არსებობს კიდევ ერთი რჩევა-პასუხიც: ვინც ჩვენს ვერსიას არ დაიჯერებს და რაღაცების ქექვას დაიწყებს, რა „ჩიტსაც დაიჭერს“, იმასაც ნახავს კანონის ძალითო...

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: **ვის აძლევს ხელს ეს გაუთავებელი ომები, ნაირფერი რევოლუციები და ასე გახანგრძლივებული, დაუსრულებელი ბრძოლა „მოუხელთებელ“ საერთაშორისო ტერორიზმთან (ტერმინი — „საერთაშორისო ტერორიზმი“ — 15 წლის წინათ, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, გამოიყენეს პირველად)?** ამ კითხვაზე პასუხი ცნობილია: **ომზე, ანუ სხვის უბედურებაზე დიდძალი ფული კეთდება**, რადგან ომები წარმოშობენ ვალებს და, ვინც ვალებს აკონტროლებს, ანუ ბანკირები, ჩალის ფასად ეუფლებიან სხვების ქონებას! მაგრამ რისთვის სჭირდებათ ეს ქონება, ფული – მილიონების ჯერ მილიარდებად და შემდეგ ტრილიონებად გადასაქცევად?!

დიდძალი ფულის პატრონი ადვილად ყიდულობს ყველაფერს — ტიტულებს, თანამდებობებს, მთავრობებს (თავისი და უცხო ქვეყნის) და ადამიანების სინდის-ნამუსსაც (მოუსყიდველი, ურჩი ადამიანებისთვის მოფიქრებულია გაკოტრება, დაშინება, შანტაჟი, უბედური შემთხვევები და უკურნებელი სნეულებები. ფულის ძალით, ცხადია). მაგრამ ყველაფერი ეს — ფული და ძალაუფლება ხომ უკვე აქვთ ძლიერთა ამა ქვეყნისას, ანუ ისეთ მულტიმილიარდერებს, რომლებიც „ფორბსის“ სიაში არასოდეს შეჰყავთ და, რომელთა შორისაც მუსიკის, ანუ პოლიტიკის უპირველესი შემკვეთები, რაღა თქმა უნდა, **როკფელერებისა** და **როტშილდების** ოჯახები არიან.

იცოდა რა ამ ოჯახების ქონებისა და ძალაუფლების თაობაზე, ცნობილმა ამერიკელმა კინორეჟისორმა (ავტორმა გახმაურებული და სკანდალური ფილმისა „ამერიკა – თავისუფლებიდან ფაშიზმამდე“), საზოგადო მოღვაწემ, პროდიუსერმა, ტელეწამყვანმა, ნევადის შტატის გუბერნატორობის კანდიდატმა **აარონ რუსომ**, რომელიც როკფელერების ოჯახის ერთ-ერთ წარმომადგენელ **ნიკ როკფელერთან** მეგობრობდა, სწორედ ეს კითხვა დაუსვა მას: **„თქვენ ფლობთ მთელი მსოფლიოს ფულს, თქვენ ფლობთ ძალაუფლებას, რისთვის ყოველივე ეს, რა არის თქვენი საბოლოო მიზანი?“** (მიუხედავად იმისა, რომ როკფელერების ქონება დაახლოებით ტრილიონ დოლარადაა შეფასებული, ცხადია, „თქვენ“-ში, მხოლოდ როკფელერებს არ გულისხმობდა რუსო, არამედ სხვა მულტიმილიარდერებსაც და, რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, როტშილდების ოჯახს, რომლის ქონებაც, სავარაუდოდ, 2.5–3.2 ტრილიონია). მრავლისმთქმელია როკფელერის პირდაპირი პასუხი მიზანსა და ამ მიზნის მისაღწევ მეთოდზეც: **„ჩვენი საბოლოო მიზანია, მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ადამიანს იმპლანტირებული ჰქონდეს „რადიოჩიპი“, რათა ვაკონტროლოთ საზოგადოება, რათა ბანკირებმა და ელიტამ აკონტროლოს მსოფლიო“.** კონტროლი და თვალთვალი არც ახლა გვაკლია, მაგრამ „ჩიპჩადგმული“ ადამიანების საზოგადოება ტოტალურად გაკონტროლდება. გაკონტროლდება ყველაფერი, პირველ რიგში, ფულადი სახსრები. თითქოს, ყველაფერი ნათელია: ფულის, ძალაუფლების და კონტროლის ერთ ხელში, ანუ ბანკირებისა და „ელიტის“ ხელში თავმოყრა; გაცხადებულია მისაღწევი გზები და მეთოდებიც (ომები, მევახშეობა, „ჩიპიზაცია“), მაგრამ, სამწუხაროდ, აქ არ მთავრდება მათი გეგმები. ▶

**თითოეული ჩვენგანის ყოველი ფეხის ნაბიჯი ჩვენივე მობილურებით (გამორთულითაც) და ქუჩებში დამონტაჟებული ვიდეოკამერებით კონტროლდება. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ისმინება (იწერება) ყველას სატელეფონო საუბრები, მოწმდება ნებისმიერის ელექტრონული ფოსტა და, თუ საჭიროდ ჩაითვალა, შეუძლიათ დაუკითხავად დისტანციურად ჩართონ ჩვენი პერსონალური კომპიუტერები, მისი საშუალებით მოისმინონ ოჯახის წევრების საუბრები და ვიდეოც კი გადაგვიღონ საძინებელში.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ და, სანამ ამ სხვა გეგმაზეც ვიტყოდე, ფულის ძალით მსოფლიოზე კონტროლის დამყარების შესაძლებლობაზეც (რაც, პრაქტიკულად, მიღწეულიც აქვს უკვე ამერიკას) უნდა ითქვას: **საკუთარი პოლიტიკის სხვებისთვის თავსმოხვევა, ცხადია, ყველაზე ძლიერ (ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით) სახელმწიფოს შეუძლია, მაგრამ მხოლოდ სიძლიერე არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მსოფლიოს ყელში წაუჭირო. ყველა პერიოდში არსებობდა სახელმწიფო, რომელიც იყო სხვებზე ძლიერიც და მდიდარიც, მაგრამ თავისი ნება სხვებისთვის თავს ვერასოდეს მოუხვევია უომრად. დღეს კი ამერიკა ამას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ახერხებს, თუმცა, თუ საჭიროდ მიიჩნევს, არც სამხედრო აგრესიაზე ამბობს უარს.**

**სახელმწიფოების დასააკაბალებლად ამერიკა იყენებს უძლიერეს იარაღს — თავის ფულად ერთეულს — დოლარს, რომლის გაბატონებას 1944 წელს ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებიდან დაედო სათავე, როდესაც მსოფლიოს ყველა ვალუტა დოლარს მიაბეს.** იმხანად ეს არ იყო ძალიან სახიფათო, რადგან არსებობდა დოლარის დამამუხრუჭებელი ძალა – ოქრო, რომელზეც, თავის მხრივ, დოლარი იყო მიბმული – უნცია ოქრო (31.1 გრამი) 35 დოლარად იყო შეფასებული. სულ რაღაც, ოციოდე წელიწადში (1949-დან 1970-მდე) კი ამერიკის ოქროს მარაგი თვალსა და ხელს შუა შემცირდა — 21.8 ათასი ტონიდან 9.8 ათას ტონამდე. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ამერიკელმა ბანკირებმა იპოვეს — ადვილად განსახორციელებელი და, ამასთანავე, მათთვის ერთობ სარფიანი. მათი რჩევით პრეზიდენტმა ნიქსონმა 1971 წელს ოფიციალურად გააუქმა დოლარის ოქროთი უზრუნველყოფა და... ფედერალურ სარეზერვო სისტემასაც (სინამდვილეში, 12 ბანკირის კუთვნილ კერძო ბანკს) ხელები გაეხსნა — დოლარის საბეჭდი მანქანა სრული დატვირთვით აამუშავა. ამას მოჰყვა დოლარის მკვეთრი გაუფასურება და ოქროს 40-50-ჯერ გაძვირება, დოლარის ბანკნოტი, ფაქტობრივად, უბრალო ქაღალდად იქცა — ერთი დოლარის ღირებულება 2–3 ცენტამდე დაეცა. დღემდე ვერც ამერიკის რომელიმე პრეზიდენტმა შეძლო სახელმწიფოს (და არა კერძო ბანკის) ფულადი ერთეულის გამოშვება (ეს სცადა პრეზიდენტმა **ჯონ კენედიმ** 1963 წელს და გადაჰყვა კიდეც ამ ინიციატივას) და ვერც დანარჩენმა მსოფლიომ მოახერხა დოლარისთვის ლაგმის ამოდება (ამერიკული დოლარის პოტენციური კონკურენტის, მთელი რიგი სახელმწიფოების მიერ მხარდადაჭერილი ოქროს დინარის დაბეჭდვის მცდელობაც სავალალოდ დასრულდა ლიბიის პრეზიდენტ მუამარ კადაფისთვის). დასკვნა: **სანამ ამერიკული დოლარი მსოფლიოს ვალუტაა, მანამ იქნება ამერიკის ხელში სახელმწიფოთა მართვის სადავეები.**

ახლა ბანკირებისა და „რჩეული“ ელიტის სხვა გეგმასაც მივუბრუნდეთ: ჯერ კიდევ 1974 წელს, „ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების შემსწავლელი მემორანდუმი-200“-ით, მსოფლიოში აშშ-ის ძირითად სტარტეგიულ ამოცანად დეპოპულაცია გამოცხადდა. **„ამერიკის პოლიტიკა მესამე სამყაროს ქვეყნების მიმართ უნდა იყოს ერთი — დეპოპულაცია“,** — განაცხადა ცნობილმა ამერიკელმა სახელმწიფო მოღვაწემ **ჰენრი კისინჯერმა. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომელი ხალხები მოყვებიან „რჩეულების“ მიერ დაგეგმილ „შემცირებაში“. ამ ხალხებს, ანუ ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებს ხომ პირდაპირ ასახელებს კისინჯერი. საუბედუროდ, ჩვენც ამ კატეგორიაში გავდივართ. დეპოპულაცია, საბოლოო ჯამში, მსოფლიო მოსახლეობის ერთ მილიარდამდე დაყვანას ისახავს მიზნად, ანუ ამჟამინდელი რაოდენობის დაახლოებით 7-ჯერ შემცირებას.**

## ვის აძლევს ხელს ეს გაუთავებელი ომები, ნაირფერი რევოლუციები და ასე გახანგრძლივებული, დაუსრულებელი ბრძოლა «მოუხელთებელ» საერთაშორისო ტერორიზმთან (ეს ტერმინი — «საერთაშორისო ტერორიზმი» — 15 წლის წინათ, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, გამოიყენეს პირველად)? ამ კითხვაზე პასუხი ცნობილია: ომზე, ანუ სხვის უბედურებაზე დიდძალი ფული კეთდება, რადგან ომები წარმოშობენ ვალებს და, ვინც ვალებს აკონტროლებს, ანუ ბანკირები, ჩალის ფასად ეუფლებიან სხვების ქონებას!



**მსოფლიოზე კონტროლის დამყარება და დეპოპულაცია — ეს ორი რამ არის გაუთავებელი ომების მთავარი მიზანი და არა „განვითარებადად“ წოდებულ სახელმწიფოებში დემოკრატიის დამყარება, ეკონომიკური აღმავლობა ან ტერორიზმის დამარცხება! სწორედ ამიტომ არ სრულდება ომები და ტერორისტული აქტები. ამ დასკვნებამდე, საუბედუროდ, მანამდე ვერ მივდივართ (ჩვენც და სხვებიც), სანამ დასავლეთის აგრესიული სამხედრო და ეკონომიკური პოლიტიკით გამოწვეულ ქვეყნის ნგრევა-გაპარტახება-დაშლასა და ერის გადაგვარება-გადაშენება-გამათხოვრებას საკუთარ თავზე არ ვიწვნევთ.** ამიტომ, სუბიექტურობაში რომ არ დაგვდოს ბრალი რომელიმე „დასავლურად მოაზროვნემ“, ვისაც „შეთქმულების თეორიები“ ვიღაცის ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი ჰგონია, **მოვიყვან კიდევ ერთ ნაწყვეტს ნიკ როკფელერის საუბრიდან აარონ რუსოსთან, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიამდე 11 თვით ადრე გაიმართა: „მოხდება რაღაც მნიშვნელოვანი, რასაც მოჰყვება ჩვენი შეჭრა ავღანეთში, შევიჭრებით ერაყშიც, ხელთ ვიგდებთ ნავთობსარეწებს, მივხედავთ ჩავესს ვენესუელაში, შემდეგ კი ვნახავთ, თუ როგორ ეძებენ ჯარისკაცები ადამიანებს ავღანეთისა და პაკისტანის გამოქვაბულებში, დაიწყება ტერორიზმთან ომი, რომელშიც რეალური მოწინააღმდეგე არ არსებობს, მთელი ეს ომი ტერორიზმთან იქნება ფარსი, ეს იქნება ამერიკელი ხალხის (საერთოდ, ყველა ხალხის – ი.ლ.) დასამორჩილებელი ერთი გიგანტური სიცრუე“.**

სამწუხაროდ, ყველაფერი ზუსტად ახდა!

ალექს ჯონსთან 2007 წელს ჩაწერილ ამ ინტერვიუში მოყვანილი ფაქტების გასაჯაროება მეხის გავარდნასავით იყო, მაგრამ ისინი არავის უარუყვია, არც თვითონ ნიკ როკფელერს. ყველამ, ვისაც კი პასუხის გაცემა ევალებოდა, დუმილი არჩია. სამწუხაროდ, მალე სამუდამოდ დადუმდა აარონ რუსოც, რომელიც ამ ინტერვიუს მიცემიდან შვიდ თვეში კიბოთი გარდაიცვალა.

საინტერესოა ტერორიზმის შესახებ ამერიკის ყოფილი ფინანსთა მინისტრის მოადგილის, რეიგანის რევოლუციური ეკონომიკური პროგრამის — „რეიგანომიკის“ მამად წოდებული ცნობილი ეკონომიკური მიმომხილველის, ამერიკის საუკეთესო ჟურნალისტთა შვიდეულში შემავალი **პოლ კრეიგ რობერტსის** შეფასებაც: **„საერთაშორისო ტერორიზმი მოიგონეს აშშ-ში, რათა გაამართლონ ამერიკელების შეჭრა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში“, დემოკრატიის დროშის ფრიალით, რა თქმა უნდა!**

ვინაიდან დემოკრატიის სახელით ჩადენილი უამრავი სისაძაგლის მოწმენი ვართ, ორიოდე სიტყვა ამ ყბადაღებულ „დემოკრატიაზეც“ უნდა ითქვას. დემოკრატია, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბევრს თავისუფლების სინონიმადაც კი წარმოუდგენია, თუმცა უფრო ჩახედული ადამიანები მას ბოლშევიზმსაც ადარებენ, რადგან დემოკრატიული წყობის დროს, ისევე, როგორც ბოლშევიკების ბატონობისას, გადაწყვეტილება უმრავლესობით, „ბოლშე“-ვიკური პრინციპით მიიღება და უმრავლესობა, ვთქვათ, 51 პროცენტი, თავის ნებას დანარჩენ 49 პროცენტს ახვევს თავს, ანუ გაბატონებულია მასზე. ჰოდა, ასეთ შემთხვევაში რომელ თავისუფლებაზე შეიძლება ლაპარაკი?!

ბოლშევიკები თავის ჭკუაზე მაინც მართავდნენ ქვეყანას, დემოკრატები კი იმათ ჭკუაზე დადიან, ვინც ისინი ხელისუფლებაში მოიყვანა (გნებავთ — დასვა) ზოგან ხავერდოვან-ყვავილოვანი რევოლუციების, ზოგან „მაიდნების“ და ზოგანაც „დემოკრატიული“ არჩევნების გზით. აი, დაახლოებით ისეთი არჩევნებით, საგარეჯოში რომ ჩატარდა, როდესაც, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას ვინ ჩივის, ყველასათვის ცხადი და დოკუმენტურად (ვიდეოკადრებით) დადასტურებული ორი აშკარა დანაშაული „ვერ დაინახა“ პროკურატურამ: საქართველოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ 500 ჯარისკაცს ორჯერ აარჩევინეს მაჟორიტარი დეპუტატი: ერთხელ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და მეორედ თავდაცვის მინისტრის „ხათრით“ — საგარეჯოში. მეორე დანაშაულს კი, ალბათ, „დახმარებაც“ შეიძლება ეწოდოს, როდესაც მთელი დღის შრომით დაღლილ-დაქანცული, არჩევნებს დანატრებული (მისივე სიტყვებით) თავდაცვის მინისტრი საარჩევნო კომისიაში ზის ღამის საათებში და საკუთარი ხელით შეაქვს საარჩევნო ბიულეტენების მონაცემები კომპიუტერში. ასეთი „უანგარო“ დახმარება მხოლოდ უაღრესად დემოკრატიული ქვეყნის თავდაცვის მინისტრს თუ მოუვა თავში. **აფერუმ, ჩვენს თავდაცვის მინისტრს და ორჯერ აფერუმ, ძველი და ახალი ხელისუფლების ხელთ არსებული კომპრომატებით ორივ მხრიდან დაშანტაჟებულ პროკურატურა-სასამართლოს. თუკი ათასობით მოქალაქეს, მათ შორის, მთავრობის წევრებს (ბარამიძისა და უგულავას ჩათვლით) უღებდნენ დასაშანტაჟებელ ვიდეოკადრებს, მოსამართლეებზე, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მასალა ექნებათ შეგროვებული!**

აარონ რუსოს მოჰყავს აშშ-ის ერთ-ერთი ფუძემდებელის, ერის მამად წოდებული **ბენჯამინ ფრანკლინის** საინტერესო შედარება: „დემოკრატია — ეს არის, როცა ორი მგელი და ერთი ცხვარი კენჭს უყრიან, რა მიირთვან სადილად. რესპუბლიკაში კი ცხვარს ექნებოდა თოფი, რათა თავი დაეცვა“, ამიტომ ანიჭებს ფრანკლინი უპირატესობას კონსტიტუციურ რესპუბლიკას, სადაც უმცირესობა დაცულია უმრავლესობის დიქტატისგან.

**ძნელია, ფრანკლინზე უკეთესად და ხატოვნად შეაფასო დემოკრატია! განვლილმა 250 წელმა არ დაუკარგა მას ღრმა შინაარსი და აქტუალურობა. ის, რაც არ მოსწონდათ ამერიკის მამებს მეთვრამეტე საუკუნეში, არ შეიძლება საუკეთესო არჩევანი იყოს ოცდამეერთეში!**

**მსოფლიოზე კონტროლის დამყარება და დეპოპულაცია — ეს ორი რამ არის გაუთავებელი ომების მთავარი მიზანი და არა «განვითარებადად» წოდებულ სახელმწიფოებში დემოკრატიის დამყარება, ეკონომიკური აღმავლობა ან ტერორიზმის დამარცხება! სწორედ ამიტომ არ სრულდება ომები და ტერორისტული აქტები. ამ დასკვნებამდე, საუბედუროდ, მანამდე ვერ მივდივართ (ჩვენც და სხვებიც), სანამ დასავლეთის აგრესიული სამხედრო და ეკონომიკური პოლიტიკით გამოწვეულ ქვეყნის ნგრევა-გაპარტახება-დაშლასა და ერის გადაგვარება-გადაშენება-გამათხოვრებას საკუთარ თავზე არ ვიწვნევთ**

**იაკობ ლეჟავა**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კრიზისი დოლარის ჭარბწარმოებამ კი არ გამოიწვია, არამედ მისმა საყოველთაო „სტერილიზაციამ“. ის ახალი ფულის მასის ბეჭდვის შედეგი კი არ არის, არამედ წინა წლებში უკვე დაბეჭდილი ფულის ზესწრაფი განადგურების. ეს ნიშნავს, რომ კრიზისი ხელქმნილია, არ არის შემთხვევითი და აუცილებელია! ეს არის არსებული სისტემის შენარჩუნების უკანასკნელი მცდელობა: ფულის დაწვა, მისი უდიდესი დეფიციტის შექმნა საბეჭდი დაზგის დაუბრკოლებლად ასამუშავებლად.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-17 (330-346)

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზისი: როგორ კეთდება?

**პლანეტის ყველა მსხვილი „დამბანდებელი“ ამიერიდან ერთ მჭიდშია მოქცეული. დამოუკიდებელი მეგაინვესტორები წარსულს ჩაბარდა. როგორც და სადაც უბრძანებენ ფსს-ის პატრონები, ფულს იმ დროს და იქ დააბანდებენ, ან პირიქით — არ დააბანდებენ, ძალიან მომგებიანიც რომ იყოს მათთვის. ამის ანალოგიურად, აქციების გამოშვების პროცესი მაქსიმალურად მონოპოლიზებულია. შედეგად, მსოფლიოს მთელი ფული ერთ ხელშია თავმოყრილი: ერთი „სარკმელი“ აკავშირებს ამ შესანიშნავ ფინანსურ სამყაროსთან.**

კრიზისის ორგანიზატორებს სწორედ ეს ჰქონდათ ჩაფიქრებული, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი ასე კარგად არ გამოსდით. აშშ-ში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია დამოუკიდებელი საფინანსო ინსტიტუტების პატარ-პატარა კუნძულები.

დადგა დრო, ყურადღებით განვიხილოთ „სითიგრუპის“ შენაძენების ისტორია, რომელმაც კვლავ და კვლავ დაგვანახვა, რომ კრიზისი მის ორგანიზატორებს ძალიან სჭირდებათ, რადგან მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს შტატებში „დღემდე აქვს ადგილი“.

„სითიბანკმა“, რომელიც სიდიდით მესამეა, დრო იხელთა და მოინდომა სიდიდით მეოთხე ბანკის „ვაკოვიას“ შთანთქმა. ამ ბანკის ყიდვა-გაყიდვის ისტორია ნამდვილი დეტექტივივით განვითარდა. იგი (ეს ისტორია) განსაკუთრებით საინტერესოა იმითაც, რომ კიდევ ერთხელ წარმოაჩენს, როგორ ხელიხელჩაკიდებულები მოქმედებენ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა და ფინანსთა სამინისტრო, როგორი მონდომებით ცდილობენ, შეასყიდინონ გარკვეულ ბანკებს ის, რისი ყიდვაც საჭიროდ მიაჩნიათ საფინანსო ბაზრების საბოლოო მონოპოლიზებისთვის.

მაშ — ისტორია:

ბანკი „ვაკოვია“ შეირყა მოძალებულ სირთულეთა გამო. კრიზისის ორგანიზატორების სცენარის მიხედვით, ეს ბანკი უნდა ეყიდა „სითიგრუპს“, მაგრამ მის შეძენას შეეცადა სხვა, არა „მათი“ ბანკი...

„ველ ფარგომ“ ისურვა, შეეძინა ბანკი პარასკევს, წინა დღით ბირჟაზე ვაჭრობის დახურვამდე (თითო აქცია — 10 დოლარად), მაგრამ ითხოვა რამდენიმე დღით გადავადება ვითარების საბოლოოდ შესაფასებლად. და აქ წარმოუდგენელი რამ მოხდა: ფედერალურმა რეზერვმა „ველ ფარგოს“ უარი უთხრა, „ვაკოვიას“ საავრალო სიტუაციის მომიზეზებით — ბანკი ორშაბათამდე „ცოცხალი“ ვერ მიაღწევსო! რატომ? გაურკვეველია, რადგან აქციების 1 დოლარად გაყიდვა ტრაგედია სულაც არ არის, ხოლო დაბალხარისხოიანი იპოთეკური კრედიტები ჯერ კიდევ არ იყო დეფოლტში. ამასთანავე, ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო, ეს როდის მოხდებოდა და — მთავარი! — როგორი მოცულობით. წინასწარი შეფასებით, „ვაკოვიას“ საკრედიტო პორტფელში, რომელშიც 312 მილიარდი დოლარი იდო, დეფოლტი 42 მილიარდს შეეხებოდა. სწორედ ამ ციფრების დაზუსტებას ცდილობდა „ველ ფარგო“.

ფედერალური რეზერვიდან უარის მიღებისთანავე „ველ ფარგომ“ მოლაპარაკება შეწყვიტა და ამ დროს სცენაზე შემოგორდა „სითიგრუპი“... იცით, რა შესთავაზა „სითიგრუპმა“ „ვაკოვიას“? არ დაიჯერებთ, — ერთ აქციაში ერთი დოლარი. ეს შეურაცხმყოფელი შეთავაზება რომ მოისმინა, „ვაკოვიას“ გენერალურმა დირექტორმა **რობერტ სტილმა** ჯერ მეტყველების უნარი დაკარგა, შემდეგ კი ემოციურად შეეცადა უარის თქმას. და დაუყოვნებლივ მიიღო კატეგორიული შეთავაზება სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან: თუ „ვაკოვია“ უარს იტყვის „სითიგრუპის“ შეთავაზებაზე, ორშაბათს ბანკის ყველა აქტივს დაბლოკავს დეპოზიტების დაზოგვის ფედერალური კორპორაცია „ვაკოვიას“ მიერ ეროვნული ეკონომიკისთვის „სისტემური კრიზისის“ შექმნის საბაბით.

შანტაჟი თავისთავად გაუგონარია, მაგრამ თმები ყალყზე დაგიდგებათ, როცა გარიგების დეტალებს შეიტყობთ: „სითიგრუპი“ „ვაკოვიას“ ხელთ იგდებს არა მხოლოდ იმ ფასად, რომელიც ბანკის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ღირებულებაზე გაცილებით იაფია, არამედ სახელმწიფოს, საბოლოო ჯამში — გადასახადების გადამხდელებს გადასცემს „ვაკოვიას“ იპოთეკური კრედიტების კარს მომდგარი დეფოლტით გამოწვეულ რისკებს. „სითიგრუპი“ დიდსულოვნად თანხმდება, „ვაკოვიას“ პორტფელში არსებული 312 მილიარდი დოლარიდან გადაიხადოს 42 მილიარდი დოლარის შესაძლო ზარალი.

ხელისუფლება მხარს უჭერს პრობლემის ამგვარად გადაჭრას, რადგან „შეთანხმება დადებულია ფედერალურ სარეზერვო სისტემასთან აშშ-ის ფინანსთა სამინისტროსთან მოლაპარაკების საფუძველზე“. „სითიგრუპის“ თავხედური და სარისკო ქცევა გასაგებია — მას ზურგს ფინანსთა სამინისტრო და ფსს უმაგრებს, ანუ ბანკირების მიერ პრივატიზებული სახელმწიფო. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ნებისმიერი საეჭვო აქტივის ყიდვა: წაგება გამორიცხულია. ან, ეგებ, რაღაც ვერ გავიგეთ? არა, ყველაფერი გასაგებია, რადგან ზემოთ მოხმობილ შეთანხმებაში სწორედ ასეა ჩაწერილი: **„სითიგრუპი“ გადაიხდის 42 მილიარდი დოლარის ზარალს, ხოლო, თუ დანაკარგი მეტი იქნება, მას ამერიკის ხელისუფლება „დაფარავს“. თუ შენს მხარესაა „საბეჭდი დაზგა“, რომელსაც ფეხქვეშ აქვს გაგდებული სახელმწიფო, წაგება გამორიცხულია.**

„ვაკოვიას“ რეიდერული მიტაცება ჟანრის კანონების მიხედვით ხორციელდება.



**ხომ არ გაგჩენიათ შეკითხვა, რატომ ეშინია ყველა ნაქებ ეკონომისტს უკუპროცესის — დეფლაციის, ანუ ფასების გაიაფების და ფულის გაძვირების პროცესის? იმიტომ, რომ ასეთ სიტუაციაში ახალი ფული საჭირო არ არის, მაშასადამე, აღარც ის საბანკო პირამიდაა საჭირო, რომელიც ჩვენს პლანეტაზე 1913 წლიდან აიგო**

„29 სექტემბერს, ორშაბათს, როგორც მოსალოდნელი იყო გარიგების ანონსის შემდეგ, „ვაკოვიის“ აქციები გაიხსნა 1 დოლარად და 26 ცენტად, ხოლო ვაჭრობის პროცესში თითო აქცია ერთ დოლარამდე გაიაფდა!

**ამ კოშმარში უკეთ გასარკვევად წარმოვიდგინოთ, რომ ვართ „ვაკოვიას“ რიგითი აქციონერი, მოანგარიშე, რომელმაც ბანკში მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში იმუშავა და საპენსიო ასაკის მიღწევამდე მილიონი დოლარი დააგროვა. არა „ცოცხალი“ ფული, არამედ მშობლიური კომპანიის აქციები. და აი, ერთ დღეში ეს მილიონი დოლარი ათასი დოლარი გახდება!**

„ვაკოვიას“ გადარჩენის კეთილშობილურ ჟესტზე საუბრისას „სითიგრუპს“, ეტყობა, დაავიწყდა ის მიზეზი, რომელმაც ფედერალურ რეზერვს უფლება მისცა, უარი ეთქვა „ველ ფარგოსთვის“ პარასკევიდან ორშაბათამდე გადავადების მოთხოვნაზე (რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ). არგუმენტი: ბანკს არ აქვს თავისუფალი სახსრები ორშაბათისთვის საკუთარი ოფისების კარების გასახსნელადაც კი. მაგრამ კაპიტალიზაციის ათჯერადი შემცირების შემდეგაც, ორშაბათს „ვაკოვია“ შესანიშნავად განაგრძობდა ფუნქციობას. მომდევნო მოვლენები ვითარდებოდა ისე, როგორც საუკეთესო დეტექტივს შეეფერება. „ვაკოვიასა“ და „სითიგრუპს“ შორის შეთანხმების ხელმოწერა პარასკევს, 3 ოქტომბერს იყო დაგეგმილი, მაგრამ წინა დღეს, ხუთშაბათს, საღამოს, საბირჟო სესიის დახურვის შემდეგ მსოფლიოში გავრცელდა სენსაციური ცნობა, რომ „ველ ფარგო“ დაუბრუნდა მოლაპარაკების მაგიდას გასაოცარი წინადადებით: „ვაკოვიის“ თითოეული აქციის ყიდვა 7 დოლარად, კომპანიის მთლიანობის შენარჩუნება, მთავრობის სუბსიდიციაზე უარის თქმა! „ველ ფარგოს“ შეთავაზებაში ყველაზე მთავარი იმდენად „სითიგრუპის“ დაწესებული ფასის შვიდგზის გაზრდა კი არ იყო, რამდენადაც „ვაკოვიას“ იპოთეკური კრედიტების ყველა ვალის ნებაყოფლობით გასტუმრების სურვილი. სიხარულის ცრემლებით ღაწვებდასველებული „ვაკოვია“ დაუყოვნებლივ დაეთანხმა „ველ ფარგოს“ პირობებს და ხუთშაბათსვე ხელი მოაწერა საბოლოო შეთანხმებას გაყიდვის შესახებ, რომელიც „სითიგრუპთან“ გარიგების ანალოგიური იყო და რომლის დადებაც მეორე დღეს, პარასკევს, იგეგმებოდა.

თითქოს გაიმარჯვა სამართალმა...

მაგრამ პარასკევს „სითიგრუპმა“ ჰორიზონტები შეაზანზარა კივილით რაღაც „განზრახულობათა ხელშეკრულების“ ვერაგულად დარღვევის შესახებ, რომელიც გარიგების დასადებად ექსკლუზიურ უფლებას „სითიგრუპს“ უტოვებდა, თანაც სასამართლო განხილვით დაემუქრა „ვაკოვიასა“ და „ველ ფარგოს“.

ვის უნდა დაუჭიროს მხარი ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, თუ იგი ნამდვილად ზრუნავს ფინანსური ბაზრის სტაბილურობასა და სახელმწიფოს ინტერესებზე? „სითიგრუპს“, რომელიც კაპიკებად ყიდულობს ბანკის ნაწილს და შესაძლო ზარალს აშშ-ს კისერზე ჩამოჰკიდებს, თუ „ველ ფარგოს“, რომელიც შვიდჯერ უფრო ძვირად ყიდულობს მთელ ბანკს და ზარალის ანაზღაურებას თვითონ კისრულობს? ფსს-სა და ამერიკის ხელისუფლების გადაწყვეტილება აბსურდად მოგვეჩვენება, თუ მხედველობიდან გამოგვრჩება განვითარებული მოვლენის ნამდვილი მიზეზი: „მიუხედავად იმისა, რომ „სითიგრუპსა“ და „ვაკოვიას“ შორის ოფიციალური შეთანხმება ხელმოწერილი არ ყოფილა, ხელისუფლება, ეტყობა, უპირატესობას ანიჭებს სწორედ ამ გარიგებას. დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია „მხარს უჭერს თავდაპირველ ხელშეკრულებას“, — განაცხადა ამ ორგანიზაციის თავმჯდომარემ **შეილა ბეირმა.**

„გარეგნულად ასეთი პოზიცია კოშმარული აბსურდია: ხელისუფლება არ იწონებს 7 დოლარად „ვაკოვიასთვის“ მიყიდვას, სამაგიეროდ მხარს უჭერს გარიგებას ერთ დოლარად, თანაც გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე.

სინამდვილეში ინტრიგა გაცილებით დახვეწილი აღმოჩნდა. შაბათს „სითიგრუპის“ იურისტებმა საწოლიდან წამოაგდეს ნიუ იორკის რაიონული მოსამართლე **ჩარლზ რამოსი**, რომელმაც დროებით შეაჩერა „ვაკოვიასა“ და „ველ ფარგოს“ შორის დადებული ხელშეკრულება განზრახულებათა შესახებ ექსკლუზიურობის პუნქტთან დაკავშირებულ გარემოებათა საბოლოოდ გარკვევამდე, რომელიც „სითიგრუპის“ მიერ იყო ხელმოწერილი. კვირა დღეს ამას საპასუხო დარტყმა მოჰყვა: ზემდგომი სასამართლოს ინსტანციამ გააუქმა რამოსის დადგენილება, ხოლო ჩრდილოეთ კაროლინასა და ნიუ იორკში ერთბაშად დარეგისტრირდა ფედერალური მოსამართლეების ორი შემხვედრი სარჩელი „სითიგრუპის“ წინააღმდეგ“.

„მიუხედავად იმისა, რომ მთელი მომდევნო კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა კამათი მოდავე მხარეებს შორის, აშკარა იყო, რომ ნიუ იორკის ბანკი უკან დაიხევდა. ამ ისტორიას წერტილი ხუთშაბათს, 9 ოქტომბერს დაესვა: „სითიგრუპმა“ ოფიციალურად უარი თქვა „ვაკოვიასთან“ გარიგებაზე და პირობა დადო, რომ ხელს არ შეუშლიდა „ველ ფარგოს“. სახის შესანარჩუნებლად “სითიგრუპმა” ივალდებულა, რომ გაურკვეველ მომავალში ორივე მოღალატეს სასამართლოს მეშვეობით წაართმევდა პირგასამტეხლოს 60 მილიარდი დოლარის ოდენობით“.

ეს ისტორია საჩუქარია ოპტიმისტებისთვის: კრიზისის ორგანიზატორები ვერ შეძლებენ ყველასი და ყველაფრის შესყიდვას. სხვა რა გზა გვაქვს, ვისურვოთ, რომ ასე მოხდეს.

მაგრამ, მოდი, დავუბრუნდეთ ამერიკულ „სასწაულებს“. **აშშ სულ უფრო დიდი რაოდენობითა და სწრაფად განაგრძობს დოლარების ბეჭდვას. აუცილებელი ხდება დო-** ▶

**გადახედეთ ამერიკის მთავარი კრედიტორების სიას: იაპონიამ წააგო მეორე მსოფლიო ომი, რუსეთმა — „ცივი ომი“. ჩინეთმა, რომელმაც აშშ-თან მეგობრობა 1973 წლიდან დაიწყო, 2008 წელს ეკონომიკური რეფორმების 30 წლის იუბილე აღნიშნა. ამ რეფორმებმა მსოფლიო წარმოების ლომის წილი ამ ქვეყანაში გადაიტანა, ძირითადად აშშ-დან და, საერთოდ, დასავლეთიდან. მიღებული ფულის მნიშვნელოვან ნაწილს ჩინელები ამერიკულ ობლიგაციებში დებენ, იმიტომ, რომ სწორედ ეს იყო ძირითადი მოთხოვნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისკენ აშშ-ის შემოსაბრუნებლად. ვინ დარჩა? ინგლისი — შეერთებული შტატების ტყუპისცალი ძმა, ნავთობის მომწოდებელ არაბებს კი თავიანთ ტერიტორიებზე ამერიკული ბაზები აქვთ მოწყობილი.**

გეოსტრატეგი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ლარების მასის რაც შეიძლება მეტად გაზრდა: უმუშევარი მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონის ასანაზღაურებლად, იმ ქვეყნების ცხოვრების დონის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, რომლებმაც დემოკრატია აირჩიეს, ანუ იმ ქვეყნების, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი წიაღისეული მარაგები ან მეზობლობენ ისეთ ქვეყნებთან, რომლებსაც ასეთი რესურსი აქვს.**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აშშ-ს მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელმწიფო ვალი აქვს. დღეს იგი 10,5 ტრილიონ დოლარამდეა. ამერიკა ვალებს სულ უფრო გაზრდილი ოდენობით იღებს.

**პარადოქსია — ფულის საბეჭდი დაზგა თვითონ იხრჩობა ვალებში!**

რით შეიძლება ამის ახსნა? **რაც უფრო მეტ ვალს აძლევთ სხვას, მით უკეთესია თქვენთვის. ეს აშკარაა. მაშ, რატომ უჩნდება ვალი თვითონ აშშ-ს?! განა თქვენ, ვისაც გაქვთ ფულის ბეჭდვის საშუალება, თქვენსავე დაბეჭდილ კუპიურებს სხვისგან ვალად აიღებთ?!**

აშშ თურმე იღებს! ნაცვლად იმისა, რომ დაბეჭდოს, აშშ სესხულობს ამერიკულ დოლარებს: დოლარებშია ნომინირებული აშშ-ის სახელმწიფო ობლიგაციები. ჰოდა, აშშ ძირითადად ჩინეთისგან, რუსეთისგან, იაპონიისგან იღებს ვალს. სწორედ ეს ქვეყნები არის ამერიკის ხელისუფლების სავალო ხელწერილების მთავარი შემსყიდველები. სწორედ სავალო ხელშეკრულებისგან შედგება აშშ-ის სახელმწიფო ვალი. აბსურდის გვირგვინი კი ის არის, რომ შტატები თავისი ობლიგაციების მფლობელებს უხდის პროცენტებს.

**ნუთუ ეს შიზოფრენიაა, რაღაც ბოდვა?! ცხადია, არა. ეს არის საღი ანგარიშიანობა. საკუთარი ქაღალდების აბსურდული სესხების ფორმით წარმოგვიდგება სადაზღვევო მექანიზმი. აშშ-ის სახელმწიფო ვალის გაზრდა ნიშნავს დოლარის ემისიის გაზრდას. რაც უფრო დიდია სახელმწიფო ვალი, მით მეტ დოლარს ბეჭდავს ფსს.**

თუ ფულის საბეჭდი დაზგა სამზარეულოში გიდგას, ფულის ბეჭდვა პრობლემა არ არის. პრობლემა სხვა რამეა — ზედმეტი არ დაბეჭდო: ტირაჟირება მავნებელია. საჭიროა, რაღაც სასწაულებრივი საშუალების გამოყენებით შეინარჩუნო ბალანსი, ანუ დაუშვებელია ფულის ნიშნების ჭარბწარმოება. მაგრამ რას ნიშნავს ეს „ჭარბწარმოება“? ნიშნავს ფულის ღირებულების დაცემას, ინფლაციას. რა თქმა უნდა, ამას სრულად ვერ მოიცილებთ, მაგრამ ლაგმის ამოდება აუცილებელია. თუმცა ინფლაცია თქვენთვის სასარგებლოც კი არის, თუ მხოლოდ ფულის ბეჭდვით ხართ დაკავებული. ყველაფერი ძვირდება — საჭირო ხდება უფრო მეტი და მეტი ფულის ბეჭდვა. **ხომ არ გაგჩენიათ შეკითხვა, რატომ ეშინია ყველა ნაქებ ეკონომისტს უკუპროცესის — დეფლაციის, ანუ ფასების გაიაფების და ფულის გაძვირების პროცესის? იმიტომ, რომ ასეთ სიტუაციაში ახალი ფული საჭირო არ არის, მაშასადამე, აღარც ის საბანკო პირამიდაა საჭირო, რომელიც ჩვენს პლანეტაზე 1913 წლიდან აიგო.**

## მსოფლიოს მარაგები ხელთ რომ იგდეს, თანაც, ქაღალდი გადაიხადეს, ამერიკელებმა ბრწყინვალე ხრიკი განახორციელეს: იბრუნებენ მწვანე ქაღალდს, რომელსაც დოლარი ეწოდება და სანაცვლოდ სხვა ფერის ქაღალდს აძლევენ, რომლის სახელია აშშ-ის სახელმწიფო სახაზინო ობლიგაცია. მაგრამ XXI საუკუნეში ქაღალდის ფორმა რუდიმენტია, ამიტომ კომპიუტერში, გარკვეული რიცხვების ნაცვლად, სხვა რიცხვებს აკრეფენ და აქედან იწყება ვირტუალური პროცენტები...

ამოცანა იოლი არ არის. საჭიროა ფულის ბეჭდვა და მსოფლიო რესურსების კაპიკებად ხელში ჩაგდება, ისე, რომ ჭარბი რაოდენობით არ აწარმოო ფულის ნიშნები. გადაწყვეტილება იპოვეს მარტივი და გენიალური:

**გამოშვებული ფული ვალად უნდა აიღო.**

გარკვეული პროცენტებით, მაგრამ ამისთვის გჭირდებათ იმათი თანხმობა, ვინც თქვენგან უკვე ისესხა თქვენი დაბეჭდილი ფული. დაგთანხმდებიან კი ისინი, დაგიბრუნონ ვალი?

**ამერიკულ ფასიან ქაღალდებს ყიდულობენ კერძო ინვესტორები, საპენსიო ფონდები, ბანკები, კორპორაციები, მაგრამ ძირითადად — სხვა სახელმწიფოები. ამერიკას ყველაზე დიდი ვალი ჩინეთისა და იაპონიისა აქვს — ტრილიონზე მეტი. აზიური ქვეყნები საქონელს საზღვარგარეთ ტრადიციულად დოლარებზე ყიდიან. სავალო გადასახადის უდიდეს მარაგს ინახავენ აშშ-ის სავალო ვალდებულებებშიც. კრედიტორ ქვეყნებს შორის ინგლისი, ბრაზილია და ნავთობის ექსპორტიორი სახელმწიფოებია.**

„ჩინეთის სახალხო ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, ქვეყნის სავალუტო მარაგმა გადალახა 1,9 ტრილიონი აშშ დოლარის ზღურბლი და 1,905 ტრილიონს მიაღწია“.

„2001 წლის ბოლოდან 2007 წლის მარტამდე ჩინეთმა და იაპონიამ დააგროვა 1,5 ტრილიონის ვალი უცხოურ ვალუტაში, რომლის 4/5 დოლარის ვალდებულებაა, ანუ აშშ სახაზინო ობლიგაციებია.

გამოდის, რომ ვალის აღებაზე თანახმანი არიან. **გადახედეთ ამერიკის მთავარი კრედიტორების სიას: იაპონიამ წააგო მეორე მსოფლიო ომი, რუსეთმა — „ცივი ომი“. ჩინეთმა, რომელმაც აშშ-სთან მეგობრობა 1973 წლიდან დაიწყო, 2008 წელს ეკონომიკური რეფორმების 30 წლის იუბილე აღნიშნა. ამ რეფორმებმა მსოფლიო წარმოების ლომის წილი ამ ქვეყანაში გადაიტანა. ძირითადად აშშ-დან და, საერთოდ, დასავლეთიდან. მიღებული ფულის მნიშვნელოვან ნაწილს ჩინელები ამერიკულ ობლიგაციებში დებენ, იმიტომ, რომ სწორედ ეს იყო ძირითადი მოთხოვნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისკენ აშშ-ის შემოსაბრუნებლად. ვინ დარჩა? ინგლისი — შეერთებული შტატების ტყუპისცალი ძმა, ხოლო ნავთობის მომწოდებელ არაბებს თავიანთ ტერიტორიებზე ამერიკული ბაზები აქვთ მოწყობილი.**



მსოფლიო ასპარეზზე მოხდა ის, რაც აშშ-ში მოსახლეობისგან ოქროს ამოღების დროს პრეზიდენტმა **რუზველტმა** განახორციელა. მაშინ ამერიკელებმა ქაღალდების დაგროვება დაიწყეს, დღეს იმავეს აკეთებენ სახელმწიფოები, რომლებსაც ოქროსა და ვალუტის რეზერვები საერთოდ არ აქვთ, მხოლოდ სათქმელად აქვთ, მაგრამ ნუ წარმოიდგენთ, რომ ეს ნიშნავს „ბანკნოტების მუთაქებში“ შენახვას. არც ვალუტაა — მხოლოდ ობლიგაციებია. ლომის წილი — ამერიკული ობლიგაციებია. თანაც, მაინცდამაინც, ქაღალდის არა. კომპიუტერული, ელექტრონული.

**მსოფლიო მარაგები ხელთ რომ იგდეს, თანაც, ქაღალდი გადაიხადეს, ამერიკელებმა ბრწყინვალე ხრიკი განახორციელეს: იბრუნებენ მწვანე ქაღალდს, რომელსაც დოლარები ეწოდება და სანაცვლოდ სხვა ფერის ქაღალდს აძლევენ, რომლის სახელია აშშ-ის სახელმწიფო სახაზინო ობლიგაცია. მაგრამ XXI საუკუნეში ქაღალდის ფორმა რუდიმენტია. ამიტომ კომპიუტერში გარკვეული რიცხვების ნაცვლად სხვა რიცხვებს აკრეფენ და აქედან იწყება ვირტუალური პროცენტები...**

შედეგად რესურსები მიღებულია, ხოლო ფსს-ის მიერ გამოშვებული დოლარების ნაწილი — სტერილიზებული. მკვდარ ტვირთად დევს, პატრონებისთვის არავითარი სიკეთის მომტანი არ არის. პროცენტები? ეს სასაცილოც არ არის. რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი ნულია მიწერილი ამერიკის სახელმწიფო კომპიუტერში „ჩინეთის“ ან „რუსეთის“ სტრიქონების გასწვრივ? როცა საკითხი ეხება მილიარდებსა და ტრილიონებს, პროცენტების მილიონებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. აშშ-ის სახელმწიფო ვალი კი გაიზარდა ზუსტად „გაუვნებელი“ დოლარების ოდენობით.

ლამაზია და ელეგანტური. პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ ამ ვალის ჯამი ასტრონომიულ სიდიდემდე გაიზარდა. **აშშ-ის შეუძლია დაბეჭდოს იმდენი ფული, რამდენიც სურს. მათი (შტატების) ვალის ზრდა ირიბად გვიჩვენებს, რამდენი ფული ჩამობეჭდეს. რატომ ირიბად და არა პირდაპირ? იმიტომ, რომ სახელმწიფო ვალის (ობლიგაციების) ოდენობის ზრდა დოლარების გაუვნებლობის მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა. სხვა საშუალებანი ჩვენთვის კარგადაა ცნობილი: უძრავი ქონება და საბაზრო აქციები. სწორედ იქ ილექება დაბეჭდილი ფული. ილექება ნებაყოფლობით.** ბანკირებს შესანიშნავად ესმით ადამიანების ბუნება. რასა იქმს ფულის მფლობელი: წამოიწყებს საქმეს, ქარხნის მშენებლობას, შეუდგება პროდუქციის გამოშვებას ან იყიდის აქციებს — მოგებას მიიღებს არაფრის კეთებისგან. ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა მარტივ ვარიანტს ირჩევს და გარკვეული დროის შემდეგ კარგავს თავის ფულს!

რა სჭირდება „საბეჭდი დაზგის“ პატრონს, კვლავ მთელი ძალით რომ აამუშაოს ეს დანადგარი? — უნდა დაწვას, მოსპოს ადრე გამოშვებული ფულადი მასა. რაც უფრო მეტი იქნება, უკეთესია. ფსს-ის მიერ დაბეჭდილი ფული საზოგადოებრივ სივრცეშია გამოტანილი და მას ვიღაც სხვა ეუფლება. ეს ვიღაც ამ ფულს უფასოდ ვერ მიიღებს, მხოლოდ მას შემდეგ იგდებს ხელთ, როცა რამეს გაყიდის. ასე ნაშოვნი ფული ჩადო ბანკის აქციებში და იყიდა სახლი. ჰქონდა მილიონი დოლარი: ნახევარი ჩადო აქციებში, მეორე ნახევრით იყიდა სახლი. იწყება კრიზისი; აქციები ახლა ღირს არა 500 ათასი დოლარი, არამედ — 50 ათასი; სახლი 500 ათასის ნაცვლად 250 ათას დოლარამდე გაიაფდა.

**დასასრულ: ერთი მილიონი დოლარის ნაცვლად დარჩა 300 ათასი დოლარი. დანარჩენი 700 ათასი აორთქლდა.**

ახლა კი წარმოიდგინეთ იგივე პროცესი მთელი პლანეტის მასშტაბით. რამდენი ფული დაიწვება, რამდენი გაქრება? ათობით და ასობით ტრილიონი დოლარი, ფუნტი და ევრო. ზუსტად დათვლა შეუძლებელია. ყოველდღე ვკითხულობთ გაზეთებსა და ინტერნეტში ასეთ ცნობებს:

„გერმანიის უდიდესმა ბანკმა **„დოიჩე ბანკმა“** 2008 წლის მეოთხე კვარტაში 4,8 მილიარდი ევრო იზარალა. 2007 წლის ანალოგიურ პერიოდში კომპანიამ „იშოვა“ ერთი მილიარდი ევრო“.

„2008 წელს **„როიალ ბანკ ოფ სკოტლანდის“** ზარალმა 28 მილიარდ ფუნტს შეიძლება გადაამეტოს“.

„აშშ-ის უმსხვილესმა ბანკმა **„სითიგრუპმა“** განაცხადა, რომ 2008 წლის პირველ კვარტალში სუფთა ზარალმა 5,11 მილიარდი დოლარი შეადგინა“.

„შვეიცარიის უმსხვილესმა ბანკმა **UBS**-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ 2008 წლის მეორე კვარტალში 358 მილიონი შვეიცარული ფრანკის (221 მილიონი ევრო, ანუ 329 მილიონი აშშ დოლარი) ზარალი განიცადა და ჩამოწერა 5,1 მილიარდი დოლარი კრედიტების მაღალსარისკო პოზიციის მიზეზით“.

თუ კრიზისის თავდაპირველი მიზანი აქტივების შესყიდვა იყო, მეორე მიზანი ფულადი მასის დაწვაა საბანკო სფეროში სირთულეთა, გაკოტრების და ჩამოწერების პროვოცირებით.

პირველის შეუსრულებლად მეორის განხორციელება გაცილებით ძნელია. თუ ყველა საფინანსო ინსტიტუტი კონტროლირებადი იქნება, გაიოლდება მისი „გაჯანსაღების“ გეგმური პროცესის განხორციელება.

ესაა უმნიშვნელოვანესი მომენტი: მიაჩნიათ, რომ კრიზისი გამოიწვია დოლარის ჭარბწარმოებამ. გამოდის, რომ კრიზისი რაღაც დასანანი შემთხვევითობის ბრალია, რომელიც კაცობრიობაზე შტატების პარაზიტებით გაჩნდა.

ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.

სინამდვილეში **კრიზისი დოლარის ჭარბწარმოებამ კი არ გამოიწვია, არამედ მისმა საყოველთაო „სტერილიზაციამ“. ეს ახალი ფულის მასის ბეჭდვის შედეგი კი არ არის, არამედ წინა წლებში უკვე დაბეჭდილი ფულის ზესწრაფი განადგურების შედეგი.**

ეს ნიშნავს, რომ კრიზისი ხელქმნილია, არ არის შემთხვევითი და აუცილებელია! ეს არის არსებული სისტემის შენარჩუნების უკანასკნელი მცდელობა: ფულის დაწვა, მისი უდიდესი დეფიციტის შექმნა საბეჭდი დაზგის დაუბრკოლებლად ასამუშავებლად.

ეკონომიკური ასპექტებით ყველაფერი არ ამოიწურება. კრიზისის მეშვეობით მისი ორგანიზატორები წყვეტენ არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ამოცანებსაც.

დადგა დრო მათზე საუბრის.

**გაგრძელება იქნება**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რიჩარდ ბრენსონი, „მაიკროსოფტის“ თანადამფუძნებელ პოლ ალენთან ერთად, პროექტ VIRGIN GALACTIC-ზე მუშაობს, რომლის ფარგლებში აშენებული კოსმოსური სადგური უახლოეს მომავალში კოსმოსში ნებისმიერი მსურველის „სასაცილო ფასად“ გაგზავნას შეძლებს.**

# ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს სამყარო

**ახლა ძნელი წარმოსადგენია, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ისეთი რაღაცების გარეშე, დღეს ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს რომ შეადგენს. აი ტოპათეული იმ ადამიანებისა, რომელთა წვლილი ამ მხრივ თანამედროვე ცხოვრებაში უდავოდ დიდია.**



**თომას ედისონი** (1847-1931). მან თავისი ცხოვრების განმავლობაში უამრავი სხვადასხვა გამოგონება დააპატენტა. მისი გამომგონებლური კარიერა იწყება ნიუ ჯერსის შტატში, სადაც ტელეგრაფის მოწყობილობებზე მუშაობდა, თუმცა სახალხო აღიარება ფონოგრაფის შექმნამ მოუტანა 1877 წელს. ედისონმა, ასევე, დახვეწა ჩვეულებრივი შუშის ნათურა და 1880-იან წლებში პირველი ექსპერიმენტიც ჩაატარა. მისმა შექმნილმა მოდელმა ცამეტ-ნახევარ საათს იმუშავა. ამან ედისონს უბიძგა, განეგრძო ცდები და მოგვიანებით პატენტიც მიეღო. **მისტერ ედისონმა თავისი გამომგონებლური კარიერის განმავლობაში 1093 პატენტის მოპოვება შეძლო.** ამ მხრივ ის რეკორდსმენი გახლდათ.

ალსანიშნავია, რომ დღეს არსებული ერთ-ერთი დიდი კორპორაცია General Electric-ი სწორედ მისი დაარსებულია.



**რიჩარდ ბრენსონი** (დაიბადა 1950წელს). ის არის დამფუძნებელი კორპორაციისა Virgin Group. ის „მაიკროსოფტის“ თანადამფუძნებელ პოლ ალენთან ერთად, პროექტ Virgin Galactic-ზე მუშაობს, რომლის ფარგლებში აშენებული კოსმოსური სადგური უახლოეს მომავალში კოსმოსში ნებისმიერი მსურველის „სასაცილო ფასად“ გაგ ზავნას შეძლებს. რიჩარდ ბრენსონის ახალი წამოწყებით დაინტრიგებული მსოფლიო საზოგადოება ამჯერადაც მოუთმენლად ელის იმის გაგებას, რა გამოუვა თავისი უზარმაზარი ბიზნესით ჯერაც ბავშვივით მოთამაშე დაუდეგარ ბიზნესმენს.



**ჯორჯ ლუკასი** (დაიბადა 1944 წელს) — ამერიკელი პროდიუსერი, სცენარისტი და რეჟისორი, „ვარსკვლავური ომებისა“ და „ინდიანა ჯოუნსის“ ავტორი. ლუკასი კომერციულად ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რეჟისორია მსოფლიოში.



**ჰაინრიხ რუდოლფ ჰერცი** (1857-1894). ჰერცმა 1886-1889 წლებში ექსპერიმენტებით დაამტკიცა ელექტრომაგნიტური ტალღების არსებობა და გამოიკვლია მათი თვისებები (სარკიდან არეკვლა, გარდატეხა პრიზმებში და ა. შ.). ელექტრომაგნიტურ ტალღებს ჰერცი იღებდა თავისი გამოგონებული ვიბრატორით. ჰერცმა ექსპერიმენტულად დაადასტურა მაქსველის თეორიის დასკვნა იმის შესახებ, რომ ჰაერში ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელების სიჩქარე ტოლია სინათლის სიჩქარისა, დაადგინა ელექტრომაგნიტური და სინათლის ტალღების თვისებათა იგივეობა; შეისწავლა, აგრეთვე, გამტარში ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელება და აჩვენა მათი გავრცელების სიჩქარის გაზომვის წესი. 1887-1889 წლებში ჰერცი პირველი დააკვირდა ფოტოეფექტს და აღწერა იგი. დაამუშავა რეზონანსული კონტურის თეორია, შეისწავლა კათოდური სხივების თვისება და სხვ. წიგნში, რომელსაც „მექანიკის პრინციპები“ (1894) ეწოდება, ერთიანი პრინციპიდან (რომელსაც ჰერცის პრინციპი ეწოდება) გამომდინარე, გამოიყვანა მექანიკის ზოგადი თეორემები (უმცირესი სიმრუდის პრინციპი). ჰერცის სახელი უწოდეს რხევის სიხშირის ერთეულს.

ჰერცის შრომებმა განაპირობა უმავთულო ტელეგრაფიის, რადიოკავშირის, ტელევიზიის, რადიოლოკაციისა და სხვ. დარგების შექმნა.



**ფრენკ ლოიდ რაიტი** (1867-1959) იყო XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ამერიკელი ნოვატორი დასავლურ არქიტექტურაში, ორგანული არქიტექტურის ფუძემდებელი, 700-ზე მეტი ნეგებობისა და ასობით პროექტისა და თეორიული ნაშრომის ავტორი. რამდენიმე წელი რაიტი იაპონიაში მოღვაწეობდა. ტოკიოში ააშენა სასტუმრო „იმპერიალი“ (1916-1922). მშენებლობაში გამოყენებულმა მთიანმა კონსტრუქციულმა სტრუქტურებმა ამ შენობას სიმყარე მიანიჭა და 1923 წელს მან კატასტროფულ მიწისძვრას გაუძლო.



**შირო ნაკამურა** (დაიბადა 1950წელს) კორპორაცია Nissan Motor Co., Ltd-ის მთავარი ვიცეპრეზიდენტია, 2006 წლიდან კი მისი კრეატიული დირექტორიც. სწორედ შირო აკონტროლებს Nissan-ის, Infiniti-ს და Datsun-ის პროდუქციას, რომელთა დიზაინსა და ტექნოლოგიებზე აკეთებს სწორებას ევროპისა და ამერიკის ავტოპრომების უმეტესობა.





**ძმები უილბურ** (1867-1912) და **ორვილ** (1871-1948) **რაიტები** — ორი ამერიკელი ძმა, გამომგონებლები, ავიაციის პიონერები, რომლებიც ცნობილნი არიან მსოფლიოში პირველი წარმატებული აეროპლანის შექმნითა და მსოფლიოში პირველად ადამიანის მიერ მართული, ძრავიანი და ჰაერზე მძიმე აპარატით ფრენით 1903 წლის 17 დეკემბერს. 1905-დან 1907 წლამდე რაიტებმა განავითარეს „მფრინავი მანქანა“ (აეროპლანი) პირველ პრაქტიკულ უძრავფრთიან თვითმფრინავამდე. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო ექსპერიმენტული თვითმფრინავების შექმნისა და ფრენის პირველი მცდელობა, ძმები რაიტები იყვნენ პირველები, რომლებმაც გამოიგონეს თვითმფრინავის კონტროლის სისტემა, რომელმაც ფრენის საშუალება მისცა უძრავფრთიან ძრავიან თვითმფრინავებს.

**სტივენ პოლ ჯობსი** (1955-2011) — კომპიუტერული ინდუსტრიის წამყვანი ფიგურა და გამომგონებელი. დააფუძნა კომპანია Apple, სტივმა მსოფლიოს მისცა ისეთი ახალგაზრდული გაჯეტები, როგორიცაა Ipod, Iphone, iPad და Itunes.



ის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც კომერციული პოტენციალი დაინახა გრაფიკულ სამომხმარებლო ინტერფეისსა და თაგუნაში, რომელიც ქსეროქსის პალო-ალტოს კვლევით ცენტრში დამუშავდა, და შემოიტანა ეს ინოვაციები „ეპლ მაკინტოშის“ კომპიუტერებში.



**ალექსანდრე ფლემინგი** (1881-1955), რომელმაც 1922 წელს აღმოაჩინა **ლიზოციმი**, ხოლო 1929 წელს სრულიად შემთხვევით — **პენიცილინი**. მის ამ აღმოჩენას მეცნიერთა უმრავლესობა სკეპტიკურად შეხვდა, მაგრამ ფლემინგმა მთელი რიგი ექსპერიმენტების საშუალებით შეძლო დაემტკიცებინა, რომ ეს ანტიბიოტიკი, გაზავებულიც კი, უამრავ ბაქტერიას სპობს. მეცნიერის შრომები ბევრ საკითხში შოკისმომგვრელი იყო და მედიცინაში ახალი სიტყვა თქვა.



**პიერპაოლო პეტრუზიელო** — ცნობილი იტალიელი, რომელიც მოტოციკლით ავარიაში მოჰყვა და დაკარგა მარცხენა ხელი. პეტრუზიელომ მისნაირ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს მთელ მსოფლიოში ჩაუსახა იმედი, რომ ბიომექანიკური პროტეზის მართვას თავის ტვინის სიგნალებით შეძლებდნენ. ამ ექსპერიმენტს პიერპაოლომ 2001 წელს ერთთვიანი მძიმე შრომა შეალია. მას ყოველდღიური თავდაუზოგავი ვარჯიში უწევდა და შედეგმაც არ დააყოვნა. დღეს უამრავ ადამიანს შეუძლია, პიერპაოლოს წყალობით, სრულფასოვანი ცხოვრებით იცხოვროს.

ის ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად 2 ფინჯან ყავას სვამენ, 44%-ით ნაკლებად ავადდებიან ციროზით, ხოლო ვინც 4 ფინჯანს მიირთმევს — 65%-ით. შეგახსენებთ, რომ ყოველწლიურად ამ განუკურნელი დაავადებით მსოფლიოში მილიონი ადამიანი იღუპება.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა

## 2029 წლიდან ადამიანები უკვდავები გახდებიან



**კარგა ხანია, მეცნიერები მუშაობენ ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებაზე, მაგრამ კითხვა — ბოლოს და ბოლოს, როდის შეძლებს ადამიანი, გახდეს უკვდავი? — უპასუხოდ რჩებოდა.**

მსოფლიოს ერთ-ერთმა გავლენიანმა ფუტუროლოგმა **რეი კურცვეილმა** ახლახან ოფიციალურად განაცხადა, რომ 2029 წლიდან მეცნიერება და მედიცინა იმ დონეზე იქნება, რომ შესაძლებელი გახდება ადამიანის სიცოცხლის განუსაზღვრელი ვადით გახანგრძლივება.

რეიმონდ კურცვეილი დაიბადა ნიუ იორკში 1948 წელს. ბავშვობიდან ოცნებობდა გამომგონებლობაზე. 15 წლისამ დაწერა თავისი პირველი კომპიუტერული პროგრამა. 1970 წელს დაამთავრა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, ხოლო 1974 წელს გახსნა საკუთარი კომპანია, რომელიც მუშაობდა მეტყველების ამოცნობის ტექნოლოგიაზე. პერსპექტიულმა ბიზნესმა კურცვეილი მილიონერად აქცია.

რეი საკმაოდ ჭკვიანი ადამიანია და საინტერესო პროგნოზებით გამუდმებით გვახსენებს, რომ ყველაზე საინტერესო დროს ვცხოვრობთ ისტორიაში.

გავიხსენოთ მისი ის პროგნოზები, რომლებიც უკვე ახდა:

**1990 წელს მან თქვა**, რომ კომპიუტერი 1998 წელს დაამარცხებდა მსოფლიო ჩემპიონს ჭადრაკში. 1997 წელს Deep Blue (IBM)-მ კასპაროვი დაამარცხა;

*რომ პერსონალური კომპიუტერები 2010 წელს შეძლებდნენ კითხვებზე პასუხების გაცემას უკაბელო ინტერნეტკავშირის გამოყენებით. როგორც ხედავთ, ის მართალი აღმოჩნდა;

*რომ 21-ე საუკუნის დასაწყისში ეგზოჩონჩხები ინვალიდებს სიარულის საშუალებას მისცემდნენ. Ekso Bionics-ის მსგავსი კომპანიები მუშაობენ და უკვე შექმნეს ტექნოლოგიები, რომლებიც აღნიშნულის საშუალებას იძლევა.

**1999 წელს მან თქვა**, რომ 2009 წელს კომპიუტერული დისპლეები სათვალეებში ჩაიდგმება, ასეთი დისპლეი 2009 წლამდეც იქმნებოდა, მაგრამ Google-მა Google Glass-ის გამოცდები 2011 წელს დაიწყო, თუმცა მისი პროექტი, შეიძლება ითქვას, ჩავარდა.

**2005 წელს მან თქვა**, რომ 2010 წლისთვის ვირტუალური გადაწყვეტილებები მოგვცემდნენ ენების თარგმნის შესაძლებლობას რეალურ დროში. შეიძლება ითქვას, რომ Microsoft (Skype Translate)-მა და Google (Translate)-მა უკვე შეძლეს ეს...

ეს მხოლოდ რამდენიმე პროგნოზია. მიუხედავად იმისა, რომ კურცვეილი გარკვეულ დეტალებში შეცდა, მისი სიზუსტე მაინც გაკვირვებას იწვევს.

მომავლის პროგნოზები კი ასეთია:

2020 წლის ბოლოს სათვალე გამოსახულების პროეცირებას თვალის გუგებზე შეძლებს; ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ავადმყოფობის უმრავლესობა გაქრება, ვინაიდან ნანორობოტები „დაჭკვიანდებიან“; ადამიანის ნორმალური კვების ჩანაცვლება ნანოსისტემებით მოხდება; თვითმართვადი მანქანები ქუჩებს აავსებენ და ადამიანებს აუკრძალავენ ავტომაგისტრალებზე დამოუკიდებლად გადაადგილებას და ა.შ.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ის პროგნოზია, რომელიც **ადამიანის უკვდავებას** წინასწარმეტყველებს.

ფუტუროლოგის აზრით, 2029 წლისთვის მედიცინა ისე განვითარდება, რომ ადამიანებს აღარ მოუწევთ დარდი წუთისოფლის ხანმოკლეობაზე.

რა თქმა უნდა, ყველას გვინდა, გვჯეროდეს, რომ მეცნიერი მართალს ამბობს, მაგრამ, ბუნებრივია, უკვდავება არაერთ პრობლემურ კითხვას აჩენს, მათ შორის, მოსახლეობით პლანეტის გადავსებაზე, საკვების უკმარისობაზე და ა.შ.

უმრავლესობას არ გვესმის ფუტუროლოგების პროგნოზებისა, რადგან ტექნოლოგიების განვითარების საწყის ეტაპებზე მათ შეცდომაში შევყავართ. პირველ რიგში, ჩვენ ვხედავთ მათ, როგორც დამანგრეველს — დიდი კომპანიები განადგურდნენ ტექნოლოგიური მიღწევებით. თითოეული ტექნოლოგია გადის პროდუქტებზე წვდომის დემონეტიზაციისა და დემოკრატიზაციის გზას.

დღეს ზუსტად ეს ტექნოლოგიები უდევს საფუძვლად მრავალმილიარდიან კომპანიებს და ეს ტექნოლოგიები მოქმედებს მილიარდობით ადამიანის სიცოცხლეზე.

# ყავა — ორსულობის შეწყვეტის მიზეზი?

**ის ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად 2 ფინჯან ყავას სვამენ, 44%-ით ნაკლებად ავადდებიან ციროზით, ხოლო ვინც 4 ფინჯანს მიირთმევს — 65%-ით. შეგახსენებთ, რომ ყოველწლიურად ამ განუკურნელი დაავადებით მსოფლიოში მილიონი ადამიანი იღუპება. ციროზის მიზეზი, ალკოჰოლიზმის გარდა, როგორც წესი, არის ჰეპატიტი და იმუნიტეტთან დაკავშირებული დაავადება.**



ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ყავა ნეგატიურად მოქმედებს ორსულობაზე. მათი აზრით, თუ ქალი ან მისი პარტნიორი მამაკაცი ჩასახვამდე ორ ან მეტ ფინჯან ყავას სვამენ ყოველდღიურად, ეს ორსულობის პირველ პერიოდში მუცლის მოშლის რისკს ზრდის.

**აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობისთვის მეცნიერებმა 344 წყვილი მოიწვიეს. მომავალ დედას და მამას ყოველდღიურად უნდა ჩაეწერათ, მოწიეს თუ არა სიგარეტი, თუ დალიეს ყავა, მიიღეს ალკოჰოლი ან მულტივიტამინები.**

**ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ორსულობის 28% მუცლის მოშლით დასრულდა; იმ წყვილს, რომელიც ყოველდღიურად ყავის შემცველ სასმელს იღებდა, მუცლის მოშლის რისკი 70%-მდე გაეზარდა. ოჰაიოს უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ასევე გაარკვიეს, რომ იმ ქალებისთვის, რომლებიც ჩასახვამდე პოლივიტამინებს იღებდნენ, მუცლის მოშლის საშიშროება 55 %-მდე დავიდა.**

კვლევითი სამუშაოების ხელმძღვანელმა, დოქტორმა **ჟერმენ ბაკ ლუიმ** აღნიშნა, რომ წყვილმა, რომელიც შვილის გაჩენას აპირებს, უნდა გაითვალისწინოს ეს და თავი შეიკავოს ყავის სმისგან. ამ მხრივ რისკის კოეფიციენტმა ქალებისთვის 1,74 შეადგინა, მამაკაცებისთვის კი — 1,73.

მსგავსი კვლევა ინგლისელმა მეცნიერებმაც ჩაატარეს, რომელმაც გააბათილა ამერიკელთა დასკვნები. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთი რამის თქმა შეიძლება მხოლოდ — რაკი ამ საკითხზე მეცნიერები ვერ შეჯერდნენ, უმჯობესია, შვილის გაჩენის მსურველმა მშობლებმა ყავა ზომიერად მიირთვან.

ამერიკელი მეცნიერები იმასაც გვეუბნებიან, რომ ის, ვინც ხშირად სვამს ყავას და პერიოდულად იღებს ალკოჰოლს, ნაკლები რისკი აქვს, დაავადდეს ღვიძლის ციროზით. სტენფორდის უნივერსიტეტის მეცნიერების აზრით, ყავა სასარგებლოა ღვიძლისთვის, რომელიც პერიოდულად ალკოჰოლით იტვირთება. დღეში რამდენიმე ფინჯანი ყავის დალევით ადამიანი ამცირებს ალკოჰოლით ღვიძლის დაავადების რისკს.

პროექტის ფარგლებში მეცნიერებმა 430 ათასი მოხალისე გამოიკვლიეს და საინტერესო დასკვნები გამოიტანეს.

ის ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად 2 ფინჯან ყავას სვამენ, 44%-ით ნაკლებად ავადდებიან ციროზით, ხოლო ვინც 4 ფინჯანს მიირთმევს — 65%-ით. შეგახსენებთ, რომ ყოველწლიურად ამ განუკურნელი დაავადებით მსოფლიოში მილიონი ადამიანი იღუპება. ციროზის მიზეზი, ალკოჰოლიზმის გარდა, როგორც წესი, არის ჰეპატიტი და იმუნიტეტთან დაკავშირებული დაავადება.

როგორც ვხედავთ, ყავის დალევის თაობაზე გაცხარებული კამათია. ზოგი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ყავის ზომიერი მიღება ამცირებს კიბოს, შაქრიანი დიაბეტის რისკს; ზოგიერთი კი ამტკიცებს, რომ ყავა უარყოფითად მოქმედებს გულზე, მაღლა წევს წნევას და ა.შ.

რომელს დავუჯეროთ? — საკმაოდ რთული შეკითხვაა. საბედნიეროდ, მეცნიერება ვითარდება და ერთხელაც ზუსტად გვეტყვიან — ყავა სასარგებლო უფროა თუ მავნე.

# ტიტული «პირველი ცხოველი დედამიწაზე» ზღვის უბრალო ბინადარს ეკუთვნის

**პირველი ცხოველი, რომელიც გაჩნდა დედამიწაზე, უბრალო ზღვის ღრუბელი იყო. ახალმა გენეტიკურმა კვლევებმა დაამტკიცა, რომ სწორედ ზღვის ღრუბლები იპოვეს გაქვავებული კლდეებში, რომლებიც 640 მლნ წლისაა.**

ეს კლდეები „კემბრიუმამდელი აფეთქების“ პერიოდისაა (დედამიწის ისტორიაში ეს არის უძველესი პერიოდი — 570-დან 500 მლნ წლის წინათ). სავარაუდოდ, ზღვის ღრუბლები იყვნენ პირველი ცხოველები დედამიწაზე.

პალეონტოლოგებმა გათხარეს 540 მლნ წლისწინანდელი გაქვავებული ადგილები. შედეგად ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ თანამედროვე ცხოველები ერთბაშად შემოიჭრნენ დედამიწაზე და დროის საკმაოდ მოკლე მონაკვეთში გარდაიქმნენ ერთუჯრედიანი ორგანიზმებიდან რთულ, მრავალუჯრედიან ცხოველებად.

გაქვავებული ცხოველების ნაშთები, რომლებიც განეკუთვნება „კემბრიუმამდელი აფეთქების“ პერიოდს, უცნაურია ბევრი რამით: რთული გასარკვევი იყო, ცხოველთა რომელ ტიპს ეკუთვნოდნენ ისინი, ამიტომ მეცნიერებმა მათი გენები 30 ორგანიზმის გენებს შეადარეს.

„ჩვენ გავაერთიანეთ პალეონტოლოგიური და გენეტიკური მტკიცებულებები, რათა დაგვედო საკმაოდ უტყუარი დასკვნა იმისა, რომ ეს ნამდ-



ვილად გაქვავებული ღრუბლებია, — ამბობს დევიდ გოლდი, — ეს დედამიწაზე ცხოველთა სიცოცხლის ყველაზე ძველი მტკიცებულებაა“.

გენების შედარებისას ზღვის ღრუბლებსა და წყალმცენარეებს მსგავსი გენებიც აღმოაჩნდათ.

ამგვარად, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, მეცნიერებმა წინ წამოსწიეს ვერსია, რომ სწორედ ზღვის ფსკერზე მობინადრე ღრუბლები წარმოადგენდნენ უძველეს ცხოველებს დედამიწაზე.

კვლევის შედეგები დამაჯერებელი მტკიცებულებაა იმისა, რომ ზღვის ღრუბლები დედამიწაზე 640 მლნ წლის წინათ გაჩნდნენ, ანუ სიცოცხლის ნებისმიერ ფორმაზე ადრე.

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «ხუმრობა პოლიციელისადმი»

ეს ძეგლი ბრუსელშია (ბელგია) და გამვლელ-გამომვლელთ მხიარულ განწყობას უქმნის.



## ძეგლები, რომლებიც გვაოცებენ

მსოფლიოს ყოველ ქალაქს აქვს თავისი სიმბოლური ნიშანი, ძეგლი, რომელიც როგორც მოქალაქეთა, ასევე ათასობით ტურისტის ყურადღებას იპყრობს.



„დაკიდული კაცი“ — ზიგმუნდ ფროიდის ძეგლი პრაღაში (ჩეხეთი). ამ უნიკალური სკულპტურული ნამუშევრის ავტორია მსოფლიოში ცნობილი ჩეხი სკულპტორ-პროვოკატორი დეივიდ ჩერნი.



* „კიბე ცაში“ (ბონდი, ავსტრალია), რომლის ავტორია დეივიდ მაკ-კრაკენი. ეს არის ალუმინის უამრავი საფეხურით შექმნილი „უსასრულო გზა“ ცისკენ



* მუსტანგები, სკულპტურა-შადრევანი ლას კოლინასში (ტეხასის შტატი, აშშ). ეს არის ცხენების ერთ-ერთი ყველაზე დიდი სკულპტურული ჯგუფი მსოფლიოში.



* ფეხსაცმელი დუნაის ნაპირზე (ბუდაპეშტი, უნგრეთი) ხოლოკოსტის მსხვერპლთათვის მიძღვნილი სკულპტურული კომპოზიციაა.

## რეგენერაციას ხვლიკისგან ვსწავლობთ

**ყველამ ვიცით, თუ ხვლიკს კუდში წავავლებთ ხელს, მას შეუძლია კუდი ხელში შეგვატოვოს და თავს უშველოს. დღემდე მაინცდამაინც ბოლომდე ნათელი არ იყო, როგორ ახერხებენ ხვლიკები ახალი კუდის გაზრდას.**



რეგენერაცია არის სხეულის დაკარგული ან დასახიჩრებული ნაწილის აღდგენა. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მედიცინაში. ამერიკელმა მეცნიერებმა ახლახან ჩატარებული კვლევის შედეგები ჟურნალ BMC Genomics-ში გამოაქვეყნეს. მათ ხვლიკის ორგანიზმში აღმოაჩინეს **პეპტიდო-ნუკლეინური მჟავა — პნმ** (ის აქამდე ცოცხალ ორგანიზმებში არ იყო შემჩნეული და ზოგიერთი ბიოლოგიური და სამედიცინო ექსპერიმენტისას ქიმიური სინთეზის გზით იღებდნენ), რომელსაც შეუძლია ცოცხალი არსების იმ გენების ჩართვა და გამორთვა, რომლებიც მართავს მწვანე ხვლიკის კუდის აღდგენას.

მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მომდევნო 6 წლის განმავლობაში, ამ მიმართულებით წარმოებული კვლევების შედეგად, რეგენერაციის გენების ადამიანის ორგანიზმში ჩანერგვას შეძლებენ.

„პნმ აკონტროლებს გენების უმრავლსობას, ის იგივეა ორგანიზმისთვის, რაც დირიჟორი ორკესტრისთვის“, — აღნიშნავს დოქტორი კენრო კუსუმი.

კვლევის მონაწილე დოქტორი ელიზაბეტ ხატჩინსიც დარწმუნებულია, რომ მიღებული შედეგები გამოყენებული იქნება მედიცინაში; კერძოდ, მათზე დაყრდნობით შემუშავდება ადამიანის მუხლის ხრტილის, ზურგის ტვინისა კუნთების აღდგენის მეთოდიკები.

„ჩვენი მუშაობა ადასტურებს პნმ-ის ციცქნა მოლეკულების დიდ მნიშვნელობას ქსოვილის რეგენერაციაში. როგორც აღმოჩნდა, მიკრო პნმ კუდის აღმდგენ ქსოვილებში განლაგებულია ასიმეტრიულად. მთლიანობაში რეგენერაციის მექანიზმი პნმ-ის მონაწილეობით რაღაცით ჰგავს კუდის პლასტილინით მიწებებას“, — ყვება დოქტორი მარკო მანგონი, მკვლევართა თანაავტორი და ასისტენტი.

## ძუძუმწოვრები კოსმოსში

**ჩინელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ კოსმოსში შესაძლებელია ძუძუმწოვრენის გამრავლება.**



„ჩინა დეილის“ ინფორმაციით, 2016 წლის 6 აპრილს კოსმოსში გაუშვეს საკვლევი ზონდი SJ-10, რომელშიც არის სპეციალური ჰერმეტული კაფსულა ლაბორატორიული თაგვების ემბრიონით.

კაფსულა აღჭურვილია საკვები ნივთიერებების მიწოდების სისტემით, მიკროსკოპებითა და კამერით, რომელიც ყოველ 4 საათში აწარმოებს გადაღებას. მიღებული ფოტოების წყალობით, გაირკვა, რომ ორბიტაზე გატარებული 80 საათის განმავლობაში ემბრიონთა უმრავლესობა განვითარდა ბლასტოცისტებამდე.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ **ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მათ ძუძუმწოვართა ემბრიონის კოსმოსში განვითარებაში ასეთ წარმატებას მიაღწიეს.** მაშინ, როდესაც მათი კოლეგების მსგავს მცდელობებს წარსულში სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ამიტომ დიდხანს იყო მიჩნეული, რომ მიზიდულობის კანონის გარეშე ემბრიონების განვითარება შეუძლებელია.

პროფესორი დუან ენკუი, ექსპერიმენტის ხელმძღვანელი, მოხარულია, რომ მისმა გუნდმა შეძლო იმის დამტკიცება, რომ **კოსმოსში ცხოვრება და გამრავლება შესაძლებელია, ოღონდ მის დაპყრობაზე ფიქრი ჯერ ნაადრევია.**







## Mercedes-Benz-მა მსოფლიო კიდევ ერთხელ გააოცა

**„მერსედესის“ ფირმამ საფრანგეთში გამართულ პრეზენტაციაზე ულამაზესი, ელეგანტური იახტა წარმოადგინა, რომლის სავარაუდო ღირებულება 1 მილიონ 700 ათასი დოლარი იქნება.**



იახტის პროტოტიპი 2012 წელს მონაკოს იახტ-შოუზე გამოჩნდა, ხოლო წელს ფირმამ უკვე მისი სერიული წარმოების მოდელი წარმოადგინა. Mercedes-Benz-ის პირველი ხომალდი, ბრიტანული კომპანიის Silver Arrows Marine-ის თანამონაწილეობით შეიქმნა. მისი სახელწოდებაა Arrow460-Granturismo. იახტის სიგრძე 14 მეტრია. მას ორი 480 ცხენისძალის სიმძლავრის დიზელის მოტორი აქვს და 40 კვანძის (74 კმ/სთ) სიჩქარის განვითარება შეუძლია. იახტა 10 მგზავრზეა გათვლილი, რომლებისთვისაც მოწყობილია საგარდერობო, ალკოჰოლური სასმელების სარდაფი და კომფორტის სხვა საშუალებები. თავდაპირველად Mercedes-Benz მხოლოდ 10 ასეთი იახტის გამოშვებას გეგმავს.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მცურავი ვილების მთელი კომპლექსი, რომელთა ერთი სართული წყლის ქვეშაა მოქცეული, დუბაიდან 4 კილომეტრის მოშორებით განთავსდება.

# დუბაის სანაპიროზე მცურავი ვილები გამოჩნდა

**არაბეთის გაერთიანებულმა საამიროებმა თავისი ფანტაზიისა და ნამდვილი მეფური ამბიციების სრულად გამოვლენის შედეგი აჩვენეს მსოფლიოს. ქალაქ დუბაის ხელმძღვანელობამ ამჯერად მწვანე შუქი აუნთო უჩვეულო პროექტს, რომლის განხორციელებას დიდი ძალისხმევა და ფინანსები დასჭირდება.**

Kleindienst Group-ი ევროპაში ერთ-ერთი მსხვილი კომპანიაა, რომელიც მშენებლობითა და უძრავი ქონების გაყიდვითაა დაკავებული. მან შექმნა მცურავი ვილების მთელი კომპლექსი, რომელთა ერთი სართული წყლის ქვეშაა მოქცეული. ეს ვილები დუბაიდან 4 კილომეტრის მოშორებით განთავსდება.

დუბაი ადრეც განსხვავდებოდა სხვა ქალაქებისგან თავისი ფანტასტიკური არქიტექტურით და აქ სანახავი ბევრი რამ იყო, მაგრამ ტალღებზე მონარნარე მთელი დასახლება — ეს რაღაც ახალია. 42-ვე ვილის დასრულება 2016 წლის ბოლომდეა გათვალისწინებული. ამასთანავე, უამრავი ინვესტორი მზადაა, საკმაოდ დიდი თანხა ჩადოს ამ უჩვეულო წამოწყებაში. ამ მშენებლობების ფასზე ჯერ არაფერს ამბობენ, მაგრამ ცხადია, ასეთი საცხოვრებელი იაფი არ იქნება.







# ჯულია რობერტსი წითელ ხალიჩაზე ფეხშიშველი გავიდა

**მიუხედავად იმისა, რომ კანის ფესტივალის წესები ქალებს უკრძალავს წითელ ხალიჩაზე ფეხშიშველი ან დაბალქუსლიანი ფეხსაცმლით გავლას, ჰოლივუდელმა მსახიობმა ჯულია რობერტსმა დაარღვია კანის ფესტივალის დრეს-კოდი და წითელ ხალიჩაზე ფეხშიშველმა გაიარა.**

ამის თაობაზე სრულიად შემთხვევით გახდა ცნობილი მაშინ, როცა 48 წლის „ლამაზმანი" ვარსკვლავი კიბეზე ადიოდა. მას "ჯორჯო არმანის" გრძელი კაბის აწევა მოუხდა, რათა არ დაცემულიყო.

„ყურადღებიანმა" პაპარაცებმა სწორედ მაშინ აღბეჭდეს ფირზე ფეხშიშველი ჯულია რობერტსი. ამაზე ჟურნალისტებმა არა ერთი ვერსია წარმოადგინეს. მაგრამ უმეტესობამ ჩათვალა, რომ მსახიობი დაღალა მაღალქუსლებზე სიარულმა და გადაწყვიტა, ცოტა დაესვენა. **სხვა კადრებში ჯულია რობერტსს უკვე ფეხსაცმელი აცვია.**



# ვინ უფრო მატყუარაა?

**მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მამაკაცები უფრო ხშირად სტყუიან, ვიდრე ქალები. დღეში მამაკაცი საშუალოდ სამჯერ იტყუება თურმე, ხოლო ქალი — ორჯერ.**

ევოლუციური ფსოქოლოგიის პროფესორ კარენ პეინის გამოკვლევით, მამაკაცი წელიწადში 1092-ჯერ ამბობს ტყუილს, ხოლო ქალი — 728-ჯერ.



საინტერესოა ისიც, რომ ქალბატონების ტყუილების უმეტესობა მათ მიერ შეძენილი ნივთების ღირებულებას შეეხება — ისინი, ვიდრე სინამდვილეში გადაიხადეს, იმაზე მაღალ ფასს ამბობენ; მამაკაცები კი პირიქით — ნაკლებს.

სტატისტიკის მიხედვით, სოციალურად რაც უფრო აქტიურია ადამიანი, მით უფრო მეტი ტყუილის თქმა უწევს.

ცნობილია, რომ ფსიქოლოგიაში გამოყოფენ პიროვნების ორ ტიპს ექსტროვერტსა და ინტროვერტს.

ექსტროვერტი წარმოადგენს ადამიანს, რომლის ყურადღება კონცენტრირებულია გარემოზე. იგი ადვილად ამყარებს ურთიერთობებს და ასევე ადვილად წყვეტს მას. ორიენტირებულია წარმატებაზე, ლიდერობაზე და მატერიალურ ფასეულობებზე. მისი სტიქიაა გარე სამყარო, იგი მასთან ურთიერთობით იღებს ენერგიას. ვერ იტანს სიმარტოვეს. იზიარებს და ექვემდებარება უმრავლესობის აზრს. ინტროვერტის ყურადღება კი კონცენტრირებულია შინაგან სამყაროზე. იგი არის მეოცნებე და ფანტაზიორი, მას ყველაფერზე გააჩნია საკუთარი შეხედულება. ის აპროტესტებს იმას, რომ იყოს ისეთი, როგორიც ყველა. ინტროვერტისთვის საუკეთესო სამუშაო გარემოა, თუ ის მუშაობს მარტო. ექსტროვერტებისგან განსხვავებით, ინტროვერტები ჯერ ფიქრობენ და შემდეგ მოქმედებენ. ინტროვერტების ნაცნობების წრე, როგორც წესი, მცირეა და ეს სრულიად აკმაყოფილებს მათ.

ზემოაღნიშნული კვლევის შედეგად გაირკვა ისიც, რომ ინტროვერტები, მიუხედავად იმისა, ქალია თუ კაცი, ნაკლებად არიან გადახრილნი სიცრუისკენ, ვიდრე ექსტროვერტები.

# ხელოვნების ნიმუშებად ქცეული ქილები

**ერთი იაპონელი მხატვარი, რომელიც ცნობილია, როგორც Macaon-ი, ლუდისა და სხვა სასმელების ალუმინის ქილებისგან საოცარ მინისკულპტურებსა და ნახატებს ქმნის.**







ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*** 1950 წლის 22 მაისს დაბა მესტიაში დაიბადა ქართველი მხატვარი და პოეტი, ფიროსმანის პრემიის ლაურეატი ირაკლი ფარჯიანი.**

მისი შემოქმედებიდან აღსანიშნავია ნახატები: „ნატურმორტი“; „ხარება“; „ნავები“; „ადამი და ევა“; „ყვავილები“; „ჯვარცმა“; „სამოთხე“; „აბასთუმანი“ და სხვ.

გარდაიცვალა 1991 წლის 22 დეკემბერს.



# ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.



*** 1937 წლის 21 მაისს თბილისში ლეგენდარული მსახიობის — ვერიკო ანჯაფარიძისა და კინორეჟისორ მიხეილ ჭიაურელის ოჯახში დაიბადა თეატრისა და კინოს გამოჩენილი მსახიობი საქართველოსა და სომხეთის სახალხო არტისტი სოფიკო ჭიაურელი.**

დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. 1960-64 და 1968 წლიდან იყო მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი, 1964-68 წლებში — რუსთაველის სახელობის თეატრის.

თეატრების სცენაზე შესრულებული აქვს როლები შემდეგ სპექტაკლებში: „მე ვხედავ მზეს“ (ხატია); „რომეო და ჯულიეტა“ (ჯულიეტა); „ანტიგონე“ (ანტიგონე); „ეზოში ავი ძაღლია“ (სარე); „ანა კარენინა“ (ანა კარენინა), „ურიელ აკოსტა“ (ესთერი) და სხვ.

გადაღებულია ფილმებში: „ჩვენი ეზო“ (ციცინო); „ვერისუბნის მელოდიები“ (ვარდო); „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ (ტასია); „ხევსურული ბალადა“ (მზექალა); „ნატვრის ხე“ (ფუფალა); „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ (სოფიკო); „არ იდარდო“ (სოფიკო); „წუთისოფელი“ (სიდონია); „დათა თუთაშხია“ (ნინო და სხვ.

გარდაიცვალა 2008 წლის 2 მარტს.



*** 1048 წლის 18 მაისს ქალაქ ნიშაპურში დაიბადა გამოჩენილი სპარსი პოეტი, ფილოსოფოსი, ასტრონომი და მათემატიკოსი ომარ ხაიამი (ყიას ედ-დინ აბულ-ფათჰ ომარ იბნ იბრაჰიმ ხაიამ ნიშაპურელი).**

ომარ ხაიამს სახელი გაუთქვა რობაიებმა (რუბაიებმა) — სპარსულ და ტაჯიკურ პოეზიაში ფილოსოფიური ან სამიჯნურო ხასიათის ოთხსტრიქონიანმა ლექსებმა. მასვე ეკუთვნის „ტრაქტატი ალგებრისა და ალმუკაბალის ამოცანების დამტკიცების შესახებ“.

გარდაიცვალა 1131 წლის 4 დეკემბერს.



*** 1874 წლის 21 მაისს ზესტაფონში დაიბადა ქართველი მწერალი, დრამატურგი, მსახიობი, თეატრის მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი შალვა დადიანი.**

ავტორია პირველი ისტორიული რომანისა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. რომანში „გიორგი რუსი“ ასახულია XII-XIII საუკუნეების საქართველო, ხოლო რომანში „გვირგვილიანების ოჯახი“ — ქართული თავადაზნაურობის ეკონომიკური და სულიერი დეგრადაცია.

შალვა დადიანმა, აგრეთვე, დაწერა მრავალი მოთხრობა, ნოველა და ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილი, ქართული თეატრის სცენაზე კი 200-ზე მეტი როლი ითამაშა.

გარდაიცვალა 1959 წლის 15 მარტს.



*** 1799 წლის 20 მაისს ქალაქ ტურში (საფრანგეთი) დაიბადა ფრანგი მწერალი, ევროპულ ლიტერატურაში რეალიზმის ფუძემდებელი ონორე დე ბალზაკი.**

მისი უმნიშვნელოვანესი ნაშრომია მოთხრობებისა და ნოველების კრებული, რომელსაც „ადამიანური კომედია“ უწოდა.

მისი პოპულარული ნაწარმოებებია: „შაგრენის ტყავი“; „მამა გორიო“; „დაკარგული ილუზიები“; „კურტიზანთა ბრწყინვალება და სიღატაკე“; „გობსეკი“; „ვენდეტა“ და სხვ.

გარდაიცვალა 1850 წლის 18 აგვისტოს.



*** 1471 წლის 21 მაისს ნიურნბერგში დაიბადა გერმანელი ფერმწერი და გრაფიკოსი, რენესანსის ეპოქის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი ალბრეხტ დიურერი.**

მისი ცნობილი ტილოებია: „ქრისტე მწიგნობართა შორის“; „ოთხი წინასწარმეტყველი“; „რაინდი, სიყვარული და ეშმაკი“; „მელანქოლია“; „ვენეციელი ქალის პორტრეტი“; „ათი ათასი ქრისტიანის წამება“; „მადონა მიხაკით“; „ქრისტეს დატირება“; „მლოცველის ხელები“ და სხვ.

გარდაიცვალა 1528 წლის 6 აპრილს.



*** 1813 წლის 22 მაისს ქალაქ ლაიფციგში დაიბადა გერმანელი კომპოზიტორი, ოპერის რეფორმატორი რიხარდ ვაგნერი (ვილჰელმ რიხარდ ვაგნერი).**

მისი შექმნილია ოპერები: „ტანჰოიზერი“; „ლოენგრინი“; „ვალკირია“; „ტრისტანი და იზოლდა“; „ზიგფრიდი“; „ღმერთების დაღუპვა“ და სხვ. სიმფონიური ნაწარმოებები „უვერტიურა B-dur“-ი; სიმფონია C-dur-ი, „პოლონეთი“, „მართე, ბრიტანეთო“, „საიმპერატორო მარში“ და სხვ.

ავტორია ლიტერატურული თხზულებებისა: „ხელოვნება და რევოლუცია“; „ოპერა და დრამა“; „ბეთჰოვენი“; „ჩემი ცხოვრება“ და სხვ.

გარდაიცვალა 1883 წლის 13 თებერვალს.




*** 1904 წლის 21 მაისს პარიზში შეიქმნა საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია — FIFA.**

ეს არის მსოფლიოში მთავარი საფეხბურთო ორგანიზაცია, რომლის შტაბ-ბინაც მდებარეობს შვეიცარიის ქალაქ ციურიხში. ფიფას ეგიდით ტარდება ყველა დიდი საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი, მათ შორის, მსოფლიოს ჩემპიონატი, კონფერენციის თასი და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი.

ორგანიზაციის პირველი პრეზიდენტი იყო ფრანგი **რობერ გერენი.** ამჟამად კი ფიფას ხელმძღვანელობს შვეიცარიელი **ჯანი ინფანტინო.**






*** 1873 წლის 20 მაისი ჯინსის დაბადების დღეა.**

პირველი დაპატენტებული ჯინსი ამერიკაში ლევი სტრაუსმა 1850 წელს დაამზადა და 1 დოლარად და 46 ცენტად გაყიდა. ეს იყო იალქნის მასალისგან დამზადებული შარვალი ორმაგი ნაკერითა და ბევრი ჯიბით. ჯინსმა მალე მოიპოვა პოპულარობა კალიფორნიელ ოქროსმაძიებელთა შორის.

ლევი სტრაუსმა დააარსა ფორმა „Levi Strause & Co“ და 1873 წლის 20 მაისს მოიპოვა ჯინსის ერთპიროვნულად გამოშვების ლიცენზია. სწორედ ეს თარიღი ითვლება ამ პოპულარული სამოსის დაბადების დღედ.



*** 1859 წლის 22 მაისს ედინბურგში (შოტლანდია) დაიბადა ინგლისელი მწერალი (განათლებით — ექიმი), მრავალი სათავგადასავლო, ისტორიული და ფანტასტიკური ნაწარმოების ავტორი არტურ კონან დოილი.**

მისი შექმნილია მსოფლიოში პოპულარული ლიტერატურული პერსონაჟი, შესანიშნავი დეტექტიური უნარებით დაჯილდოებული შერლოკ ჰოლმსი, აგრეთვე, ექსცენტრიული პროფესორის — ჩელენჯერისა და კავალერიის ოფიცრის — ჟერარის პერსონაჟები.

კონან დოილის ყველაზე პოპულარული მოთხრობებია შერლოკ ჰოლმსზე: „ეტიუდი მეწამულ ტონებში“; „ოთხთა ნიშანი“; „ბასკერვილების ძაღლი“; „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი“; „ჩანაწერები შერლოკ ჰოლმსზე“; „შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება“ და სხვ. აგრეთვე, „დაკარგული მსოფლიო“; „ნისლების ქვეყანა“; „მოწამლული სარტყელი“; „ბრიგადირ ჟერარის გმირობები“; „თეთრი რაზმი“ და სხვ.

გარდაიცვალა 1930 წლის 7 ივლისს.



*** 1265 წლის 21 მაისს (ერთ-ერთი ვერსიით) ფლორენციაში დაიბადა დიდი იტალიელი პოეტი და მოაზროვნე, იტალიელი ლიტერატურული ენის ფუძემდებელი და პოლიტიკური მოღვაწე დანტე ალიგიერი.**

ავტორია „ღვთაებრივი კომედიისა“ („ჯოჯოხეთი“; „განსაწმენდელი“; „სამოთხე“). დანტეს „კომედიებს“ „ღვთაებრივი“ ჯოვანი ბოკაჩომ უწოდა. მისი ნაწარმოებებია, აგრეთვე, „ნადიმი“; „ეკლოგები“; „გზავნილი“; „ახალი ცხოვრება“; ლექსები, სონეტები, ბალადები და სხვ.

გარდაიცვალა 1321 წლის 14 სექტემბერს.

მოამზადა ნიკა კორინთელმა

22 მაისს სავსემთვარეობაა. ადამიანები ენერგიულად იმოქმედებენ და ემოციურ გადაწყვეტილებებს მიიღებენ. სასიკეთო პერიოდია კუროსა და ქალწულის ნიშნებით დაბადებულთათვის.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

18 – 24 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი

## ვერძი 21 მარტი — 20 აპრილი

ამ პერიოდში ბევრი ვერძი შეძლებს პროფესიულ სფეროში წარმატების მიღწევას და, შესაბამისად, ფინანსური პრობლემების მოგვარებას. შეეცადეთ, მარტო დარჩეთ საკუთარ თავთან და გააანალიზოთ წარსულში დაშვებული შეცდომები. აქტიურად ითანამშრომლეთ ადამიანებთან, რომლებსაც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ და შეუძლიათ, პრაქტიკულად დაგეხმარონ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თავი შეიკავეთ ემოციების ამოფრქვევისგან და შეეცადეთ, საერთო პრობლემები კონსესუსის გზით გადაწყვიტოთ.

თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელს და ფრთხილად მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 24 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 21 მაისი.**

## კურო 21 აპრილი — 21 მაისი

თუ არ იზარმაცებთ და მუხლჩაუხრელად იშრომებთ, ყველა დასახული მიზნის მიღწევას შეძლებთ.

ყურადღებით მოუსმინეთ ახლობლებს და გაითვალისწინეთ მათი რჩევები.

ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები.

შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ საყვარელ ადამიანთან, ახლა მას თქვენ ძალიან სჭირდებით, ისევე, როგორც თქვენ — ის.

კვების რეჟიმის დაცვა ჯანმრთელობის ბევრ პრობლემას აგაცილებთ თავიდან, არც დასვენება და სრულფასოვანი ძილი დაგავიწყდეთ.

**დადებითი დღე: 21 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 23 მაისი.**

## ტყუპი 22 მაისი—21 ივნისი

ანალიტიკური აზროვნების უნარი კარიერაში წინ წასაწევად უნდა მიმართოთ და არა რაღაც ლოგიკური თავსატეხების ამოსახსნელად.

ამ პერიოდში თქვენ გარშემო შეიქმნება სიტუაცია, რომელშიც თავს ისე იგრძნობთ, როგორც თევზი წყალში.

მოსალოდნელია, რომ საყვარელ ადამიანთან თქვენს ურთიერთობაში ჩაერიოს ახლო ნათესავი და ამან ნეგატიური შედეგი გამოიწვიოს — საყვარელი ადამიანი გაგინაწყენდებათ და მასთან შერიგებას კარგა ხანს ველარ მოახერხებთ.

მაღალია გულ-სისხლძარღვთა დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 22 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 18 მაისი.**

## კირჩხიბი 22 ივნისი—22 ივლისი

შესაძლოა, ჩართული აღმოჩნდეთ ინტრიგაში, რომელიც რეპუტაციას შეგილახავთ. თავი აარიდეთ ისეთ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებთანაც დიდი ხნის ნაცნობობა არ გაკავშირებთ. თქვენს ნათესავს, შესაძლოა, ფინანსური პრობლემა შეექმნას და უარს ნუ ეტყვით.

ამ პერიოდში კირჩხიბების უმრავლესობა შეძლებს ურთიერთობის გაღრმავებას საყვარელ ადამიანთან და საოჯახო პრობლემების ერთობლივად მოგვარებას.

შეეცადეთ, ცხოვრების ჯანმრთელი წესით იცხოვროთ — დაიტვირთოთ ფიზიკურად, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში და დაივიწყოთ მავნე ჩვევები.

**დადებითი დღე: 20 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 24 მაისი.**

## ლომი 23 ივლისი —22 აგვისტო

თქვენ გარშემო განვითარებული მოვლენების შესაფასებლად შეიძლება სწრაფი რეაქციის გამოვლენა დაგჭირდეთ, ამიტომ ყურადღება გამოიჩინეთ ნებისმიერი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალის მიმართ.

შეყვარებულმა მარტოხელა ლომებმა თვითონ უნდა გადადგან ნაბიჯი საწინააღმდეგო სქესის იმ წარმომადგენელთან დასაახლოებლად, რომლებთან ურთიერთობის გაღრმავებასაც, დიდი ხანია, ესწრაფვიან. დაქორწინებული ლომების ურთიერთობა მეუღლესთან ჰარმონიულად წარიმართება.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 22 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 24 მაისი.**

## ქალწული 23 აგვ. —23 სექტემბ.

სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას შეიძლება პრობლემები შეგექმნათ, მაგრამ ნუ დადარდიანდებით — მოთმინებით, შეუპოვრობითა და პედანტიზმით ყველა ბარიერს გადალახავთ, ოღონდ ამისთვის დრო დაგჭირდებათ.

კარგი პერიოდია უძრავი ქონების შესაძენად.

მარტოხელა ქალწულები შეიძლება შეხვდნენ თავიანთი ცხოვრების თანამგზავრს, დაოჯახებულებს კი შვილები სასიამოვნო სიურპრიზს მოუწყობენ.

დიდია თირკმლების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. გაესინჯეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 19 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 24 მაისი.**

## სასწორი 24 სექტ. — 23 ოქტ.

უყურადღებობის გამო, შესაძლოა, დაუშვათ შეცდომა, რომელიც კარიერაში წინსვლას შეაფერხებს, ამიტომ გულისყურით მოეკიდეთ ყველა დავალებას, რომლებსაც ხელმძღვანელებისგან მიიღებთ.

ამ პერიოდში ბევრი სასწორი გაიფართოებს ნაცნობების წრეს და, არ არის გამორიცხული, ახალმა პარტნიორებმა მათ ცხოვრებაზე დიდი გავლენა მოახდინონ.

საყვარელ ადამიანთან მოსალოდნელია უთანხმოება, ამის მიზეზი კი თქვენი ინდიფერენტული დამოკიდებულება იქნება საყოფაცხოვრებო საკითხების მიმართ. შეეცადეთ, რაც შეიძლება ნაკლები დრო გაატაროთ ტელეეკრანისა და კომპიუტერის მონიტორის წინ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, მხედველობის პრობლემა შეგექმნათ.

**დადებითი დღე: 20 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 18 მაისი.**

## მორიელი 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

ბევრი საქმე გამოგიჩნდებათ და შესაძლოა, უმნიშვნელო წვრილმანზეც კი ინერვიულოთ. შეეცადეთ, თავი ხელში აიყვანოთ და კეთილგონივრულად იმოქმედოთ.

მარტოხელა მორიელებს ელით შეხვედრა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან, რომელთანაც მგზნებარე რომანს გააჩაღებენ. დაქორწინებულებმა კი, სჯობს, თავი შეიკავონ ეჭვიანობისგან, რადგან ასეთი საქციელი კიდევ უფრო გაამწვავებს მეუღლესთან ისედაც დაძაბულ ურთიერთობას.

დიდია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა. დაიცავით კვების რეჟიმი და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 23 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 18 მაისი.**

## მშვილდოსანი 23 ნოემ. — 21 დეკ.

სურვილი, რაც შეიძლება სწრაფად და ერთბაშად მიაღწიოთ დასახულ მიზნებს, შედეგს არ მოგიტანთ. შეეცადეთ, აუჩქარებლად იმოქმედოთ. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეძიეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები.

მეტი დრო დაუთმეთ საყვარელ ადამიანებზე ზრუნვას. ყურადღება ოჯახის უმცროსი წევრების პრობლემების მოგვარებაზე გაამახვილეთ.

თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა დიდწილად იქნება დამოკიდებული ემოციურ მდგომარეობაზე — ჯანმრთელობის უმნიშვნელო პრობლემის გამო არ ღირს ნერვიულობა.

**დადებითი დღე: 23 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 21 მაისი.**

## თხის რქა 22 დეკემ. — 20 იან.

პროფესიულ საქმიანობაში წარმატების მისაღწევად შემოქმედებითი უნარების გამოყენება დაგჭირდებათ. კოლეგებსა და ხელმძღვანელობასთან წარმოქმნილი უთანხმოება კი დიპლომატიური მეთოდებით უნდა მოაგვაროთ.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის ბევრი წარმომადგენლის ყურადღებას მიიპყრობთ, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ ამ პერიოდში დაწყებული სასიყვარულო ურთიერთობა შეიძლება კრახით დასრულდეს.

დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო, შესაძლოა, თავი შეუძლოდ იგრძნოთ. მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში და მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები.

**დადებითი დღე: 22 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 19 მაისი.**

## მერწყული 21 იან. — 19 თებ.

ამ პერიოდში თქვენი უპირველესი საზრუნავი ოჯახური პრობლემების მოგვარება იქნება, მაგრამ სამსახურიც არ უნდა დაივიწყოთ, რადგან ხელმძღვანელობისგან მიღებული დავალების შეუსრულებლობა ან უყურადღებოდ შესრულება პრობლემებს შეგიქმნით.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების წინ რჩევა გამოცდილ ადამიანებს დაეკითხეთ.

თუ ემოციებს ვერ მოთოკავთ, შეიძლება, თავიდან ვერ აიცილოთ ოჯახური კონფლიქტი, რომელიც საყოფაცხოვრებო საკითხებთან იქნება დაკავშირებული. შეეცადეთ, თავი აარიდოთ ურთიერთსაყვედურებსა და შეურაცხყოფას.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ ფიზიკურად მეტად დაიტვირთებით.

**დადებითი დღე: 22 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 20 მაისი.**

## თევზები 20 თებ. — 20 მარტი

მიიღებთ უამრავ ინფორმაციას, რომელთა დამუშავება-გაანალიზება დიდ დროს წაგართმევთ. მხოლოდ შესაძლებლობების სრული გამოვლენით შეძლებთ დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. შესაძლოა, მოგიწიოთ ხანმოკლე მივლინებაში გამგზავრება. უარს ნუ იტყვით, რადგან მოგზაურობისას უამრავ დადებით შთაბეჭდილებას მიიღებთ.

დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ოჯახის წევრებისთვის დრო ცოტა დაგრჩებათ, რაც მათ განაწყენებას გამოიწვევს. შეეცადეთ, დრო ისე გაანაწილოთ, რომ უყურადღებოდ არ დაგრჩეთ არც საქმე და არც ოჯახი.

მოერიდეთ დიდ ფიზიკურ დატვირთვას, განსაკუთრებით გაუფრთხილდით ტერფებს, რადგან დიდია მათი ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 23 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 18 მაისი.**

მოამზადა ნიკა კორინთელმა

# ერდოღანი და მისი წარმატებული შვილები



## გერმანულმა გამოცემა «ბილდმა» თურქეთის პრეზიდენტის შემოსავლებზე უხერხული კითხვები დასვა

**თურქეთის ახალ პრემიერმინისტრად (ახმედ დავითოღლუს წასვლის შემდეგ) პრეზიდენტ ერდოღანის სიძის — ბარათ ალბაირაქის დანიშვნის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ გერმანული გამოცემა „ბილდის“ ჟურნალისტები ერდოღანის ოჯახის წევრების შემოსავლებით დაინტერესდნენ.**

**როგორც გაირკვა, თურქეთის პრეზიდენტის ხელფასი წელიწადში 50 ათასი ევროა (თურქული ლირის შესაბამისი კურსით). ცოტაა ეს თუ ბევრი, სხვა საკითხია, მაგრამ ასეთი ჯამაგირით 1 მილიონი ევროს დაგროვებას 20 წელიწადი სჭირდება, თანაც ისე, რომ ამ ხნის განმავლობაში ცენტიც არ უნდა დახარჯო**

გერმანელმა ჟურნალისტებმა დასვეს კითხვა, რომელსაც აქამდე რატომღაც არ შეუშფოთებია ისინი: „საიდან აქვთ რეჯეფ თაიფ ერდოღანს, რომელიც სახელმწიფო მოხელეა პრეზიდენტის პოსტზე, და მის შვილებს მრავალმილიონიანი ვილები?

**როგორც გაირკვა, თურქეთის პრეზიდენტის ხელფასი წელიწადში 50 ათასი ევროა (თურქული ლირის შესაბამისი კურსით). ცოტაა ეს თუ ბევრი, სხვა საკითხია, მაგრამ ასეთი ჯამაგირით 1 მილიონი ევროს დაგროვებას 20 წელიწადი სჭირდება, თანაც ისე, რომ ამ ხნის განმავლობაში ცენტიც არ უნდა დახარჯო.** მამა ერდოღანის ჯამაგირი და მისი შვილების ქონება ერთმანეთთან თითქოს პირდაპირ არ უნდა იყოს დაკავშირებული, თანაც, რეჯეფის ვაჟები — **ბილალი** და **ახმედი** ზრდასრული ადამიანები არიან და თავისუფლად შეუძლიათ თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენა (თურქეთის პრეზიდენტის ორი ქალიშვილის შემოსავლები ცალკე თემაა), მაგრამ მათი შემოსავლების წარმომავლობაზე გერმანელ ჟურნალისტებს მაინც გაუჩნდათ აშკარად უხერხული შეკითხვები.

**ახმედი მართლაც შეძლებული ადამიანია და, ოფიციალური მონაცემებით, ფლობს 80 მლნ დოლარის ღირებულების ქონებას, რომელიც საზღვაო გადაზიდვების ბიზნესით დააგროვა, მაგრამ არ არსებობს ინფორმაცია, საიდან, რა მოცულობის კაპიტალით დაიწყო თურქეთის პრეზიდენტის უფროსმა ვაჟმა ეს დიდი და საპასუხისმგებლო ბიზნესი. ნუთუ თავისი მოქალაქეების შესაძლებლობების დონით თურქეთმა თვით თავისუფალი მეწარმეობის მექა — ამერიკაც კი დაჩრდილა?!**

ახმედის უმცროსი ძმის — ბილალის — მიმართ კიდევ უფრო მეტი უსიამოვნო კითხვები ჩნდება. ბრიტანულ „გარდიანში“ ცოტა ხნით წინათ გამოქვეყნებულ სტატიაში ბილალ ერდოღანი, ფაქტობრივად, დაადანაშაულეს ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ „ბიზნესმენებთან“ კომერციულ კავშირსა და ჯიჰადისტების მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე მოპარული არტეფაქტებით ვაჭრობაში.

**საქმე, როგორც ხვდებით, მილიონობით დოლარს ეხება. და ერდოღანების ოჯახის წარმომადგენლები გარკვეული ფისკალური და სამართალდამცველი სტრუქტურების ყურადღებას უნდა იპყრობდნენ, მაგრამ სად არის ეს „საქმეები“?** კითხვა, შეიძლება ითქვას, რიტორიკულია და დაკავშირებულია არცთუ ილუზორულ საფრთხესთან, მათთვის, ვინც ამგვარ შეკითხვებს სვამს და ამგვარი თემებით ინტერესდება, მაგრამ „ბილდის“ ჟურნალისტები ამ კითხვებს საჯაროდ სვამენ.

მოვისმენთ კი ამ კითხვებზე ამომწურავ პასუხს ოჯახის უფროსისგან?

**პოლიტიკუს.რუ**

# პოროშენკოს შვილებმა უკრაინელები საშინლად გააბრაზეს

**უკრაინის პრეზიდენტის უმცროსი შვილების ფოტოსესიამ აღშფოთების ქარიშხალი გამოიწვია სოციალურ ქსელებსა და მედიაში. უკრაინელები, შეიძლება ითქვას, მზად არიან, შუაზე გაგლიჯონ შოკოლადის ოლიგარქი იმის გამო, რომ ის ოჯახს „ფულსა და ოქროში“ აბანავებს. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული კომენტარებიდან. რიგით უკრაინელებს შეუერთდნენ პოლიტიკოსებიც, რომლებიც თავლაფს ასხამენ თავიანთ უშუალო ბოსსა და მის ოჯახს.**





საქმე ის არის, რომ ინტერნეტში გამოქვეყნდა ინგლისის ერთ-ერთი პრესტიჟული სასწავლო დაწესებულების მოსწავლეთა ყოველწლიური ფოტოსესია. ფოტოებზე აღბეჭდილნი არიან პოროშენკოს უმცროსი შვილებიც, რომლებიც ამ კოლეჯში ეუფლებიან მეცნიერების საფუძვლებს. უკრაინის პრეზიდენტის 16 წლის ქალიშვილები — **ევგენია** და **ალექსანდრა**, აგრეთვე, 15 წლის ვაჟი **მიხეილი** თვალწარმტაცი ბრიტანული ქალაქის — შრუსბერის ელიტურ „კონკორდ კოლეჯში“ სწავლობენ წელიწადში 1,3 მლნ გრივნის (დაახლოებით 52 ათასი დოლარი) საფასურად.

სწორედ ამ ფაქტმა და საჩვენებელმა ფოტოსესიამ გაამწარა შოკოლად „როშენის“ მოყვარულები. მიუხედავად იმისა, რომ პოროშენკო, უკვე დიდი ხანია, არ მალავს თავის სწრაფად მზარდ შემოსავლებს და ზოგჯერ ტრაბახობს კიდეც თავისი ქონებით, უკრაინელებს არაფრის დიდებით არ სურთ, აღიარონ, რომ ნებაყოფლობით მიეყიდნენ ამ ხარბ ოლიგარქს, თანაც იაფად. ეს ჩანს იმ სიძულვილში, რომელიც სხვისმა კეთილდღეობამ გამოიწვია. უკრაინელებს კიდევ ერთხელ ჩასჩარეს ცხვირში უსიამოვნო სიმართლე და გამძვინვარების ტალღაც კანონზომიერი შედეგია.






**ბევრი უკრაინელი დეპუტატის აზრით, პრეზიდენტს არ აქვს თავისი შვილების უცხოეთში სწავლების უფლება, მით უმეტეს, ამის აფიშირება.**

ამ აურზაურში „ოქროს ბავშვების“ განათლების პროცესის ამსახველი პიკანტური დეტალებიც გამოვლინდა. გაირკვა, რომ პრეზიდენტის შთამომავლები ირიცხებიან კლოვის (კიევის ისტორიული რაიონი) ლიცეუმში და იქ გამოცდებსაც აბარებენ ატესტატის მისაღებად, რათა შემდეგ კანონიერად დაიკავონ ადგილები ხელისუფლებაში.

**პოლიტიკუს.რუ**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

## იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი (პედიატრი — ნევროპათოლოგი — ფიტოთერაპევტი) ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებით მოარჩენს ბავშვის ყველა სახის ხველას, გაციებით გამოწვეულ ასთმას, ალერგიულ ასთმას ყველა ასაკში, უნებლიე შარდვას ყველა ასაკში, არასპეციფიკურ წყლულოვან კოლიტს — ნეფრიტს, გლომერულო ნეფრიტს, ქრ. ბუასილს, კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის წყლულს, კოკს-ართროზს, ქრ. ქოლეცისტიტს, ბე-ჰეპატიტს, პროსტატიტს, ადენომას, შარდის ბუშტის ანთებას, საკვერცხის კისტას — კისტომას, ჰაიმორიტს, მოტეხილობის ყველა ფორმას, ქრ. ტუბერკულოზს, ყურებში შუილსა და ხმაურს.

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე,
მისამართი: ივერთუბანი (ლოტკინზე)
თამარ და აკაკი პაპავების ქუჩა №3
(დედათა და ბავშვთა მონასტერი)**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894